

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი



Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Arnold Chikobava Institute of Linguistics

Тбилисский государственный университет имени  
Иванэ Джавахишвили  
Институт языкознания имени Арнольда Чикобава

**K. V. LOMTATIDZE**

**Works**  
**II**

**К. В. ЛОМТАТИДЗЕ**

**Труды**  
**II**

Tbilisi 2020 Тбилиси

ქეთევან ლომთათიძე

# შრომები

## II

თბილისი  
2020

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო ს ა ბ ჭ ო

ა. აბრეგოვი (მაიკოპი), ი. აბდულაევი (მაჰაჩყალა), ლ. ავიძბა (თბილისი),  
ა. არაბული (თბილისი), ბ. ბერსიროვი (მაიკოპი), თ. გამყრელიძე (თბილისი),  
გ. გოგოლაშვილი (თბილისი), კ. ვამლინგი (შვედეთი), ხ. თაოვი ((ნალჩიკი),  
ს. პაზოვი (კარაჩაევსკი), ბ. უტიე (საფრანგეთი), ლ. ჭკადუა (სოხუმი),  
ზ. ჭუმბურიძე (თბილისი), ა. ხალილოვი (გროზნო), ა. ჰარისი (აშშ)

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

**მ. ბუკია, თ. გვანცელაძე, ნ. ფონიავა, ვ. შენგელია, მ. ჩუხუა**

**ნ. მაჭავარიანი** (მთავარი რედაქტორი)

ტომის რედაქტორი **თ. გვანცელაძე**

E d i t o r i a l C o u n c i l

**A. Abregov** (Maykop), **I. Abdullaev** (Makhachkala), **L. Avidzba** (Tbilisi),  
**A. Arabuli** (Tbilisi), **B. Bersirov** (Maykop), **T. Gamkrelidze** (Tbilisi),  
**G. Gogolashvili** (Tbilisi), **K. Vamling** (Sweden), **Kh. Taov** (Nalchik), **S. Pazov**  
(Karachaevsk), **B. Outtier** (France), **L. Chkadua** (Sokhumi), **Z. Chumburidze** (Tbilisi),  
**A. Khalilov** (Grozny), **A. Harris** (the USA)

E d i t o r i a l B o a r d

**M. Bukia, T. Gvantseladze, N. Poniava, V. Shengelia, M. Chukhua**

**N. Machavariani** (Editor-in-chief)

Editor of the Volume **T. Gvantseladze**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN (მრავალტომეული)

ISBN (ტომი II)

# ქეთევან ლომთათიძე

აშხარული დიალექტი და მისი  
ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ  
დიალექტთა შორის  
(ტექსტებითურთ)

K. V. LOMTATIDZE

THE APHKHAZ DIALECT AMONG  
THE APKHAZ-ABAZIAN  
LANGUAGE  
(WITH TEXTS)

К. В. ЛОМТАТИДЗЕ

АШХАРСКИЙ ДИАЛЕКТ И ЕГО  
МЕСТО СРЕДИ ДРУГИХ  
АБХАЗСКО–АБАЗИНСКИХ  
ДИАЛЕКТОВ  
(С ТЕКСТАМИ)

Tbilisi 2020 Тбилиси

## ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა.....	11
ტრანსკრიფცია.....	16

## ფონეტიკა

<b>თავი I. ფონეტიკური სისტემა.....</b>	<b>17</b>
--	-----------

§ 1. ხმოვნები.....	17
§ 2. წინაენისმიერი ლაბიალიზებული სპირანტები.....	17
§ 3. ენაკბილისმიერი ლაბიალიზებული ხშულები.....	23
§ 4. ლარინგალური სპირანტები.....	28
§ 5. ფარინგალური ხშულები.....	31
§ 6. კბილ-ბაგისმიერ სპირანტთა სამეული.....	33
§ 7. ლაბიალიზებული აფრიკატები.....	33
§ 8. ადილურ ენათაგან მომდინარე ბგერები.....	38
§ 9. ე. წ. გემინირებულ თანხმოვანთა საკითხი.....	37
§ 10. სხვა ენათა ბგერების გადმოცემა.....	39
§ 11. რას იძლევა აშხარული დიალექტი აფხაზური ენის ფონეტიკური სისტემისათვის?.....	43

<b>თავი II. ფონეტიკური პროცესები.....</b>	<b>47</b>
---	-----------

§ 12. ხმოვანთა ასიმილაცია.....	47
§ 13. ხმოვანთა დაკარგვა.....	52
§ 14. ხმოვანთა შენაცვლება.....	55
§ 15. თანხმოვანთა დაკარგვა.....	57
§ 16. თანხმოვანთა გადასმა.....	58
§ 17. თანხმოვანთა დისიმილაცია.....	59
§ 18. თანხმოვანთა ასიმილაცია.....	59

§ 19. თანხმონის განვითარება.....	61
§ 20. თანხმონთან შენაცვლება .....	20

### **თავი III. სრულხმონობა..... 67**

§ 21. სრულხმონობა .....	67
-------------------------	----

### **თავი IV. მახვილი ..... 69**

§ 22. მახვილი .....	69
---------------------	----

## **მორფოლოგია**

### **თავი V. სახელი..... 70**

§ 23. სახელის ზოგადი და განსაზღვრული ფორმისათვის აშხარულ დიალექტში .....	70
§ 24. რიცხვის ფორმები სახელებში .....	77
§ 25. ინსტრუმენტალისის კატეგორიისათვის სახელებში .....	79
§ 26. სახელის ვითარებით-გარდაქცევითი ფორმა .....	81
§ 27. ჩვენებითი ნაცვალსახელები და ზმნისართები.....	87
§ 28. ოდენობითი რიცხვითი სახელები.....	97
§ 29. რიგითი რიცხვითი სახელები.....	103
§ 30. ჯერობითი რიცხვითი სახელები .....	105
§ 31. შემკრებლობითი რიცხვითი სახელები.....	106
§ 32. დანაწევრებითი რიცხვითი სახელები .....	106
§ 33. თანდებულები.....	107
§ 34. სიტყვაწარმოება სახელებში.....	113

### **თავი VI. ზმნა..... 115**

§ 35. პირისა და გრამატიკული კლასის ნიშნები .....	115
§ 36. კაუზატივი .....	118



§ 37. პოტენციალისი.....	119
§ 38. ზმნის რეფლექსური ფორმები.....	120
§ 39. მიმართულების გამომხატველი აფიქსები და ზმნის ფუძეთა შემადგენელი ადგილ-მიმართულების გამომხატველი ელემენტები.....	124
§ 40. სტატიკურ ზმნათა აწმყოს წარმოება.....	132
§ 41. დროთა წარმოება დინამიკურ ზმნებში .....	143
§ 42. ზმნის ინფინიტურ ფორმათა საგარემოებო ნაწილაკები.....	185
§ 43. ზმნის კილოები .....	192
§ 44. ზმნის უარყოფითი ფორმები.....	201
§ 45. ზმნის კითხვითი ფორმები .....	208
§ 46. აბსოლუტივი .....	218
§ 47. -ხ სუფიქსი ზმნაში.....	226
§ 48. სხვადასხვა ნაწილაკები ზმნაში .....	227
<b>თავი VII. ზმნისართები .....</b>	<b>230</b>
§ 49 ზმნისართები.....	230
<b>თავი VIII. სინტაქსი .....</b>	<b>236</b>
§ 50. კავშირები .....	236
§ 51. სხვათა სიტყვა.....	238
§ 52. დადასტურებისა და უარყოფის სიტყვები .....	238
§ 53. შორისდებულები.....	239
§ 54. შეთანხმება .....	240
<b>თავი IX. ლექსიკა.....</b>	<b>241</b>
§ 55. აშხარული დიალექტის ლექსიკური შემადგენლობა .....	241

<b>თავი X. § 56. აშხარული დიალექტისა და მისი კილოკავების ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის.....</b>	<b>250</b>
--	------------

### **აშხარული ტექსტები**

კუვინსკის კილოკავი.....	259
აფსუსის კილოკავი.....	310
ფსხუელ აშხარელთა მეტყველების ნიმუშები.....	336
რეზიუმე (რუსულ ენაზე).....	372
ტომის რედაქტორისაგან .....	384

## წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომში მოცემულია ცდა გამოავლინოს ის თავისებურებები, რაც ახასიათებს აშხარულ დიალექტს (მისი თქმებითურთ); ეს თავისებურებები განიხილოს ისტორიულ-შედარებითი თვალსაზრისით და გარკვიოს აშხარული დიალექტის ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის.

ჩრდილოეთ კავკასიაში (მდინარეების: ყუბანის, გუმის და მცირე და დიდი იენჯუგის სანაპიროებზე) მოსახლე აბაზების<sup>1</sup> მეტყველება იყოფა ორ, ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებულ დიალექტად: ტ ა - პ ა ნ თ უ რ დიალექტად და ა შ ხ ა რ უ ლ დიალექტად.

როგორც უკვე გარკვეულია, ტაპანთური დიალექტი მთელი რიგი ენობრივი მოვლენებით უპირისპირდება აფხაზურის სხვა დიალექტებს (აჭყუურს, ბზიფურს, აშხარულს). ჩვენ წინ არის თავდაპირველად არსებული სხვაობაც და სხვაობაც, წარმოქმნილი ამ დიალექტის განვითარების შედეგად. ამ ახალ წარმოებათა ისტორიის გათვალისწინებას მივყავართ სხვა აფხაზურ დიალექტებთან საერთო გრამატიკულ მოვლენებამდე. მიუხედავად ამისა, ტაპანთური დიალექტი მაინც უნდა ჩაითვალოს ყველაზე უფრო განსხვავებულ დიალექტად სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტთა შორის<sup>2</sup>.

ამ სხვაობათა წარმოსაქმნელად სათანადო პირობები არსებობდა. ტაპანთელები საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოწყვეტილი იყვნენ სხვა აფხაზ ტომებთან ენობრივ ურთიერთობას. მაგრამ იმის გამო, რომ ენის საფუძველი მეტად ნელი ტემპით ვითარდება, ტაპანთურმა დიალექტმა აქამდე შეინარჩუნა აფხაზური ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული წყობის საფუძველები და ლექსიკის საერთო ძირითადი ფონდი.

აშხარული დიალექტი, მიუხედავად ტაპანთურის ძლიერი გავლენისა მასზე, კიდევ უფრო მეტ სიახლოვეს ამყდავენებს პირაქეთა (სამხრულ) აფხაზურ დიალექტებთან.

---

<sup>1</sup> აბაზები გაფანტვით გვხვდებიან აგრეთვე ადიღეს ავტონომიურ ოლქსა და ყაბარდოს ავტონომიურ სს რესპუბლიკაში [წიგნის ტექსტში ასახულია მისი წერის დროს ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა – ტომის რედაქტორი].

<sup>2</sup> ამ საკითხებზე დაწვრილებით იხ. „ტაპანთური დიალექტი აფხაზური ენისა“, 1944.

ასე, რომ იქმნება აფხაზურ-აბაზურის დიალექტთა ორი ჯგუფი: 1. ტ ა კ ა ნ თ უ რ ი და 2. ა შ ხ ა რ უ ლ ი, ბ ზ ი ფ უ რ ი, ა ბ ჟ უ უ რ ი.

ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე უმრავლესობას შეადგენენ ტაპან-თელები, რომლებიც კომპაქტურად სახლობენ ჩერქეზთა ავტონომიურ ოლქში და მდინარე გუმის სანაპიროზე 11 ძირითად აულში.

აშხარელები სახლობენ ჩერქეზთა ავტონომიურ ოლქში მდ. იენჯუგის სანაპიროზე შემდეგ აულებში: ძ ვ ე ლ კ უ ვ ი ნ ს კ შ ი, ა ხ ა ლ კ უ ვ ი ნ ს კ შ ი (ადგილობრივი გამოთქმით – ჯჟ-ე), ა ფ ს უ ა შ ი (ყოფ. ჩეგი-რეა) და ა ბ ა ზ ა ქ თ შ ი (ყოფ. გ ა ბ ა ყ - ე ა)<sup>1</sup>.

ძველი და ახალი კუვინსკი ამ ბოლო ხანებში გამოიყო ერთი საერთო სოფლიდან – კუვინსკიდან. ამიტომ მეტყველების მხრივაც რაიმე სხვაობას ამ აულთა მოსახლეობა არ იძლევა.

კუვინსკთანვე ახლოს არის აული აბაზაქთი, რომელშიც აშხარელები ყაბარდოელებთან ერთად შერეულად ცხოვრობენ. მათ მეტყველებას ემჩნევა ყაბარდოულის დიდი გავლენა. ყაბარდოულ ენაზე მეტყველება მათთვის იმდენად ჩვეულებრივია, რომ ჩვენთან საუბარშიც ხშირად შემჩნევლად გადადიოდნენ ყაბარდოულ ენაზე.

კუვინსკიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ს. აფსუა.

ძირითადი მასა აშხარელებისა წარმოდგენილია კუვინსკსა და აფსუაში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ძირითადი აშხარული სოფელი ერთმანეთთან მეტად ახლოს მდებარეობს, მათი მეტყველება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. აბაზაქთის მეტყველება ზოგ რამეში მისდევს კუვინსკის მეტყველებას, ზოგ რამეში კიდეც – აფსუისას.

ამ 20-25 წლის წინათ კუვინსკელი და აფსუელი აშხარელების ერთი ნაწილი (დაახლ. 60 კომლი, აქედან 10 კომლი – ს. აფსუიდან, დანარჩენი – კუვინსკიდან) გადმოსახლდა საქართველოს სს რესპუბლიკაში. ისინი დასახლდნენ დაბა ფსხუში (ფსჰ.ე) (გუდაუთის რ., აფხაზეთის ავტ. სს რესპუბლიკა). მათ აქაც შეინარჩუნეს ის ენობრივი თავისებურებები, რაც კუვინსკისა და აფსუის თქმებს ახასიათებს.

გარკვეული კვალი დაუჩნევია ფსხუელ აშხარელთა მეტყველებაზე პირაქეთა აფხაზურ დიალექტებს. ამიტომ მათ მეტყველებაში უფრო მეტად იჩენს თავს სამხრული დიალექტებისათვის დამახასიათებელი მოვლენები, ვიდრე სხვა სოფლის მეტყველებაში.

როგორც ტაპანთელები, ისე აშხარელები თავიანთ თავს უწოდებენ ა ბ ა ზ ა ს. ამავე დროს პირველნი თავიანთ თავს უწოდებენ ტ ა კ ა ნ თ ა ს,

<sup>1</sup> გაფანტვით აბაზები გვხვდებიან ადიღეს ავტონომიურ ოლქშიც.

რაც დაბლობის მცხოვრებს ნიშნავს, ხოლო მეორენი აშხარუას (აშკარუა, აშკარაჟა), რაც მთიელს ნიშნავს. ამ სახელწოდებას ისტორიული გამართლება აქვს. ისინი დაბლობში (იენჯუგის სანაპიროზე) ჩამოსული არიან კავკასიონის ქედის ფერდობებიდან. აშხარელები თავიანთ თავს უწოდებენ აგრეთვე აფსაჟა-ს, ე. ი. აფხაზს.

ჩერქეზთა ავტონომიურ ოლქში მცხოვრებ აბაზებს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიეცათ შესაძლებლობა საკუთარ ენაზე მწერლობის შექმნისა. დამწერლობა შეიქმნა რუსული გრაფიკის საფუძველზე. სალიტერატურო ენას საფუძვლად დაედო ტაპანთური დიალექტი. გამოდის გაზეთი, სახელმძღვანელოები და სხვ.

იმის გამო, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე აფხაზურ-აბაზურ ენაზე მეტყველ ტომებს აერთიანებს ერთი სახელწოდება აბაზა და შექმნილი აქვთ საკუთარი სამწერლო ენა აბაზურის სახელწოდებით, ზოგი მკვლევარი აკეთებს დასკვნას, თითქოს ლინგვისტურადაც აბაზური მეტყველება აფხაზურისაგან არსებითად განსხვავდებოდეს.

ჯერ ერთი, ყველაზე განსხვავებული დიალექტიც კი – ტაპანთური დიალექტი – არ ქცეულა აფხაზურისაგან განსხვავებულ ენად თავისი ენობრივი საფუძველის მიხედვით. და მეორეც, აშხარული დიალექტი, რომელიც აგრეთვე წარმოუდგენიათ, როგორც აფხაზურის საპირისპირო აბაზური ენის დიალექტი (ტაპანთურთან ერთად), მეტ სიახლოვეს იჩენს თავის არსებით მომენტებში აფხაზურის პირაქეთა (სამხრულ) დიალექტებთან, როგორც ამას ნათელყოფს მათი შედარებითი ანალიზი.

აღნიშნული ვითარება გარკვეულ დაბრკოლებას უქმნის იმ აზრის მიმდევრებს, ვინც თვლის, რომ აშხარული და ტაპანთური წარმოადგენენ დიალექტებს, აფხაზურისაგან არსებითად განსხვავებული აბაზური ენისაო.

თუ აშხარული დიალექტი შეიძლება ტაპანთურ დიალექტებთან ერთ ენად გავერთიანოთ, შეიძლება სამხრულ აფხაზურ დიალექტებთანაც მათი გაერთიანება, რადგანაც აშხარული დიალექტი მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს სწორედ ამ სამხრულ დიალექტებთან.

სპეციალურ ლიტერატურაში არ მოიპოვება აშხარული დიალექტის ენობრივ თავისებურებათა მიმოხილვა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ზოგ რამეს ამ მხრივ მკითხველი იპოვის ავტორის შედარებითი ხასიათის მიმოხილვებში, როგორიცაა: „Об одной фонетической закономерности в абхазско-абазинских диалектах“ – Известия АН Груз. ССР, 1942 წ. ტ. II, № 8; „ტაპანთური დიალექტი“, 1944; მიზან-პირობითი კილოს წარმოებისათვის აფხაზურ დიალექტებში – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. II, 1948, და სხვ.

გ. სერდიუჩენკო სტატიაში „Об абазинских диалектах“ (კრებულში – Памяти акад. Н. Я. Марра, 1936) ცდილობს მიუთითოს ტაპანთურისაგან განსხვავებულ

აბაზურის დიალექტების მეტყველებას აკვირდებოდა და მასალას აგროვებდა ს. ჯანაშია, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეს დაკვირვებანი და არც თვით მასალა ჯერჯერობით გამოქვეყნებული არ არის.

ასევე აშხარულ დიალექტს სწავლობდა ა. გენკო, მაგრამ არც მის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგები გამოქვეყნებულია.

რომ აღარაფერი ვთქვათ აშხარული დიალექტის სრული ენობრივი მიმოხილვის არსებობის შესახებ, არ მოიპოვება პატარა ტექსტიც კი, ამ დიალექტზე ჩაწერილი.

აშხარული დიალექტის შესწავლას ჩვენ შევუდექით ტაპანთური დიალექტის გაცნობის შემდეგ. 1939 წლის ზამთარში და 1940 წლის ზაფხულში მოგვიხერხდა დაკვირვება გვეწარმოებინა როგორც კუვინსკის, ისე აფსუის მეტყველებაზე. ჩავიწერეთ ფოლკლორული ტექსტები ორივე თქმაზე.

გამოვლინდა მეტად რთული ვითარება. სხვადასხვაობა გრამატიკულ მოვლენებში შეინიშნებოდა არა მარტო თქმების მიხედვით, არამედ თვით თქმაშიც სხვადასხვა მთქმელთა მიხედვით. ერთი და იგივე გრამატიკული მოვლენა წარმოგვიდგებოდა მრავალგვარი ვარიანტით. ტექსტების ჩაწერის დროს ვცდილობდით ყველა ეს თავისებურება აღგვენიშნა, თუმცა ძნელია ვიფიქროთ, რომ ყველა შესაძლო თავისებურება ან ჩვენს მიმოხილვაში, ან ჩვენს ტექსტებში ამოწურვით იყოს წარმოდგენილი.

1941 წ. რამდენიმე დღით ვიყავით ს. აბაზაქთშიაც (რომლის მეტყველება ნარევი ხასიათს ატარებს).

1947 წ. ზაფხულში ვსწავლობდით ფსხუში გადმოსული აშხარელების მეტყველებას.

ქვემოთ მოცემულია აშხარული დიალექტის – მისი თქმებითურთ – გრამატიკული მიმოხილვა.

გრამატიკულ მიმოხილვაში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტებზე, რომლებშიც ძირითადად შეინიშნება განსხვავება სხვა აფხაზურ კილო-თქმათაგან. მითითებულია იმ საერთოსა და განსხვავებულობაზე, რაც ახასიათებს აშხარულს – თქმებითურთ ყველა სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებთან შედარებით.

მასალად გამოყენებულია ჩვენ მიერ ჩაწერილი ტექსტები, რომელთა დიდ ნაწილს აქვე ვაქვეყნებთ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტექსტების ჩაწერისას ვცდილობდით

---

ენობრივ მოვლენებზე აშხარულში, მაგრამ მას სრულიად შეუმჩნევლად დარჩენია ყველა არსებითი მორფოლოგიური და სხვა თავისებურება, ხოლო ის თავისებურებები, რაზედაც მითითებულია (უმთავრესად ფონეტიკასა და ლექსიკაში), მოკლებულია სისრულესა და, რაც მთავარია, – სიზუსტეს.

დაგვეცვა ინდივიდუალური თავისებურებანიც. ვაქვეყნებთ ტექსტებს ყოველგვარი შესწორების გარეშე, ისე, როგორც ჩაწერის პროცესში იქნა ფიქსირებული<sup>1</sup>.

**ე** და **ო** ხმოვნების წინ რიგი თანხმოვანი **ლ**, **გ**, **ქ**, **კ**, **ხ**, **ყ**, **ღ**... აფხაზურში საერთოდ მაგრად გამოითქმის, მაგრამ ჩვენ ამას საგანგებოდ არ აღვნიშნავთ სპეციალური ნიშნით, რადგანაც განმასხვავებელ ნიშნებს ვიყენებთ მხოლოდ ფონემებისათვის.

ტექსტებში ერთგვარობა არაა დაცული, თვით კომპლექსების თავისებურების გამო, ჩვენებითი ნაცვალსახელისა (უგჲ, უდ...) და ლაბიალიზებული ბგერების გადმოცემისას.

დასასრულ, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია მადლობით მოვიხსენიოთ ყველა ორგანიზაცია და პირი, რომლებმაც ხელი შეგვიწყო სათანადო მუშაობის ჩატარებაში.

---

<sup>1</sup> ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პირის ნიშანი **ო**- ზმნაში ზოგჯერ არის წარმოდგენილი მაშინაც, როცა მის წინ უშუალოდ დგას მისი გამომწვევი სახელი. თვით ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ტექსტის ჩაწერის დროს ზოგჯერ მთქმელი ცდილობდა ნელა, გარკვეული პაუზების დაცვით ელაპარაკა.

სატრანსკრიფციო ნიშნები

ა	ა̃	ā	ბ	ბ	ბ̃	ბ°	დ	დ°	ე	ē	ზ
ა <sup>1</sup>	[ā]	[ā]	ბ	г	гь	гв	д	[д]	е	[ē]	з
ზ'	ზ°	თ	თ°	ი	ī	კ	კ̃	კ°	ლ	ლ̃	
[з]	[з°]	т	[тв]	и	[ī]	к	кь	кв	л	ль	
ლ'	ლ̃	მ	ნ	ი	ō	პ	ჟ	ჟ°	ჟ°	ჟ°	ჟ°
л'	л̃	м	н	й	о	п	ж	ж°	ж°	ж°	ж°
тл	л̃	м	н	й	о	[ō]	п	жь	ж	жв	[жъв] <sup>2</sup>
რ	ს	ს'	ს°	ტ	ტ°	უ	უ̃	ფ	ქ	ქ̃	ქ°
г	с	с'	с°	т	т°	у	ū	ф	к	к̃	к°
р	с	[сь]	[св]	т	[тв]	у	[ū]	п	к	кь	кв
ღ	ღ̃	ღ°	ყ	ყ̃	ყ°	შ	შ°	შ°	შ°	ჩ	
γ	γ̃	γ°	q	q̃	q°	ш	ш°	ш°	ш°	ч	
გ	გ̃	გ°	к	к̃	к°	ш	ш	шв	[шъв] <sup>3</sup>	ч	
ჩ°	ჩ°	ც	ც'	ც°	ძ	ძ'	ძ°	წ	წ'	წ°	ჭ
ч°	ч°	ц	ц'	ц°	дз	дз'	дз°	ц	ц'	ц°	ч
ტ	ტ°	ხ	ხ'	ხ°	ხ°	ხ°	ხ°	ყ	ყ°		
т	т°	х	х'	х°	х	х	х	хв	қ	қ°	
т	т̃	х	хь	хв	[х]	х(я)	хв	хъ	хъв		
ჯ	ჯ°	ჯ°	ჰ	ჰ°	ჰ	ჰ°	(ლთ)	ვ	ფ	ფ	ვ
дж	дж°	джв	х	х̃	х̃	х̃		у	ф	ф	в
ღ	ღ	ღ <sup>4</sup>									
ა	[']	ა <sup>4</sup>									
ყ	ყ	ყ <sup>4</sup>									

<sup>1</sup> რუსული ტრანსკრიფციისთვის გამოყენებულია აბაზურში ამჟამად მოქმედი გრაფიკა. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია აბაზურ დამწერლობაში არარსებული ნიშნები.

<sup>2</sup> მაგარი ლაბიალიზებული შიშინა სპირანტები.

<sup>3</sup> ქართულ ტრანსკრიფციაში (იხ. ტექსტები) ნიშანი ' – აპოსტროფია.

<sup>4</sup> ა აღნიშნავს მაგარ შემართვას ან დამართვას.



# ფონეტიკა

## თავი I. ფონეტიკური სისტემა

§1. **ხმოვნები.** აშხარული დიალექტი ხმოვანთა მიხედვით რაიმე თავისებურსა და სხვა აფხაზურ დიალექტთაგან (პირაქეთა აფხაზურ დიალექტთაგან) განსხვავებულს არაფერს იძლევა<sup>1</sup>. ასევე, სხვა აფხაზურ დიალექტთა მსგავსად აშხარულშიც ფონეტიკურ პროცესთა ნიადაგზე ვიღებთ ა ე ი ო უ ხმოვანთა გრძელ სახეობებსაც:

წ : სწძერჯჳ! – კუვ. 17 – მოისმინეთ!

ქ : იზბჳტ იჰ.ქ – აფს. 39 – ის (რადაც) ვნახე-ო

ჩ : ყასჰჳ დგჳჳ აჰჳ ინჩტ – კუვ. 15 – დიდ მთასთან მივიდნენ

წ : აჳჳჳ სცრტ – კუვ. 10 – იქ მივდივარ

ჟ : აჳი აკჟ – აფს. 43 – ეს არის (ესაა)

ოღონდ, უნდა ითქვას, რომ ამ რიგის პროცესები (გარკვეულ შემთხვევებში) ფართოდაა გავრცელებული აშხარულ დიალექტში, კერძოდ, მის აფსურ კილოკავში.

§2. **წინაენისმიერი ლაბიალიზებული სპირანტები.** როგორც ცნობილია, აფხაზურ სალიტერატურო ენასა და აბჟურ დიალექტში, რომელზედაც დაფუძნებულია ეს სალიტერატურო ენა, გვაქვს ორი წინაენისმიერი ლაბიალიზებული შ., ჟ. სპირანტი. ბზიფური დიალექტი განარჩევდა და ზოგი მისი თქმა ახლაც განარჩევს ამათ გვერდით თავისებურ წინაენისმიერ ლაბიალიზებულ სპირანტებს, რომელთაც პირობით ჩვენ გადმოვცემთ ს., ზ. ნიშნებით<sup>2</sup>.

თუ აბჟური დიალექტისთვის აშ. არის როგორც „კარი“, ისე „წიფელი“, ან აჟ. – როგორც „ძველი, მოხუცი“, ისე „ძროხა“, ბზიფურისათვის (იგულისხმება ამჟამად მისი ზოგიერთი თქმა) აშ. არის „კარი“, ხოლო „წიფელი“ იქნება ას.; აჟ. არის „ძველი, მოხუცი“ (დაჟ:იტ – „მოხუცდა, დაბერდა ის [ადამ.]“, ხოლო „ძროხა“ იქნება აზ.

აბჟური დიალექტისათვის ამჟამად დამახასიათებელი ვითარება მეორეული ჩანს. ს., ზ. ბგერებს დაკარგვისადმი ტენდენცია აქვს ბზიფური დიალექტის ზოგ თქმაშიაც (მაგ., სოფ. ლიხნის მეტყველებაში).

<sup>1</sup> იხ. ავტორის: „აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი ტექსტებითურთ“. 1944, § 3.

<sup>2</sup> იხ. ტაპ. § 5.

აფხაზური ენის ტაპანთურ დიალექტში ჩვენ დავადასტურეთ წინაე-ნიმიერ ლაზიალიზებულ სპირანტთა ყველა აქ წარმოდგენილი სახეობა (როგორც **ს.**, **შ.** ისე **ზ.**, **ჭ.**), მაგრამ ამ სახეობათა გამოყენებაში აღრევას აქვს ადგილი. კერძოდ, **ს.** შეიძლება ნახმარი იყოს **შ.**-ს ადგილას და, პირიქით, **შ.** შეიძლება ნახმარი იყოს **ს.**-ს ადგილას. ასევე, **ზ.** შეიძლება შეგვხვდეს **ჭ.**-ს ადგილას და, პირიქით, **ჭ.** – **ზ.**-ს ადგილას.

მაგრამ ეს ბგერები თავის დროზე ტაპანთურშიაც ბზიფურის მსგავსად რომ უნდა ყოფილიყო განსხვავებული, ნათელი გახდა ე. წ. დელაბიალიზაციის პროცესის დადგენის შედეგად ტაპანთური დიალექტის ფსიქკრასნოვოსტოჩნის კილოკავში. გაირკვა, რომ სრულ დელაბიალიზაციას განიცდის ის ბგერები, რომელთათვისაც ამოსავალ სახეობად ივარაუდება ბზიფური დიალექტის **შ.**, **ჭ.**, ხოლო სრული დელაბიალიზაციის პროცესს არ ექვემდებარება ის ბგერები, რომელთათვისაც ამოსავალ სახეობად ივარაუდება ბზიფური დიალექტის **ს.**, **ზ.**.

მაგალითად, ტაპანთურ დიალექტში ხმარებულმა სახეობებმა: აჯგშ. || აჯგს. „სარკმელი“, „ზემო [„თავის“-]კარი“ (?) ან უ(ო)ჭგ || უ(ო)ზგ – „ახლა“ იმავე დიალექტის ფსიქკრასნოვოსტოჩნის კილოკავში შეიძლება მოგვცეს:

აჯგშ. || აჯგს<sup>1</sup>

უ(ო)ჭგ || უ(ო)ზგ<sup>1</sup>

მაშინ, როდესაც იქვე ხმარებული აე. || აზ. („ძროხა“), შარა || სარა („თქვენ“) და სხვ. ასეთ რეფლექსს არ მოგვცემს (შდრ. ბზიფ. დიალექტის სარა, აზ.)<sup>2</sup>.

აშხარული დიალექტის კუვინსკის კილოკავში იგივე ვითარება დასტურდება, რაც ბზიფურ დიალექტში: გვაქვს, ერთი მხრივ, **შ.**, **ჭ.**, მეორე მხრივ, **ს.**, **ზ.**.

მაგ.:

**შ.:** აშ. – 2, მთქმ. 15 წ. – კარი

ამშგ... – 7, მთქმ. 15 წ. – დათვიც...

**შარაცარა** – 2, მთქმ. 15 წ. – ნადირობა (სანადიროდ)

დგშშარაცოზ. – 11, მთქმ. 35 წ. – ის (ადამ.) რომ ნადირობდა...

**შაყ** – 1, მთქმ. 17 წ. – წიგნი (წერილი)

**აშენდგყარა** – 23, მთქმ. 75 წ. – ზანდუკი

**ჰარა ჰაბგზშალა** – 12, მთქმ. 65 წ. – ჩვენი ენით (ჩენებურად)...

და სხვ.

**ს.:** თააცა სააუპ – 4, მთქმ. 15 წ. – შვილები (ოჯახი) შეგეძინებათ

**სთარაშ.** – 5, მთქმ. 15 წ. – თქვენი ჭიშკარი

<sup>1</sup> შდრ. ბზიფ. დიალექტის აშ. (→ \*აჯგ-შ., უოჭგ).

<sup>2</sup> იხ. ტაპ. § 5.

აჩკენ დგხ.რ-ს.რა დალაგეტ – №4. მთქმ. 15 წ. – ბიჭმა სტვენა  
დაიწყო  
ს.არს ს.დგუხატ – 1, მთქმ. 17 წ. – თქვენ დაიზარდენით (დიდები  
გახდით)  
ამგ ჩაალაღერს.ტ – 11, მთქმ. 35 წ. – ის (დედაკ.) წყალში  
გადავარდა  
აცჰას.გ – 14, მთქმ. 64 წ. – ყინული და სხვ.

ჟ: თაჟკვდ ლგაჟკვდ (ი)გყან – 4, მთქმ. 15 წ. – ერთი დედაბერი და  
ერთი ბერიკაცი იყვნენ

ტოჟა – 7, მთქმ. 15 წ. – ახლა  
ტუჟანძარა – 11, მთქმ. 35 წ. – აქამდე  
ვგნვჟა ჟაბედ – 14, მთქმ. 64 წ. – ორმოცდაათი  
აჟლარა – 23, მთქმ. 75 წ. – ხალხი  
ჟეტალა – 15, მთქმ. 75 წ. – ძველად... და სხვ.

ზ: აზ. – 4, მთქმ. 15 წ. – ძროხა  
დგზ.ბარი დგზ.დგრუმ.ტ – 2, მთქმ. 15 წ. – ის (ადამ.) რომ ნახოთ,  
იგნობთ  
აზ.ჯან – 3, მთქმ. 15 წ. – ცა  
დლაცაზ.არნგს დალაგეტ – 11, 35 წ. – მან (ადამ.) მასთან (დედაკ.)  
ლაპარაკი დაიწყო<sup>1</sup> და სხვ.

ასეთი დაყოფით აღნიშნულ ბგერათა გამოყენება კუვიანსკის მეტყვე-  
ლებაში სისტემურ ხასიათს ატარებს. იშვიათ შემთხვევაში თუ შეგვინიშ-  
ნავს აღრევა: ერთსა და იმავე სიტყვაში ხან დაგვიდასტურებია **ს., ზ.,** ხან –  
**შ., ჟ.**

მაგალითად:  
ლგმათაქა იზზეგ'გ ალშ.იხგნ – 11, მთქმ. 35 წ. – მან (დედაკ.) მთელი  
თავისი ტანსაცმელი (ტ ა ნ თ) გაიხადა რა...  
იჯამე აამშ.გდწან... – 12, მთქმ. 65 წ. – მან (მამაკ.) თავისი ქურქი  
(ტ ა ნ თ) ჩააცვა რა...  
სმახვკე იშ'გლს.გდწა... – 17, მთქმ. 75 წ. – თერძმა მას (დედაკ.) ტ ა ნ თ  
რომ ჩაიცვა...  
დააჩჟე.გდბტ – 12, მთქმ. 65 წ. – მან (მამაკ.) ის (ადამ.) ც ხ ე ნ ი დ ა ნ  
ჩამოსვა  
დგჩ.გზ.ლან... 15, მთქმ. 75 წ. – იგი (ადამ.) ც ხ ე ნ ზ ე შეჟდა რა...

<sup>1</sup> თუ განსაკუთრებით გახაზვა არ გვჭირდება ამა თუ იმ გამოთქმისა, სიტყვა-  
სიტყვითს თარგმანს არ ვიძლევიტ.

საყურადღებოა, რომ ერთ-ერთი ჩვენი 36 წლის მთქმელი აღნიშნულ ბგერათა შორის სხვაობას არ ამყარებდა. სისინა **ს.**, **ზ.** ბგერები მას სრულე-ბითაც არ გააჩნდა და აბჟუური დიალექტის წარმომადგენლის მსგავსად ყველა შემთხვევაში იყენებდა **შ.**-სა და **ჟ.**-ს.

მაგალითად:

**შ.**ცანგ სანიათ დაა**ჟ.**გ – 8 – წადით და სანიათი მოიყვანეთ  
**იშ.**არაცონ – 8 – ისინი ნადირობდნენ  
 უა**შ.**გბჟაჟკ – 8 – ორმოცდაათი (ერგასი) კაცი (ხალხი)  
 ივფაცა დრაცა**ჟ.**ოფტ – 8 – ის (ადამ.) თავის შვილებს ელაპარაკება  
 ალგბა**ჟ.** – 9 – ბერიკაცი.

ასევე ჩვენი აზაზაქთელი მთქმელი ყველგან მხოლოდ შიშინა **შ.**, **ჟ.** ბგერებს ხმარობდა.

აღნიშნული გარემოება უნდა მიუთითებდეს კუვისნსკის მეტყველე-ბის ჭრელ დიალექტურ შედგენილობაზე.

თავისებური ვითარება დასტურდება აშხარული დიალექტის ა ფ - ს უ ის კ ი ლ ო კ ა ვ შ ი. აქაც თავს იჩენს ფონემათა ისეთი დაყოფა, როგორიც ბზიფური დიალექტისათვის არის დამახასიათებელი. ერთი და იმავე ბგერით არც აქ გადმოიცემა **აშ.** („კარი“), **შ.**არა („თქვენ“); **აჟ.** („ძველი“), **აჟ.** („ძროხა“). მაგრამ აქ პირველ შემთხვევაში (ბზიფური **შ.**, **ჟ.**-ს ადგილას) **გამოიყენება თავისებური (ოდენ აფსუს კილოკავისათვის დამახასიათებელი) განსაკუთრებული მაგარი სახეობის შ.**, **ჟ.** ბგერები (ჩვეულებრივი **შ.**, **ჟ.**-ს გვერდით), ხოლო მეორე შემთხვევაში (ბზიფური **ს.**, **ზ.**-ს ადგილას) იგივე **ს.**, **ზ.**.

მაგ.:

**შ.**: **შ.**ებჟაჟკ – 38, მთქმ. 36 წ. – ორმოცდაათი (ერგასი, ნახევარ-ასი)  
**შ.**არაცარა იცე – 37, მთქმ. 21 წ. – სანადიროდ წავიდნენ  
 ა**შ.**ლა უნაშგლ – 37, მთქმ. 21 წ. – კარით შედი შიგ (სახლში) შენ  
 (მამაკ.)

ა**შ.** ააჰარტგნ... – 39, მთქმ. 50 წ. – კარი გავადეთ რა...  
 ი**შ.**ან... – 37, 35, მთქმ. 27 წ., 22 წ. – ისინი შეშინდნენ რა...  
 სმე**შ.** – 35, მთქმ. 22 წ. – დათვი  
 ა**შ.**აყა – 39, მთქ. 50 წ. – წიგნი (წერილი)  
 ა**შ.**არახქა – 35, მთქმ. 22 წ. – ნადირები  
 სენგ**შ.**ენტარაჰგ – 35, მთქმ. 22 წ. – ჩემს საფლავზე  
 აჩგ აა**შ.**აძენ... – 35, მთქმ. 22 წ. – ცხენმა დაილაპარაკა რა...  
 კ<sup>ა</sup>ტი-**შ.**პაკ – 35, მთქმ. 22 წ. – მსხვილი ნაწლავი და სხვ.

**ჟ.**: აჟარბა**ჟ.** – 31, მთქმ. 15 წ.; 44, მთქმ. 50 წ. – ორბი [ძველი]  
 უჟ**ჟ.** – 33, მთქმ. 19 წ. – ახლა

ჟოჟიგწალა – 37, მთქმ. 27 წ. – ახლავე  
 ჟია-ჟასაკ – 33, მთქმ. 19 წ. – ათი ცხვარი  
 იჟიფმაჟს იჟიფმმეზუზუ... – 36, მთქმ. 43 წ. – მეთოთხმეტე დღე-ღამეს

ალგაჟი – 35: მთქმ. 22 წ. – ბერიკაცი  
 აჟიფშ – 35, მთქმ. 22 წ. – ნადირთ ღვთაება  
 ჟიგლაგ სგმე – 38, მთქმ. 36 წ. – გვარიც მაქვს  
 აკგლფაჟი – 38, მთქმ. 36 წ. – ძველი ქუდი... და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამავე შემთხვევებში, თუმცა უფრო იშვიათად, შეიძლება შევხვდეთ ჩვეულებრივ შ., ჟ-საც (ერთსა და იმავე მთქმელთან).

მაგ.:

შ.: ანტშ – 41, მთქმ. 50 წ. – მიწა  
 აშარცაჟქა – 38, მთქმ. 36 წ. – მონადირეები.  
 ჟ.: თაჟკედ ლგაჟკედ – 36, მთქმ. 43 წ. – ერთი დედაბერი და ერთი ბერი-კაცი

ლგაჟკ დგყან – 31, მთქმ. 15 წ. – ერთი ბერიკაცი იყო  
 კგლფაჟი – 38, მთქმ. 36 წ. – ძველი ქუდი... და სხვ.  
 მეორე მხრივ, ს., ზ. გვხვდება შემდეგ სიტყვებში:

ს.: სკაზე – 37, მთქმ. 27 წ. – თქვენ მარტო  
 აჩანებჩა დგსკგ! – 35, მთქმ. 22 წ. – მეჯინიზე დაიჭირეთ!  
 სმარა თასკაჟ დენალაგა... 35, მთქმ. 22 წ. – მზემ ჩასვლა (ჩავარდნა“)  
 რომ დაიწყო...

ასწამათა; ასგწა – 35, მთქმ. 22 წ. – ტანსაცმელი  
 ილგსალწდ – 38, მთქმ. 36 წ. – მან (დედაკ.) ტანთ ჩაიცვა  
 [დ]აალსგლზგუ... – 38, მთქმ. 36 წ. – მან (დედაკ.) რაც (ტანთ) გაიხა-  
 და... და სხვ.

ზ.: აჩანებჩა იკატა ზაგულა! – 44, მთქმ. 50 წ. – მეჯინიზის ნათქვამი ყავით (აკეთეთ)!  
 აზკემსწყა ოლე აწასე – 41, მთქმ. 50 წ. – ბეჭი თვალში ჩაუვარდა მას (მამაკ.)

ზ.-გართაკ უსთუშ – 42, მთქმ. 50 წ. – ძროხის ჯოგს მოგცემ შენ  
 ...აზტ – 41, მთქმ. 50 წ. – მან (რაღაცამ) დალია [ის (რაღაც)]  
 იზზენ სალგე – 29, მთქმ. 13 წ. – ის (რაღაც) შევსვი და გავათავე  
 იზმამ? – 33, მთქმ. 19 წ. – ის (რაღაც) ნეტავ მოიხარმა?  
 სედცაზა – 37, მთქმ. 27 წ. – ილაპარაკეთ ერთმანეთთან (მოილაპარაკეთ)

აზა – მთქმ. 27 წ. – სიტყვა  
 აზჯან – 37, მთქმ. 27 წ. – ცა... და სხვ.

როგორც ამ მასალიდან ირკვევა, ბზიფური დიალექტისათვის დამახასიათებელი წინაენისმიერი ლაბიალიზებული **ს., ზ.** ბგერები დღესაც ცოცხალია აშხარული დიალექტის ორსავე კილოკავში<sup>1</sup>. ამასთანავე სათანადო ლექსიკურ მარაგში ბზიფური დიალექტის მსგავსად გამოიყენება განსხვავებული წინაენისმიერი ლაბიალიზებული ბგერები. **თავისებურებას ოღონდ ქმნის წინაენისმიერ მაგარ ლაბიალიზებულ შ., ჟ.** ბგერათა არსებობა აფსუსის კილოკავში.

**არცერთს სხვა აფხაზურ კილო-თქმაში ჩვენ ეს ბგერები არ შეგვინიშნავს.**

მართალია, აშხარული დიალექტის შესახებ თითქმის არაფერი დაწერილა, მაგრამ იმ ერთადერთ ნაშრომშიაც კი, რომელშიაც თითქოს მოცემულია ცდა აფხაზურ დიალექტთა ფონეტიკური სისტემის განხილვისა<sup>2</sup>, შენიშნულიც არ არის არც ტაპანთურისა და არც აშხარულის წინაენისმიერ ლაბიალიზებულ ბგერათა წყვილები; უკეთ, მათი სისინა სახეობები (**ს., ზ.**).

იქვე ავტორი აშხარულ დიალექტში ფონეტიკურ ნიადაგზე გამოყოფს ორ – აფსუსისა და კუვინსკის – კილოკავს. საკვირველია, რომ აფსუსის კილოკავის ფონეტიკური სისტემისათვის ესოდენ დამახასიათებელი ფაქტი – **შ., ჟ.** ბგერათა არსებობა – შეუნიშნავი რჩება. **ფონეტიკური სისტემის მხრივ არსებით სხვაობას აფსუსისა და კუვინსკის კილოკავთა შორის სწორედ აღნიშნულ ბგერათა ქონა-არქონა ქმნის.** მეტიც ითქმის, **შ., ჟ.** ბგერათა მქონებლობით აფსუსის მეტყველება უპირისპირდება აფხაზურის ყველა დანარჩენ კილო-თქმას.

აფსუსის კილოკავის მონაცემთა მიხედვით აფხაზურის ფონეტიკურს სისტემაში შეიძლება გვევარაუდნა ჩვეულებრივ **შ, ჟ**-ს ლაბიალიზებულ სახეობათა გვერდით მაგარ **შ., ჟ.** ბგერათა ლაბიალიზებული სახეობებიც.

**ამასთან დაკავშირებით ძალზე საყურადღებოა ერთი გარემოება, ტაპანთური დიალექტის ფსიჟ-კრასნოვოსტოჩნის კილოკავში სწორედ იმ შემთხვევებში, რომლებშიაც აფსურში შ., ჟ. გვაქვს, ხდება დელაბიალიზაცია და ამ დელაბიალიზაციის შედეგად ვიღებთ სწორედ მაგარი სახეობის შ., ჟ. ბგერებს. ამ ფაქტთა ერთმანეთისაგან გათიშვა ჭირს.**

<sup>1</sup> კუვინსკის კილოკავში მათ ხშირად ლაბიალობის მომენტის შესუსტება ემჩნევათ (ტაპანთურის გავლენით?). აფსურში მათ თითქოს ზოგჯერ შიშინის ელფერიც გადაჰკრავთ.

<sup>2</sup> მხედველობაში გვაქვს გ. სერდიუჩენკოს სტატია „Об абазинских диалектах“ – კრებულში Сборник памяти акад. Н. Я. Марра, 1938.

მაგრამ ამის მიხედვით მაინც გავვიჭირდებოდა საერთო აფხაზური ფონეტიკური სისტემისათვის ამოსავალში დაგვეშვა წინაენისმიერ სპირანტთა მაგარი ლაბიალიზებული სახეობების არსებობა.

ამისათვის წინასწარ რიგი საკითხის გადაწყვეტა იქნებოდა საჭირო, კერძოდ:

1. რითი აიხსნება, რომ ერთსა და იმავე მთქმელს აფსუურში **შ<sub>ა</sub>, ჟ<sub>ა</sub>** ბგერათა გვერდით **შ<sub>ა</sub>, ჟ<sub>ა</sub>** ბგერებიც ახასიათებს (**შ<sub>ა</sub>, ჟ<sub>ა</sub>** იკარგვის და იძლევა **შ<sub>ა</sub>, ჟ<sub>ა</sub>**-ს? სხვადასხვა დიალექტური მონაცემი ირევა ერთმანეთში?).

2. ტაპანთური დიალექტის ფსიჟ-კრასნოვოსტოჩნის კილოკავშიაც კი, რომელშიაც დელაბიალიზაციის შედეგად ვიღებთ მაგარ ვარიანტებს, სათანადო ფონემათა ლაბიალიზებულად გამოთქმისას სიმაგრე არ შეინიშნება. რითი აიხსნება ეს?

3. ტაპანთური დიალექტის იმავე ფსიჟ-კრასნოვოსტოჩნის კილოკავში **ჭ<sub>ა</sub>, ჯ<sub>ა</sub>, ჩ<sub>ა</sub>** ლაბიალიზებული აფრიკატები, რომლებიც **ტ<sub>ა</sub>, დ<sub>ა</sub>, თ<sub>ა</sub>** ხშულთა აფრიკატიზაციის შედეგად არიან მიღებული, დელაბიალიზაციის შემთხვევაში ზემოგანხილულ **შ<sub>ა</sub>, ჟ<sub>ა</sub>**-ს მსგავსად მაგარ **ჭ<sub>ა</sub>, ჯ<sub>ა</sub>, ჩ<sub>ა</sub>**-ს გვაძლევენ. კითხვა დგას – აქაც ამოსავალში მაგარი სახეობები უნდა დავუშვათ? და სხვ.

ჩვენთვის უდავო ფაქტია აშხარული დიალექტის აფსუის კილოკავისა და ტაპანთური დიალექტის ფსიჟ-კრასნოვოსტოჩნის კილოკავის სათანადო მოვლენათა შორის კავშირი. აფსუური კილოკავისათვის დამახასიათებელი **შ<sub>ა</sub>, ჟ<sub>ა</sub>** ბგერათა გენეზისისას საკითხი კი ჯერჯერობით გადაუწყვეტელი რჩება.

**§ 3. ენაკბილისმიერი ლაბიალიზებული ხშულები.** აფხაზური ენის პირაქეთა დიალექტებს აქვთ **ტ<sub>ა</sub>, დ<sub>ა</sub>, თ<sub>ა</sub>** ენაკბილისმიერ ლაბიალიზებულ ხშულთა სამეული. ასეთი სამეული დღეს აფხაზური ენის ტაპანთურ დიალექტში აღარ ჩანს. **ტ<sub>ა</sub>, დ<sub>ა</sub>, თ<sub>ა</sub>** ტაპანთურსაც უნდა ჰქონოდა. ისინი აფრიკატიზაციის გზით ცვლილან **ჭ<sub>ა</sub>, ჯ<sub>ა</sub>, ჩ<sub>ა</sub>** || **წ<sub>ა</sub>, ძ<sub>ა</sub>, ც<sub>ა</sub>**-დ, რომელთაც შემდეგ ფსიჟ-კრასნოვოსტოჩნის კილოკავში უკვე დელაბიალიზაციის შედეგად მოუცილათ **ჭ<sub>ა</sub>, ჯ<sub>ა</sub>, ჩ<sub>ა</sub>** (ან უფრო იშვიათად – **წ<sub>ა</sub>, ძ<sub>ა</sub>, ც<sub>ა</sub>**)<sup>1</sup>.

ზემოთ დასახელებულ წერილში გ. სერდიუჩენკო აშხარული დიალექტის ორ, აფსუისა და კუვინსკის კილოკავს სწორედ ამ ბგერათა ქონარქონის მიხედვით უპირისპირებს ერთმანეთს. აფსუის კილოკავს **ტ<sub>ა</sub>, დ<sub>ა</sub>, თ<sub>ა</sub>** ახასიათებს, კუვინსკის კილოკავში **ტ<sub>ა</sub>, დ<sub>ა</sub>, თ<sub>ა</sub>** არა გვაქვს, მათ მოუცილათ **ტ<sub>ა</sub> დ<sub>ა</sub> თ<sub>ა</sub>**-ო<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იხ. ტაპ. § 5, § 12.

<sup>2</sup> იხ. მისი „Об абазинских диалектах“, გვ. 250.

აშხარული დიალექტის კილოკავთა ამ ნიშნით დაპირისპირება არ ხერხდება. როგორც გამოიკვავა, წინაენისმიერ ლაბიალიზებულ ხშულთა სამეული – **ტ. დ. თ.** დღესაც დაცულია როგორც აფსუის, ისე კუვინსკის კილოკავში. პარალელურად ასევე, ორსავე კილოკავში ადგილი აქვს აღნიშნული სამეულის დელაბიალიზაციის პროცესს, რის შედეგადაც ვიღებთ ჩვეულებრივ **ტ, დ, თ**-ს. კილოკაური სხვაობა იქმნება მხოლოდ ამ ბგერათა დელაბიალიზაციის პროცესის გავრცელების მასშტაბის მიხედვით. კუვინსკის კილოკავში იგი უფროა გავრცელებული, აფსუისაში კი – ნაკლებად. აღნიშნული პროცესის მეტნაკლებად გავრცელებულობას ორსავე კილოკავში განსაზღვრავს მთქმელთა ასაკი.

კუვინსკის კილოკავში **ტ, დ, თ** დღესაც ცოცხალია უფროსი თაობის მეტყველებაში (ასე 60-70 წლის ასაკში და ზემოთ). უმცროსი თაობის ენაში (ე. ი. 60 წლის ასაკამდე)<sup>1</sup> გაბატონებულია მათი დელაბიალიზებული სახეობები.

აფსუის კილოკავშიც **ტ. დ. თ.**-ს დელაბიალიზაცია ფაქტია, ოღონდ დელაბიალიზაცია აქ უკვე ახასიათებს მთქმელებს მხოლოდ 25-30 წლის ასაკამდე. უფროსი ასაკის მთქმელები კი სისტემატურად **ტ. დ. თ.**-ს იცავენ<sup>2</sup>.

მაგ.:

### კუვინსკის კილოკავი

#### 1. **ტ. დ. თ.** დაცულია

**ტ:** აჭატა – 12, მთქმ. 65 წ. – საჭმელი

ჭეტალა – 12, მთქმ. 65 წ. – ძველად

იჭაიტრა გ'გდდგრამ, ძამბგსთიტრა გ'გდდგრამ ილგგიტრა გ'გდდგრამ – 21, მთქმ. 75 წ. – მან (მამაკ.) რომელი თავადისად აქციოს, არ იცის, რომელი აზნაურისად აქციოს, არ იცის, რომელი გლეხისად აქციოს, არ იცის.

დარქტედტ – 14, მთქმ. 64 წ. – იგი (ადამ.) მასზე რაღაცაზე შეჯდა

და სხვ.

**დ:** დაადგლწგდტ – 12, მთქმ. 65 წ. – ის (ადამ.) გარეთ გამოვიდა

უდგლგზგადა უარა? – 12, მთქმ. 65 წ. – შენ (მამაკ.) ვინ გაგიყვანა

გარეთ?

<sup>1</sup> ცნობები განეკუთვნება 1940 წ.

<sup>2</sup> ცნობები განეკუთვნება 1940 წ.



დგდჟქლახტ – 15, მთქმ. 75 წ. – ის (ადამ.) კვლავ გაემართა... და სხვ.  
**თ:** უმათა აასტო! – 12, მთქმ. 65 წ. – შენ (მამაკ.) მომეც შენი ტანსაცმელი!

სა მათა ლესგსწედტ – 17, მთქმ. 75 წ. – მე მას (დედაკ.) ტანსაცმელი  
 ჩავაცვი... და სხვ.

## 2. ტ. დ. თ. → ტ დ თ

**ტ** → **ტ:** აბლტ – 7, მთქმ. 15 წ. – (და)საწვავი

იკვლფა დეთედრტან ) 4, მთქმ. 15 წ. – მან (მამაკ.) ის (ადამ.) თავის  
 ქუდში ჩაისვა

იტან იშპან – 1, მთქმ. 17 წ. – ისინი ისხდნენ და საუბრობდნენ

აგებუანტ – 1, მთქმ. 17 წ. – საშუალო, შუათანა

ილედჰედტ ხენტაგ, ჟანტაგ – 8, მთქმ. 36 წ. – მას (დედაკ.) უთხრა  
 მან (მამაკ.) ხუთჯერაც, ათჯერაც

აბჯარ ყეტა იშემედ – 10, მთქმ. 36 წ. – ძველი იარაღი რა გაქვთ?

დგდტლან დამჰედტ – 11, მთქმ. 35 წ. – იგი (ადამ.) მას (მამაკ.) მი-  
 უჯდა და უთხრა... და სხვ.

**დ** → **დ:** ღერა იდტლეედტ – 5, მთქმ. 15 წ. – ისინი საქურდლად გაემარ-  
 თნენ

აპა ნყარა დგდტლან. დგმდტეგზ... 1, მთქმ. 17 წ. – თავადი (მთავა-  
 რი) სასიარულოდ გაემართა. რომ მიდიოდა (გზაში რომ იყო)...

იდგლწა დგდტლსემშთინ! – 11, მთქმ. 35 წ. – ვინც გარეთ გადის,  
 (გარეთ) არ გაუშვათ!

ფშარე დადტლეედტ – 8, მთქმ. 36 წ. – სამებრად გამოემართნენ

დგდტლწედტ – 9, მთქმ. 36 წ. – მან (დედაკ.) ის (ადამ.) გაუშვა, გაგ-  
 ზავნა... და სხვ.

**თ** → **თ:** თაკ დტწალედტ – 4, მთქმ. 15 წ. – იგი (ადამ.) თივაში შეძვრა

ასპრთ აჭართან... 10, მთქმ. 36 წ. – შიგ (რადცაში) სპირტი ჩაასხეს  
 რა...

ჰამათაჟა ჰავსახუმტ – 8, მთქმ. 36 წ. – ჩვენი ტანსაცმელები გავცვა-  
 ლოთ

ლგმათაჟა – 11, მთქმ. 35 წ. – მისი (დედაკ.) ტანსაცმელები... და სხვ.

დელაბიალიზებულ სისტემასვე უჭერდა მხარს ჩვენი 69 წლის  
 მთქმელიც სოფ. აბაზაქთიდან.

მაგ.:

**ტ** → **ტ:** დტტტ – 27 – იგი (ადამ.) დაჯდა

**დ** → **დ:** დგდტეგგალატ – 27 (მამაკ.) ის (ადამ.) გარეთ გამოიყვანა

ამ მხრივ მისი მეტყველება უფრო კუვინსკის კილოკავისკენ იხრება.

## ა ფ ს უ ი ს კ ი ლ ო კ ა ვ ი

## 1. ტ. დ. თ. დაცულია

**ტ:** დაქ.ტაშთა დემბეძე – 37, მთქმ. 27 წ. – იგი (ადამ.) ზედ (რალაცაზე) იჯდა რა, დაინახა მან (მამაკ.)

ს.ტა! – 36, მთქმ. 43 წ. – დასხედით!

აჩანგართა ზტ.გზ... – 36, მთქმ. 43 წ. – რემა ვისაც ეკუთვნოდა...

სმაც. დექ.ტან – 44, მთქმ. 50 წ. – ის (ადამ.) ტოტზე იჯდა... და სხვ.

**დ:** ჰად.გქ.გმწე – 38, მთქმ. 36 წ. – ჩვენ მან (მამაკ.) გაგვიშვა

ს.გდ.გლგმწენ! – 38, მთქმ. 36 წ. – არ გახვიდეთ გარეთ!

ად.ენგ – 38, მთქმ. 36 წ. – გარეთ

დანდ.გლწებ... – 36, მთქმ. 43 წ. – ის (ადამ.) როცა გარეთ გავიდა...

იდ.ექ.ლახ – 36, მთქმ. 43 წ. – ისინი გაემართნენ (გაემგზავრნენ)

აქ.ტაღქა აად.გლააგან... 39, მთქმ. 50 წ. – კვერცხები (გარეთ) გამოვი-  
ტანეთ რა... და სხვ.

**თ:** სტმათ.აქა – 38, მთქმ. 36 წ. – ჩემი ტანსაცმელები... და სხვ.

## 2. ტ. დ. თ. → ტ დ თ:

**ტ** → **ტ:** დეკაქ.ტან – 32, მთქმ. 12 წ. – იგი (ადამ.) ზედ იჯდა

დაქ.ტან – 31, მთქმ. 15 წ. – იგი (ადამ.) მასზე (რალაცაზე) იჯდა

აგ.გბქანგტ – 31, მთქმ. 15 წ. – საშუალო, შუათანა

უტა!... საგ.ტუმ – 33, 19 წ. – დაჯექ (მამაკ.)!... არ დავჯდები

სარა სტგ – 33, მთქმ. 19 წ. – ჩემი (ჩემი კუთვნილი)

დეტან – 35, მთქმ. 22 წ. – იგი (ადამ.) იჯდა

აქ.ტო – 37, მთქმ. 27 წ. – ვინც მასზე (რალაც.) ზის... და სხვ.

**დ** → **დ:** დდექ.ლქ(ა) – 32, მთქმ. 12 წ. – იგი (ადამ.) გაემართა, გაემგზავრა

დმად.გლწებენ... – 32, მთქმ. 12 წ. – იგი (ადამ.) გარეთ გამოვიდა რა...

იდ.გქ.გმწე) – 31, მთქმ. 15 წ. – მან (მამაკ.) ისინი გაუშვა

დედ.გქ.ლან... – 33, მთქმ. 19 წ. – იგი (ადამ.) გაემართა რა...

დაად.გლგრგან – 35, მთქმ. 22 წ. – იგი (ადამ.) გარეთ გამოიყვანეს რა...

დეუზაად.გლგზგაპ 37, მთქმ. 27 წ. – მას (ადამ.) გამოიყვან შენ (მამაკ.)...

და სხვ.

**თ** → **თ:** აქ.თან... – 32, მთქმ. 12 წ. – მას (რალაცას) მიესხა...

ჟათაკ – 33, მთქმ. 19 წ. – ერთი ბარძაყი

ას.წამათა – 35, მთქმ. 22 წ. – ტანსაცმელი... და სხვ.

აქა-იქ ორსავე კილოკავში შესაძლოა დავადასტუროთ ერთისა და იმავე მთქმელის ენაში **ტ. დ. თ.** სამეულის როგორც ლაბიალიზებული, ისე დელაბიალიზებული სახეობები (ესეც თავის მხრივ იმას მოწმობს,

რომ **ტ. დ. თ.**-ს დელაბიალიზაციის პროცესი ერთდროულად მიმდინარეობს ორსავე კილოკავში. იგი არცერთ მათგანში დამთავრებული არაა).

მაგ.:

დგდგქ-ლახტ – კუვ. 14, მთქმელი 64 წ. – იგი (აღამ.) გაემართა.

შდრ. ამავე მთქმელის ენაში:

დაქ-ტიედტ – კუვ. 14, მთქმელი 64 წ. – იგი (აღამ.) წამოჯდა

დააქ-ტიედტ – კუვ. 14, მთქმელი 64 წ. – იგი (აღამ.) ზედ (რალაცაზე) დაჯდა... და სხვ.

ჰტ-ეს ბზია – კუვ. 8, მთქმ. 36 წ. – კარგი ადამიანი.

შდრ. ამავე მთქმელის ენაში:

აბჯარ ჟ-ტა – კუვ. 10, მთქმ. 36 წ. – ძველი იარაღი

ხენ-ტაგ-გ, ჟან-ტაგ-გ – კუვ. 8, მთქმ. 36 წ. – ხუთჯერაც, ათჯერაც

ჰამათაქა – კუვ. 8, მთქმ. 36 წ. – ჩვენი ტანსაცმელები... და სხვ.

აშა ააკათ-ეა – აფს. 33, მთქმ. 19 წ. – სისხლი გადმოიღვარა

შდრ. ამავე მთქმელის ენაში:

ტათაკ – აფს. 33, მთქმ. 19 წ. – ერთი ბარძაყი

უტ – აფს. 33, მთქმ. 19 წ. – დაჯექ (მამაკ.)

დგდგქ-ლან... 33, მთქმ. 19 წ. – იგი (აღამ.) გაემგზავრა რა... და სხვ.

სა დგს-ტ-უპ – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – იგი (აღამ.) მე მეკუთვნის

აჰტ-ჰეს – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – ადამიანი

დაად-გლგწ – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – ის (აღამ.) გარეთ გამოვიდა...

და სხვ.

შდრ. ამავე მთქმელის ენაში:

დაად-ტალოპ – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – იგი (აღამ.) მას (რალაცას) უზის

აგ-გბჟანტ – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – საშუალო, შუათანა

დგდგქ-ლედტ – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – იგი (აღამ.) გაემართა და სხვ<sup>1</sup>.

როგორც აქ წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა, აფსუისა და კუვინსკის კილოკავთა არა თუ დაპირისპირება შეიძლება **ტ. დ. თ.** სამეულის მიხედვით, არამედ, პირიქით, მათში დადასტურებული **ტ. დ. თ.**-ს დელაბიალიზაციის პროცესი ის არსებითი ნიშანთაგანია, რომლითაც ერთ დიალექტად ერთიანდება ეს ორი მრავალ მომენტში მნიშვნელოვნად განსხვავებული მეტყველება.

<sup>1</sup> თუ სხვა მთქმელებთან ამ ბგერათა გამოყენებაში აღრევას მხოლოდ თითო-ორი შემთხვევაში ვადასტურებდით, ამ მთქმელის ენაში მას სისტემატურად ვამჩნევთ.

საერთოდ საყურადღებოა **ტ. დ. თ.**-ს დელაბიალიზაციისა და დაკარგვის ტენდენციის არსებობა აშხარულ დიალექტში. ტაპანთურშიაც ამ სამეულმა განიცადა ცვლილება. **ტ. დ. თ.** იქაც დაიკარგა, ოღონდ იქ აფრიკატად ქცევის შემდეგ მივიღეთ გარკვეულ კილოკავში დელაბიალიზებული სახეობები (ჭ, ჯ, ჩ).

§ 4. **ლარინგალური სპირანტები.** ფშვინვიერი **ჰ, ჰ** – ლარინგალური სპირანტების მყდერი **ჰ, ჰ**. წყვილეულები<sup>1</sup> აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში ცვლილან: პირველს მოუცია **აა** | **ჰ**, მეორეს – **ჯ**<sup>2</sup>. ტაპანთურ დიალექტში დღემდე დაცულია მათი ძველი სახეობა. აქა-იქ ტაპანთურშიაც განუცდიათ მათ ცვლილება, მაგრამ აქ ამ ცვლილების შედეგად უმთავრესად **ღ, ღ** რეფლექსს ვიღებთ<sup>3</sup>.

აშხარულ დიალექტში **ჰ**-ს შესახებ გ. სერდიუჩენკო წერს: აფხაზური ენის დიალექტების მსგავსად აშხარულშიაც **ჰ**-ს **აა** მოუციაო<sup>4</sup>. ეს მტკიცება ზუსტად არ გამოხატავს არსებულ ვითარებას. გამოდის, რომ, ჯერ ერთი, აშხარულს დიალექტში **ჰ** სრულებით არა გვაქვს. მეორეც, აშხარული დიალექტის ორსავე კილოკავში ამ მხრივ აბსოლუტურად ერთნაირი მდგომარეობაა.

აშხარულ დიალექტში სპირანტული ელემენტის შესუსტება ეტყობა როგორც **ჰ**-ს, ისე მის ლაბიალიზებულ **ჰ**. სახეობასაც.

აფხაზურის პირაქეთა დიალექტთა მსგავსად **ჰ(ა)**-ს გარკვეულ შემთხვევებში მოუცია **აა** | **ჰ**, **ჰ**-ს – **ჯ**<sup>5</sup>.

კუვინსკის კილოკავში **ჰ(ა)**-ს **აა** | **ჰ**- და **ჰ**-ს **ჯ**-დ ქცევის პროცესი თითქმის დამთავრებულია. აქა-იქ-ღა თუ შევნიშნავთ **ჰ**-ს არსებობას, ისიც უფროსი თაობის მეტყველებაში.

მაგ.:

**ჰა** → **აა** | **ჰ**:

საადაწიკ – კუვ. 2, მთქმ. 15 წ. – ჩემ მოსვლამდე

ნაურკ... ააშგლეიტ – კუვ. 2, მთქმ. 15 წ. – სინათლე... შემოვიდა (სახლში)

აქაჰააა შთგახენ... – კუვ. 2, მთქმ. 15 წ. – მან (მამაკ.) თავისი ხმალი ამოიღო და (ამოაგო) რა...

<sup>1</sup> აღნიშნული ბგერები სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეული იყო ფარინგალურ სპირანტებად. ა. ჩარგეიშვილის ექსპერიმენტულმა გამოკვლევამ ნათელყო, რომ ისინი იწარმოებიან ხორხში და ამდენადვე, როგორც ა. ჩარგეიშვილი ფიქრობს, უფრო ზუსტი იქნება მათ ლარინგალური (ხორხისმიერი) ბგერები ეწოდოთ.

<sup>2</sup> იხ. ტაპ. § 5.

<sup>3</sup> იხ. ტაპ. §; § 23, გვ. 64-65.

<sup>4</sup> იხ. მისი Об абаз. диалектах, გვ. 249, 251.

<sup>5</sup> შდრ. ტაპ. § 6, გვ. 29; § 23, გვ. 64.

ითაა ცაჟაგ` დარგ` – კუვ. 1, მთქმ. 17 წ. – მისი (მამაკ.) შვილები და  
 (ოჯახი და) თვითონ  
 უუჟანძარა – კუვ. 11, მთქმ. 35 წ. – აქამდე (ამ დრომდე)  
 დანაადგლწ... – კუვ. 10, მთქმ. 36 წ. – იგი (აღამ.) როცა გარეთ გამო-  
 ვიდა...  
 ჰაბა დააგლარი... – კუვ. 14, მთქმ. 64 წ. – მამაჩვენი რომ ადგეს...  
 ძწზგმტ – კუვ. 15 მთქმ. 75 წ. – იგი (რადაც) ჩვენ მოგხარშეთ  
 უფსაადტ! – კუვ. 20, მთქმ. 75 წ. – შენ (მამაკ.) მოკვდი!  
 დაადგლწგმტ დარგ` – კუვ. 12, მთქმ. 65 წ. – იგი (აღამ.) გარეთ გა-  
 მოვიდა და სხვ.

**ფ. → ჯ:**

აზბაგ` იკელსტ – კუვ. 6, მთქმ. 15 წ. – ორივენი გაძვრნენ (გავიდნენ)  
 შიგ  
 ავგ` შაყა იზგრჯგტ – კუვ. 1, მთქმ. 17 წ. – ბატონსაც (მთავარსაც) წე-  
 რილი მისწერეს  
 ჯგჯა – კუვ. 1, მთქმ. 17 წ. – ორი (ადამიანი)  
 რჯზაცა – კუვ. 11, მთქმ. 35 წ. – მისი (მამაკ.) ამხანაგები  
 ჯგტგს-ზზია – კუვ. 8, მთქმ. 36 წ. – კარგი ადამიანი  
 იჯფაცა დრაცაჟოოდტ – კუვ. 8, მთქმ. 35 წ. – თავის ორ ვაჟს ელაპარა-  
 კება (ესაუბრება) ის (მამაკ.)  
 ჯგწჟეჟა ჟაბედ – კუვ. 14, მთქმ. 64 წ. – ორმოცდაათი  
 ჯგწჟეჟა – კუვ. 15, მთქმ. 75 წ. – ორმოცი  
 სგც. ჩმაზაჯტუპ – 20, მთქმ. 75 წ. – ჩემი ხარი ავადაა  
 აბლ`ჯა – 23, მთქმ. 75 წ. – გველეშაპი  
 იფშჯკზხაზ – კუვ. 17, მთქმ. 75 წ. – მეოთხე (ადამიანი).  
 და სხვ.

ამ უკანასკნელ ორ მთქმელთან **ფ**-ც შეგვხვდა.

მაგ.:

სმფა – 15, მთქმ. 75 წ. – გზა  
 ფადგგ` – 23, მთქმ. 75 წ. – ორმო (უფსკრული)  
 უდ დფგცგ`ამრუპ – 14, მთქმ. 64 წ. – ის ძალზე ცუდი ადამიანია  
 ფეტგფგსკ – 14, მთქმ. 64 წ. – ერთი ადამიანი  
 ეს მთქმელი (64 წ.) აწ.ჟან – სიტყვაში („სარი“) ამბობდა აწ.ღჯან-ს  
 (იხ. 14).

ავსუსის კილოკავშიაც **ფ**(ა)-ს **აა** | **ჰ**-დ და **ფ**-ს **ჯ**-დ ქცევის პროცესი პი-  
 რაქეთა აფხაზური დიალექტების მსგავსად უკვე დაწყებულა, მაგრამ ერ-  
 თი და იმავე მთქმელის მეტყველებაში მეტ-ნაკლები სისტემურობით დას-  
 ტურდება **ფ** და **ფ**-ც.

მაგ.:

**მ(ა)** → აა || ა:

ლაზა დღუკ ააბხან... – აფს. 32, მთქმ. 12 წ. – მან (მამაკ.) დიდი ჯოხი  
აილო რა...  
დააგელარი იქუშან – აფს. 32, მთქმ. 12 წ. – იგი (ადამ.) რომ ამდგარი-  
ყო, შეჭამდა მას (რაღაც.)  
...აადგე(ა) – აფს. 31, მთქმ. 15 წ. – მან (მამაკ.) (რაღაც) მოიტანა  
...აადაუნ – აფს. 33, მთქმ. 19 წ. – მან (მამაკ.) (რაღაც) იშოვა  
დეგ გზმაადტ – აფს. 35, მთქმ. 22 წ. – იგი (ადამ.) ვერ მოვიდა  
დშთდებენ... – აფს. 35 მთქმ. 22 წ. – მან (მამაკ.) ის (რაღაც) აილო რა...  
დაარშთოდტ – აფს. 35, მთქმ. 22 წ. – მან (მამაკ.) ის (ადამ.) გამოუშვა  
დაარგზჭადტ – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – მან (მამაკ.) მათ დაუძახა  
დაადღლგწ – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – იგი (ადამ.) გარეთ გამოვიდა  
...აალს.გლხგზ... – აფს. 38, მთქმ. 36 წ. – მან (დედაკ.) რაც ტანთ გაი-  
ხადა...  
დრაზუნ – აფს. 36, მთქმ. 43 წ. – მას (ადამ.) ისინი ზრდიდნენ  
აჩარა-ზ.რა ნედღარააკ... – აფს. 36, მთქმ. 43 წ. – ჭამა-სმას რომ მო-  
რჩებიან...  
დაადკამგლეტ – 44, მთქმ. 50 წ. – იგი (ადამ.) მას (მამაკ.) თავს წამო-  
ადგა... და სხვ.

**მ.** → ა:

აბაჯაგ – აფს. 29, მთქმ. 13 წ. – ძვლებიც  
ადგა ჯენგ – აფს. 34, მთქმ. 19 წ. – „ადილეური“ სახლი  
იჯნაცა – აფს. 35, მთქმ. 22 წ. – მისი (მამაკ.) ამხანაგები  
დეჩმაზაჯხე – აფს. 35, მთქმ. 22 წ. – იგი (ადამ.) ავად გახდა  
აჩაჯ – 37, აფს. მთქმ. 27 წ. – ცხენოსანი  
ს.გჯგჯა – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – თქვენ ორთავე  
რეჯნაჭ – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – მათ სახლში  
ხეჯვაცა – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – სამი ვაჟ(ებ)ი  
ბეჯენგჰა – აფს. 36, მთქმ. 43 წ. – საგზალი  
ბუჯა-ბუქმემე ეყემჯგდგზ... – აფს. 36, მთქმ. 43 წ. – შვიდი დღე-ღამე  
სადაც იარეს (რომ გაიარეს)...  
დემჯესან – აფს. 44, მთქმ. 50 წ. – ის (ადამ.) მგზავრობდა... და სხვ.  
ამავე მთქმელთა ენაში დასტურდება **მ(ა)**, **მ.**-ც.

მაგ.:

**მ(ა)**:

დმადღლწგზენ... – აფს. 32, მთქმ. 12 წ. – იგი (ადამ.) (კვლავ) გარეთ გამო-  
ვიდა რა...

დანაფაფშაგ... – აფს. 31, მთქმ. 15 წ. – მან (ადამ.) რომ გამოიხედა...  
 დანაფან... – აფს. 31, მთქმ. 15 წ. – მან (მამაკ.) ის (რაც) მოიტანა რა...  
 დანამდან – აფს. 33, მთქმ. 19 წ. – მან (მამაკ.) შემოიარა (ძებნა) რა...  
 იუფამა? – აფს. 33, მთქმ. 19 წ. – გესმა, გაიგონე შენ (მამაკ.)?  
 დანახე – აფს. 35, მთქმ. 22 წ. – იგი (ადამ.) დარჩა  
 დანალზე – აფს. 35, მთქმ. 22 წ. – მან (დედაკ.) იგი (ადამ.) (მო)დაინახა  
 დეკაბან – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – იგი (ადამ.) თავ-დამპალი (ქეციანი)  
 იყო  
 ...სეზაგ! – აფს. 38, მთქმ. 36 წ. – მომიტანე (რამე)!  
 ანანგართა დანარცან... – აფს. 36, მთქმ. 48 წ. – რემა მორეკეს რა...  
 დანარელალარი... – აფს. 36, მთქმ. 48 წ. – იგი (ადამ.) მათში რომ გაერი-  
 ოს...  
 აუფაქა – აფს. 36, მთქმ. 48 წ. – ხალხი („ხალხები“)  
 ფანგ მან დანაბე – აფს. 39, მთქმ. 50 წ. – გაზაფხულის ჟამს ვნახეთ (რა-  
 ღაც)... და სხვ.

**ფ:**

მფაკ – აფს. 32, მთქმ. 12 წ. – ერთი გზა  
 დაყეფენალაზ... – აფს. 32, მთქმ. 12 წ. – იგი (ადამ.) სადაც ცხოვრობდა  
 („სახლობდა“)  
 იფანახეუზ... – აფს. 35, მთქმ. 22 წ. – მეორედ...  
 აბეფეკვგ – აფს. 27, მთქმ. წ. – ექვსივენი  
 ჩეფეგ – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – ერთი ცხენოსანი  
 სეგმანაფანხე – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – ავად გავხდი  
 ბეფენგა – აფს. 36, მთქმ. 43 წ. – საგზალი  
 მფეზათა ინარხ.აზ – აფს. 36, მთქმ. 43 წ. – ვინც ამხანაგად აიყვანეს...  
 უადერმანგ – აფს. 44, მთქმ. 50 წ. – შემდეგ, კვლავ, მერე...  
 და სხვ.

აშხარულ დიალექტში (განსაკუთრებით მის აფსურ კილოკავში) დღესაც დაცულია **ფ, მ** ბგერები. მათ ცვლილება აქაც განუცდიათ, ოღონდ საყურადღებოა, რომ ეს ცვლილება იმავე გზით მიდის, რა გზითაც იგი წავიდა აფხაზური ენის პირაქეთა დიალექტებში (შდრ. საწინააღმდეგო რეფლექსი ტაპანთური დიალექტის ფსიჟ-კრასნოვოსტოჩნის კილოკავში: **ფ** → **დ**; **მ** → **ღ**)<sup>1</sup>.

§ 5. **ფარინგალური ხშულები.** აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში **ჭ** (და მისი ლაზიალიზებული **ჯ** სახეობა) დღეს აღარ მოგვეპოვება. ბზიფურ დიალექტში იგი **ხ(ხა)** ბგერით შეცვლილა. აბჟურში კი **ხ(ხა)** ბგერას და-

<sup>1</sup> იხ. ტაპ. § 23, გვ. 64-65.

მთხვევია. აშხარულის ორსავე კილოკავში, ტაპანთურის მსგავსად<sup>1</sup>, **ჭ, ჭ** დაცულია.

მაგ.:

დჭალახტ – კუვ. 4, მთქმ. 15 წ. ზედ (ზემოთ) ავიდა ის (ადამ.)  
 ტოჭგკ – კუვ. 2, მთქმ. 15 წ. – ერთ ღამეს  
 იჭამგ – კუვ. 12, მთქმ. 65 წ. – მისი (მამაკ.) ქურქი  
 რაცა იჭაუ! – კუვ. 1, მთქმ. 17 წ. – როდენ ტკბილია!  
 დააჭენჭენ... – კუვ. 10, მთქმ. 36 წ. – იგი (ადამ.) მობრუნდა რა...  
 აჭგზა – აფს. 31, მთქმ. 12 წ. – საბანი  
 დჭაგან – აფს. 31, მთქმ. 15 წ. – იგი (ადამ.) გიჟი იყო  
 ...რჭაზგ... – აფს. 35, მთქმ. 22 წ. – ისინი ცალკე (მარტო)...  
 ს.გჭაზგ – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – თქვენ მარტო...  
 დაააჭამგელეტ – აფს. 44, მთქმ. 50 წ. – იგი (ადამ.) მას (მამაკ.) თავს  
 წაადგა...  
 აჭ.შ. – კუვ. 2, მთქმ. 15 წ. – წამალი  
 რჭ.და – კუვ. 3, მთქმ. 15 წ. – მისი (მამაკ.) კისერი  
 ჰაჭგკ შტან – კუვ. 10, მთქმ. 36 წ. – (ძირს) ერთი ქვა ეგდო...

და სხვ.

აქა-იქ **ჭ, ჭ** ბგერებმა აშხარულ დიალექტშიაც შეიძლება მოგვეცეს იგივე რეფლექსი, რაც გვაქვს ბზიფურ დიალექტში (**ხ, ხ**). ასეთი მათი შენაცვლება უფრო დამახასიათებელია კუვინსკის კილოკავისათვის, აფსუის კილოკავში ჩვენ ის შევნიშნეთ მხოლოდ ერთი მთქმელის მეტყველებაში.

ზემოდასახელებულ მთქმელთა ენაში **ჭ, ჭ**-ს პარალელურად გვხვდება **ხ, ხ**-ც.

მაგ.:

იხგკ.გენ... – კუვ. 8, მთქმ. 36 წ. – ისინი დაბრუნდნენ რა...  
 იხ.და – კუვ. 3, მთქმ. 15 წ. – მისი (მამაკ.) კისერი  
 იხაზგ – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – იგი (მამაკ.) მარტო...  
 ახაბჟგ – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – ქეციანი... („თავ-წამხდარი“) და სხვ.

**ჭ, ჭ**-ს ასეთი ცვლილება შეინიშნებოდა ტაპანთური დიალექტის კრასნოვოსტოჩნის თქმაშიაც<sup>2</sup>.

ამ რიგის მკვეთრი **ყ, ყ** ბგერები, ისე როგორც აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში, არავითარ ცვლილებას არ განიცდიან აშხარული დიალექტის არცერთ კილოკავში. ტაპანთურ დიალექტში კი, როგორც ცნობილია, გარკვეულ შემთხვევაში **ყ** შეცვლილა **ც** ბგერით<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. ტაპ. § 7; § 23 (გვ. 63).

<sup>2</sup> იხ. ტაპ. § 7, § 23 (გვ. 63). იქ **ხ ხ** – გადმოცემულია ასე: **ხ, ხ**.

<sup>3</sup> იხ. ტაპ. § 7, § 23 (გვ. 62-63).



§ 6. **კბილ-ბაგისმიერ სპირანტთა სამეული.** კბილ-ბაგისმიერ სპირანტთა სამეული **ვ ჭ ჭ**, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს სათანადო ადგილას<sup>1</sup>, ახასიათებს აშხარული დიალექტის ორსავე კილოკავს.

არის:

დღღატან – კუვ. 2, მთქმ. 15 წ. – იგი (აღამ.) მის (მამაკ.) გვერდით იჯდა აწლა დავაგვლან დჷანხნჷ – აფს. 35, მთქმ. 22 წ. – იგი (აღამ.) ხის გვერდით მდგომარე დარჩა

ჟაჭ – კუვ. 2, მთქმ. 15 წ. – თექვსმეტი

ჭგ-მგშ – აბაზაქთი, 27, მთქმ. 69 წ. – ექვსი დღე

უმ ეფშ ააზგხგსა ჭჷპ – კუვ. 25, მთქმ. 75 წ. – ასეთი რომ ისროლა, (ის) მეხია

აჭ რან დგხ აცავჷჷპ – კუვ. 25, მთქმ. 75 წ. – ჭექა-ქუხილის (ელვა-ქუხილის) ღვთაება რცხილის ასულია... და სხვ.

ის ერთადერთი სიტყვაც („წვრილი“), რომელშიაც ჭ ბგერა დასტურდება ხოლმე აფხაზურში, აშხარულის ორსავე კილოკავშიაც ა-ჭა-ს სახეს ატარებს.

ამ მხრივ აშხარული დიალექტი ტაპანთური დიალექტის საწინააღმდეგოდ მისდევს აფხაზური ენის პირაქეთა დიალექტებს.

როგორც ირკვევა, **ვ ჭ ჭ** სპირანტთა სამეული აშხარულსა და აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში ჩამოყალიბებულია ლაბიალიზებულ **ძ. ც. წ.** აფრიკატთა ცვლის შედეგად. იმავე აფრიკატთა დელაბიალიზაციის შედეგად ს ხ ვ ა რეფლექსი მიგვიღია ტაპანთურ დიალექტში (**ძ ც წ**)<sup>2</sup>.

§ 7. **ლაბიალიზებული აფრიკატები.** აშხარული დიალექტის ორსავე კილოკავში პირაქეთა დიალექტების მსგავსად გვხვდება მხოლოდ ს ი ს ი ნ ა ლ ა ბ ი ა ლ ი ზ ე ბ უ ლ ი ა ფ რ ი კ ა ტ ე ბ ი – **ძ. ც. წ.** (შდრ. ტაპანთურ დიალექტში ამათ გვერდით **ჯ. ჩ. ჭ-ც**)<sup>3</sup>.

აღსანიშნავია ოღონდ ერთი: კუვინსკის კილოკავში დასახელებულ ბგერებს (**ძ. ც. წ.**) ტაპანთური დიალექტის მსგავსად ზოგჯერ ემჩნევათ ლაბიალობის ოდნავ შესუსტებაც. სოფ. აბაზაქთისა და სოფ. აფსუსის მეტყველებაში ამ მხრივ მეტ სიმტკიცეს აქვს ადგილი.

<sup>1</sup> იხ. „Об одной фонетической закономерности в абхазско-абазинских диалектах“ – Сообщения АН Груз, ССР, III, № 8, 1942 г.

<sup>2</sup> ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ზემოთ აღნიშნულ სტატიაში.

<sup>3</sup> იხ. ტაპ. § 7.

§ 8. **ადილურ ენათაგან მომდინარე ბგერები.** ტაპანთური დიალექტის მსგავსად აშხარულშიაც გვხვდება რიგი ადილური ბგერა<sup>1</sup>. ისინი იხმარებიან ადილურ ენათაგან ნასესხებ სიტყვებში (თავად სიტყვა შეიძლება ზოგჯერ ადილური წარმოშობისა არც იყოს).

ასეთი ბგერებია:

1. ლატერალურ სპირანტთა სამეული **ლ ლ ლ**.

მაგ.:

**ლ**:

აბლ<sup>2</sup>აჯა – კუვ. 2, მთქმ. 75 წ. – გველეშაპი

ამალ<sup>2</sup> – კუვ. 2, მთქმ. 75 წ. – საშველი

ჰალ<sup>2</sup>აქ – აფს. 35, მთქმ. 22 წ. – განადგურება... და სხვ.<sup>2</sup>

**ლ**:

ლ<sup>2</sup>აჰყ: ჯეტჰეს ლ<sup>2</sup>აჰყ – აფს. 37, მთქმ. 27 წ. – ტომი: ადამიანის ტომი

ლ<sup>2</sup>აჩა: დაგ<sup>2</sup>ლ<sup>2</sup>აჩო – აფს. 43, მთქმ. 50 წ. – კოჭლი: იგი (ადამ.) კოჭლიც არის

ჭანაკალ<sup>2</sup>ა – აფს. 43, მთქმ. 50 წ. – სასაცილო

ალ<sup>2</sup>ანგყა: რელ<sup>2</sup>ანგყაქა: – კუვ. 1, მთქმ. 17 წ. – მხარე: მათი მხარეები (გვერდები) და სხვ.

**ლ**:

ლ<sup>2</sup>ებ.ფაგა – კუვ. 11, მთქმ. 35 წ. – (გმირის სახელია)

აბუბექ<sup>2</sup>რ მან დელემერჰენ, (II ანადაჰელეიტ) – კუვ. 18, მთქმ.

ბზირა რბ.გლ<sup>2</sup>ეიტ... 75 წ. – აბუბექირმა დედას დაუჯერა (გაუგონა) და იხეირა (სიკეთე გამოიღო, ისარგებლა) (ადილ. ეხ.გლ<sup>2</sup>ან – შემთხვევა)... და სხვ.

2. შუაენისმიერი სპირანტები **ხ ხ**.

აშხარულშიაც ტაპანთურის მსგავსად ადილურ **ხ** ბგერას **ხ** სახე მიუღია<sup>3</sup>.

გვხვდება შემდეგ შემთხვევებში:

ახ<sup>2</sup>აკაგ<sup>2</sup> – კუვ. 11, მთქმ. 35 წ. – ვაყა ცხენი (კვიცი) [შდრ. ადილ.

ხაკა<sup>2</sup>]

<sup>1</sup> იხ. ტაპ. § 9.

<sup>2</sup> იმავე მთქმელთა ენაში პარალელურად ვხვდებით ჩვეულებრივ აფხაზურ ლ-საც. მაგ.: ჰაილა – კუვ. 21, მთქმ. 75 წ. – ეშმაკობა (შდრ. ყაბ. ჰილ<sup>2</sup>ა).

ალამათ: ალამათნე იბ<sup>2</sup>ეიტ – კუვ. 8, მთქმ. 36 წ. – საოცრება: საოცრებად ეჩვენება). შდრ. ყაბ. (ჰ)ალ<sup>2</sup>ამათ.

აყაბლა: არი აყაბლ<sup>2</sup>ლა რყოჰ – კუვ. 23, მთქმ. 75 წ. – მხარე: ამ მხარეზეა ის (რადაც)... შდრ. ყაბ.: ჰაბლ<sup>2</sup>ა)... და სხვ.

<sup>3</sup> იხ. ამის შესახებ ტაპ. § 9.

აჭართ ზანგ იტან იშაძან	– კუვ. 1 –	ესენი ერთხელ ისხდნენ, საუბრობდნენ
დაგემდშაძტ	– კუვ. 12 –	იგი (ადამ.) მას (მამაკ.) არ დაელაპარაკა...

და სხვ.

ჟ. (ბზიფ. ზ.) || ძ

იგივე აცაჟარა (ბზიფ. აცაზარა) აშხარული აშაძრა (იხ. წინამავალი მაგალითი).

ც → || ს.

აშაცფგნწა || აშასფგნწა – ფსხუ, კუვ. 14 – ფეხის (თითის) წვერი

ჩ → შ

სიტყვა აჭკენ („ბიჭი“) აშხარულში ხშირად წარმოდგენილია აჩკენის სახით (მაგ., 2; 10 დს სხვ.)<sup>1</sup>. ამ უკანასკნელიდან უნდა მომდინარეობდეს მთელ რიგ შემთხვევებში დადასტურებული მისი აშკენ-სახეობა, მაგ.:

აშკენ-ხეჭე – კუვ. 4 – პატარა ბიჭი

აშკენ – კუვ. 2, 14... ყმაწვილი, ბიჭი... და სხვ.

ჩ || შ

პირაქეთა დიალექტების შებჟონ („შუადღე, შუადღისას“) აშხარულში ერთხელ დავადასტურეთ ჩებჟან-ის სახით (იხ. 4).

პირაქეთა დიალექტებში „ფუტკარი“ არის ა შ ხ ა, აშხარულში ა ჩ ხ ა:

ჩხა-ჯგნჯეჟა – კუვ. 18 – ორმოცდაათი ფუტკარი

<sup>1</sup> იხ. აქვე, § 17.



## წ || ც (ზზიფ. ც')

„ნაცვლად“ პირაქეთა დიალექტებშია აცენხ.რას (ზზიფ. აც'ენხ.რას), აშხარულში – აწენჯ.გ (33).

## წ || ც

პირაქეთა დიალექტებშია აცაფხზ („გასაღები“), ტაპანთურსა და აშხარულში – აწაფხზ (იხ. 22).

## წ • || ც •

ინტენსივობის შინაარსით პირაქეთა დიალექტებში გვხვდება -წა ნაწილაკი, აშხარულში კი – ცა.

მაგ.:

ეფხშეწზა დეგ.გრღ'ა-ცან რჯ.და ჩააკალგრეს.თ – აფს. 37 – მის (მამაკ.) დას ძალიან გაუხარდა რა, კისერზე ჩამოეკიდა. შდრ. პირაქ. დიალექტ. დეგ.გრღ'აწან.

## კ' || ხ'

პირაქეთა დიალექტებში არსებული კ' გ წინდებული აშხარულში წარმოგვიდგა ხ' გ-ს სახით.

მაგ.:

...იიტ.გმ იმძარაშთა დახ' გმსგრაშთა... – აფს. 43 – რაც მას (მამაკ.) არ ეკუთვნის, ის რომ არ ჭამოს და მას (ხელი არ ახლოს) არ შეეხოს... (შდრ. პირაქეთა დიალექტების აკ' გსრა – „შეხება“).

## გ' → ჯ

-გ' გ („კიდევ“) ნაწილაკი ორჯერ დავადასტურეთ -ჯგ-ს სახით: დახ' გყაზარაჯგ დჰაურა ათავუპ – კუვ. 14 – ის (აღამ.), სადაც უნდა იყოს კიდევ, უნდა ვიშოვოთ (ვიპოვოთ) აქ.საჯგ დადგელე – აფს. 39 – ქოსაც თანახმა გახდა.

## გ' გ → დი

აჯაპ.დი – ფსხუ, კუვ. 1 – ქვაც

გმმათაქადი – ფსხუ, კუვ. 4 – მისი (მამაკ.) ტანსაცმელიც

## რ → ყ

აშხარულშიაც ისევე, როგორც ყველა სხვა აფხაზურ დიალექტში, კა-უზატივის აფიქსად გამოდის რ, მაგრამ ერთხელ მის ნაცვლად მოგვევლინა ყ-ც.

მაგ.:

დქქ.გმყწან – კუვ. 3, მთქმ. 15 წ. – მან (მამაკ.) ის (აღამ.) დასვა.

ამ მთქმელმა ტაპანთურის გავლენით (იგი მოწაფე იყო და სკოლაში ტაპანთურად სწავლობდა) აშხარული ტ-ს ნაცვლად (დექეგარტან) იხმა-

რა წ. (ასეთი აღრევის სხვა შემთხვევა არა გვქონია). მაგრამ აქ საყურადღებო ის იყო, რომ მან რ შეცვალა ყ-თი. ამ შემთხვევაში რ-ს მონაცვლე ბგერის სიმკვეთრე შეიძლებოდა მომდევნო წ.-სთვის (ან ტ.-სთვის) მიგვეწერა, მაგრამ რომ აქ პოზიციური ცვლილება არა გვაქვს და რომ საქმე გვაქვს რ ბგერის ყ-დ ცვლასთან, ნათელი გახადა სხვა შემთხვევამაც: ნაცვლად ი რ ა დ ჰ . ე დ ტ -ისა მანვე თქვა: იყადჰედტ – იქვე – „მათ უთხრა მან (მამაკ.) ის (რადაც)“.

ყ || ჰ

ჩიგწაჯა დგშტაშთა დგცან – აფს. 37 – „ის (ადამ.) პირქვე იწვა და ეძინა“. შდრ. პირაქ. დიალექტ. წაყა – „ქვევით“ (?)

ყ • || ყ

პირაქეთა დიალექტების აშ.ყ.გ-ს („წიგნი, წერილი“) ნაცვლად აშხარულშია აშ.აყა (18). აშ.აყა გვესმოდა ჯგერდეს კილოკავის (აბჟუური დიალექტი) ერთ-ერთი წარმომადგენლის მეტყველებაშიც<sup>1</sup>.

ჰ || ხ

პირაქ. დიალექტ. ახაჰ, ტაპანთური და აშხარული აჰანჯ. (1) – ქვა

ჰ • || ჰ •

პირაქ. დიალექტ. ახაჰ, ტაპანთური და აშხარული აჰანჯ. (1) – ქვა

ჰ || (ჰა →) აა

პირაქეთა დიალექტების აჰარა- ზმნა („სმენა, გაგონება“) ტაპანთურში გვაძლევს აჰარა-ს, აშხარულში აქედან უნდა მომდინარეობდეს აარა:

ისლამ დაადტ – კუვ. 15 – ისლამმა გაიგონა (ისლამს ესმა)

ბგერათა შენაცვლების მთელი რიგი შემთხვევები განხილული იყო ფონეტიკურ სისტემასთან დაკავშირებით და მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

<sup>1</sup> იხ. ტაპ. § 20, გვ. 56.

### თავი III. სრულხმოვნობა

§ 21. **სრულხმოვნობა.** იშვიათად აშხარულშიაც შეიძლება შევხვდეთ ხმოვან-მოკვეცილ ან შეკუმშულ ფუძეებს, როგორცაა მაგ.:

- აამბესთ –კუვ. 21 – აზნაური (შდრ. პირაქ. დიალექტ. სამესთა)  
აგინაჰ –კუვ. 23 – ცოდვა, ბრალი (შდრ. პირაქ. დიალექტ. აგინაჰა)  
აჯჯ –კუვ. 23 – ორნი (შდრ. პირაქ. დიალექტ. აჯჯა).  
აჯჯა პარალელურად აშხარულშიაცაა)  
ჰკუნკ –კუვ. 18 – ერთი ბიჭი (შდრ. პირაქ. დიალ. ჰკუნკ)  
სეჟჟჟჟ –კუვ. 11 – მე შენი (მამაკ.) სიძე ვარ [პირაქ. დიალექტ. – სეჟჟჟჟჟ... და სხვ.<sup>1</sup>

მაგრამ აშხარულს მეტად, ვინემ რომელიმე სხვა დიალექტს, ახასიათებს სრულხმოვნობის დაცვა<sup>2</sup>.

- აჰატა –კუვ. 12 – საჭმელი (შდრ. პირაქ. დიალექტ. აჰატა)  
ხენტაგ, ჟანტაგ –კუვ. 8 – ხუთჯერაც, ათჯერაც (შდრ. პირაქ. დიალექტ. ხენტაგ, ჟანტაგ)  
რაბა –კუვ. 1 – მათი მამა (შდრ. პირაქ. დიალექტ. რაბ)  
უჯალა! –კუვ. 9 – შენ (მამაკ.) ადი ზემოთ (შდრ. პირაქ. დიალექტ. უჯალა!)  
ჯემსარგა –კუვ. 26 – ცოცხი (შდრ. პირაქ. დიალექტ. აჯემსარგა)  
ალასკ.გა –კუვ. (კერძო საუბრიდან) – საჩქელი (შდრ. პირაქ. დიალექტ. ალასკ.გა)  
მახჩაგ –კუვ. 21 – აქლემიც (შდრ. პირაქ. დიალექტ. (ა)მახჩაგ)  
აჟლარა –კუვ. 23 – ხალხი (შდრ. პირაქ. დიალექტ. აჟლარა)  
აქტა –კუვ. 5 – სოფელი (შდრ. აქტა; ტაჰანთ. დიალექტ. აქტა)  
ყამჩღლა და- –კუვ. 2 – მათრახით იგი (ადამ.) მას (რადაცას) სცემს-სა-მაცარა... შდრ. ტაჰ. დიალექტ. – მცგრა, მცრა  
(ა)ჩაფარა –კუვ. 4 – კეთება (შდრ. ტაჰ. დიალექტ. ა-ჩაფარა)  
აშალა –აფს. 36 – შიმშილი (შდრ. პირაქ. დიალექტ. აშალა)  
ათარა –კუვ. 7 – სადგომი, სათავსი (შდრ. პირაქ. დიალექტ. – ათარა)  
აბაგა –აფს. 41 – მელა, მგელი (შდრ. პირაქ. დიალექტ. აბაგა)

<sup>1</sup> იხ. აგრეთვე ხმოვანთა პოზიციური რედუქცია, აქვე § 13.

<sup>2</sup> შდრ. ტაჰ. § 24.

ამაყა	-აფს. 39 –	წიგნი, წერილი (შდრ. პირაქ. დიალექტ. – აშ.ყ.გ)
ტოჟაწაღა სმარა	-აფს. 37 – -აფს., აბა- ზაქ. 27 –	ახლავე (შდრ. პირაქ. დიალექტ. – ტოჟაგწა) მზე (შდრ. პირაქ. დიალექტ. – სმრა)
ზანგ	-კუვ. 1–	ერთხელ (შდრ. პირაქ. დიალექტ. – ზნგ)
აბარირუპ	-კუვ. 21 –	ესაა (შდრ. პირაქ. დიალექტ. – აბრირუპ)
რზაგაგ	-აფს. 36 –	მისი (მამაკ.) ამხანაგებიც (შდრ. პირაქ. დიალექტ. – რვზაგაგ)
იხგაბგუზ	-აფს. 38 –	მესამე (ადამ.) (შდრ. ტაპ. იხგაბგუზ)
კარა ძემა?	-აფს. 35 –	რამე (ბევრი) დაიკარგა? (შდრ. პირაქ. დიალექტ. (ა)კრგ ძემა?)...

და სხვ.

„ხე“ ამხარულშიაც სხვა აფხაზურ დიალექტთა მსგავსად არის აწ - ლ ა (იხ. 35), მაგრამ ერთხელ ჩავიწერეთ:

წალაჟ-დგუკ აზ.ჯანა იქ.გნ – აფს. 37 – ერთი დიდი ძველი ხე (შეშა)

მას (მამაკ.) მხარზე ედო

თითქოს ეს წაცდენის შედეგი არ უნდა იყოს. ასეთი რამ მოსალოდნელი ჩანს.

ამხარული დიალექტისთვის დამახასიათებელი სრულხმოვნობის თვალსაზრისით საყურადღებოა გაორკეცებულ ძირთა შორის ხმოვნის დაცვაც (იხ. §9), აღნიშნულ ადგილას განხილულ შემთხვევებში ხმოვანი არ გვხვდება აფხაზურის არცერთ დიალექტში.

## თავი IV. მახვილი

§ 22. **მახვილი.** ზოგჯერ აშხარულში სიტყვას (ან ფორმას) მახვილი აქვს პირაქეთა დიალექტებისაგან განსხვავებულ ადგილას. მაგ.:

იწაზბრგუმა?	-კუვ. 23 –	ის (რაღაც) მართალია? (შდრ. პირაქ. დიალექტ. იწაზბრგუმა?)
იზანრ დეიბზჰჰაზ გუმდრუმა?	-კუვ. 19 –	რაც ჩვენ ერთმანეთს სიტყვად ვუთხარით, შენ (მამაკ.) არ იცი? (შდრ. პირაქ. დიალექტ. იუმდგრუმა?)
შეჟემთან ნამაზ ანყალ-პრააკ...	-კუვ. 15 –	დილის ლოცვა რომ იქნება... (შდრ. პირაქ. დიალექტ. ანგყალარაკ)
აცგზგზ	-კუვ. 16 –	კატაც (შდრ. პირაქ. დიალექტ. აცგზგზ)
ემაკგრარემან. ემაკგრან ირგმაზ...	-კუვ. 10 –	მათ დავა (ჩხუბი) ჰქონდათ. საჩხუბრად რაც ჰქონდათ... (შდრ. პირაქ. დიალექტ. ამაკგრა...)
დარგზგმედ <sup>1</sup>	-კუვ. 11; აფს. 36 –	ის (ადამ.) მათ დაეწია (შდრ. პირაქ. დიალექტ. დარგზგმედ)
ისჰიიტ <sup>2</sup>	-კუვ. 8 –	ის (რაღაც) დავლიე (შდრ. პირაქ. დიალექტ. იზჰგმეტ <sup>3</sup> )
იფა დაადდგრგახტ	-კუვ. 11 –	მან (მამაკ.) თავისი ვაჟი მოაყვანინა მათ (შდრ. პირაქ. დიალექტ. დაადდგრგეტ, დაადდგრგახიტ)
აგინაჰ	-კუვ. 23 –	ცოდვა, ბრალი (შდრ. პირაქ. დიალექტ. აგინაჰა) და სხვ.

განსხვავებულ ადგილას მახვილი შეინიშნება ზოგჯერ ზმნის კითხვით ფორმებშიაც<sup>4</sup>.

<sup>1</sup> შდრ. ტაკ. § 25.

<sup>2</sup> შდრ. ტაკ. § 25.

<sup>3</sup> მახვილთან დაკავშირებით სათანადო ცვლილებაც მოხდა პირის ნიშანში: პირაქეთა დიალექტებში იგი უშუალოდ შეხვდა ფუძის თანხმოვანს და გამჟღერდა. აშხარულში (და ტაპანთურში) – კი არა.

<sup>4</sup> ამის შესახებ იხ. აქვე, ქვემოთ.

# მორფოლოგია

## თავი V. სახელი

§ 23. **სახელის ზოგადი და განსაზღვრული ფორმისათვის აშხარულ დიალექტში.** აფხაზური ენის პირაქეთა დიალექტებს ახასიათებს ა პრეფიქსით გამოხატული სახელის ე. წ. ზოგადი ფორმა. მაგ., ანაპგ – ხელი (საერთოდ), აშ – კარი (საერთოდ). ყოველი საზოგადო სახელი დაირთავს ამ ა პრეფიქსს<sup>1</sup>.

ტაპანთურ დიალექტში მკვეთრად ჩამოყალიბებულა საზოგადო სახელის განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი ფორმები. იგივე ა- პრეფიქსი, რაც პირაქეთა დიალექტებში გვევლინება ზოგადი ფორმის აფიქსად, ტაპანთურში გამოყენებულია განსაზღვრული ფორმისთვის. ანაპგ, აშ. აქ არის „ხელი“, „კარი“ (განსაზღვრული), ხოლო განუსაზღვრელი ფორმა პირაქეთა დიალექტების შესაფერი საერთო მნიშვნელობით არის – ნაპგ „ხელი“, შ.ე „კარი“ (საერთოდ)<sup>2</sup>.

ეს უკანასკნელი სახეობები აქა-იქ გვხვდება პირაქეთა დიალექტებშიაც. უფრო ხშირად მას ადგილი აქვს აშხარულ დიალექტში.

მაგ.:

ზანგ ჴანდერკ შ.ეღლა	-კუვ. 1	ერთხელ ერთ ურემზე ფქვილი იდო რა, ერთ ვიღაცას მიჰქონდა
აპგე შ.აყაიზგრვტ	-კუვ. 1	მთავარს (კი) წერილი მისწერეს
ჩ.ე გ'უსთუმამ-იჰ.ე	-აფს. 42	ცხენს შენ (მამაკ.) არ მოგცემო, თქვა მან (მამაკ.)
თაცა დებზჰან დეს-გ'ედხვზ ჩ.ეზაპგკ აქ.ტო	-აფს. 37	პატარძალი (რძალი) შენთვის (დედაკ.) მომყავდა რა, სამფეხა ცხენზე მჯდომმა მომტაცა (წამართვა)... და სხვ.

მაგრამ ის გარკვეულობა, რაც ამ მხრივ ახასიათებს ტაპანთურს, აშხარულში არ შეინიშნება. სრულიად ერთნაირს შემთხვევაში შეიძლება იყოს როგორც უ-ა-ნო, ისე ა-ნიანი ფორმები. მაგ.:

<sup>1</sup> იხ. ტაპ. § 26.

<sup>2</sup> იხ. ტაპ. § 27.

- ნეჟფალა-საჟფალა წგნ. – აფს. 28 – სკუპ-სკუპ ბოლოცანცარა (=ყვა-რეს.გსა (= ყ ა ნ ჯ ა) ვ ი)
- ძგდაყა ცჰა (=ლ აღ.რა, – აფს. 28 – უწყლოდ ხ ი დ ი (=ს ხ ვ ე ნ ი, ჯ. გ ბ ლ გ) ჭ ე რ ი)
- მაგრამ:
- აჰ იყამჩგ ამჰა იჟერს.უ – აფს. 28 – ბატონის მათრახი გ ზ ა ზ ე გაგ-დეზული (=გ ვ ე ლ ი)
- ძგდაყა ჰაყ.არს (=ა ფ გ - – აფს. 28 – უწყლოდ ჭ ე რ ე ხ ი (=კ ბ ი - ც ქ ა) ლ ე ბ ი)
- ცემლანდაყა ლაღ.არს ჯალა – აფს. 28 – უკიბოდ სხვენზე ადის (=კ ვ ა - მ ლ ი)... და სხვ<sup>1</sup>.

სახელის განსაზღვრული ფორმა ჩამოყალიბებულია აშხარულშიაც, ოღონდ აშხარულ დიალექტში განსაზღვრულობის აფიქსად გამოდის არა იგივე **ა**, რაც ტაპანთურში გვაქვს, არამედ სხვა ელემენტი. ესაა **-ხ** სუფიქსი.

იგი დაერთვის როგორც **ა**- პრეფიქსის მქონე, ისე **ა**- პრეფიქსის არ-მქონე სახელის ფუძეებს.

მაგ.:

- აბარა აჩგუ დაადა, ა თ ა ჩ ა - – აფს. 37 – ეს ცხენოსანი, რომელიც მოდის, ნ კ ა (განუსაზღვრ.) სგს.ც-ანტმბგ... [ჩ.ებშაპგკ] „ჰაა!“ – იჰან დაარტჰგნჰგნ ა თ ა - ჩ ა ნ კ ა ზ (განსაზღვრ.) დაი-რესტ
- „არაყა აშარან შარდოჰ“ – – აფს. 37 – „აჟ ნადირი ბლომად არისო“ – რჰან, აშაშცა: – „აჟარს ჰაა-წბანა ჯ ა ბ ჟ გ, (განუსაზღვრ.) – თქვეს რა, (ორმა ძმამ) ძმებმა: – „შენ ჩვენო უმცროსო, ქეცია-ნო (განუსაზღვრ.), ცეცხლი მოგვიზადე (დაგვინთე), ჩვენ ნადირს მოვკლავთ და მოვიტანთ“-ო, – თქვეს რა, ორივე ძმა ტყეში წავიდა. ქეცია ნ მ ა (განსაზღვრ.) ცეცხლიც დაანთო და მას მიუჯდა (მიმჯდარია)

<sup>1</sup> ეს **ა** აფიქსი აშხარულში დაერთო ზოგ ისეთ ზმნისართსაც, რომლებშიც **ა** არ შეგვხვედრია არცერთ სხვა აფხაზურ დიალექტში. მაგ.: ზმნისართი ნ ა ს („მერე“) დავადასტურეთ ანას (კუვ. 12) სახეობითაც; ზმნისართი დ ა რ ა („ძალიან“) კი – ა დ ა რ ა-ს სახით: სარს სგუტსჰა ა დ რ ა იზბროჰ – აფს. 37, (ფსხუ. კ. 1) – „ჩემი საქმეები ძ ა ლ ი ა ნ კარგადაა“.

სმარა ქენდე მანნ, – აურ – აფს. 37 – მზემ რომ დასავალს მიაღწია, ამ ასაჰათ აჰე იჰემშეჰაკ დაათლახტ რეკადეგე აჰე. აჰე გენგ (განუსაზღვრ.) ინაშელან რეხგვანშეჰაკ იჰენახემჰაკ ირბედტ. მანგ-რბახ, „ართ ჰახშეჰაკ აბაცა?“ – რჰე. ჯახჰეზ (განსაზღვრ.) სბნა დაალესხენ აჰე გენგ (განსაზღვრ.) დანაშეგლა დაშეჰეჰაკ აჰე აჰე იბედტ

...აურთ რზეგე დეგეშთა ეშააჰე რეგეჰალა ჩეგ-ჯეკ დაააშთა დერბედტ. ლარა დანაფშეგ, დელდ-ერტ... აჩეგეზ მირა დეზეჰეტაჰე აჩეგე ედრესტ

– აფს. 37 – ...ესენი ყველანი ერთად რომ მოდიოდნენ, მათ უკან ერთი ცხენოსანი მოდიოდა რა, დაინახეს. მან (დედაკ.) რომ მოიხედა, იცნოს (აღამ)... ცხენოსანი (განსაზღვრ.), მირა რომ იჯდა, [იმ] კვიცს დაეჰეტაკა (დაარტყა)

ხოჯა-ჰე დეჰან. სბნა დცან, წლავ დჯალან, სმაჰ დეჰეტან. იფგეჰა დალაგე. ამგე მანდალა დემჰედსან ხეტაჰე დედბედტ

– აფს. 44 – ხოჯა (ვინმე) იყო. ტყეში წავიდა, ხეზე ავიდა, ტოტზე იჯდა. მოჰრა დაიწყო [ტოტისა]. ვილაც გზად მიდიოდა. [მან] ხოჯა (განსაზღვრ.) დაინახა.

...„ტოჰეაწეღან არი აურ-ჯაჰე აჰე სომ-შეგე აჰე სომკ სგხუ-შა იჰაკჰარი, გშაშტესხერემ“ – იჰან ხეტაჰე რეგეზა დედჰე(დ)ეა. აურ ასაჰათ რეგეზაზ (განსაზღვრ.) დედელწენ, აურ-ჯაჰე აჰე იჰაკგეჰედ სომ-შეგე აჰე სომკ აგხუშთა

– აფს. 34 – ...„ახლა ამ ბუხარში ასი მანეთი ერთ მანეთ ნაკლებ რომ ჩამოვარდეს, არ ავიღებ“-ო, ხოჯამ უთხრა თავის ამხანაგს. ამ დროს მისი ამხანაგი (განსაზღვრ.) გავიდა და ბუხარში ჩამოაგდო ასი მანეთი მანეთ ნაკლები...

სომკაპრეჰე-ჰე ჯწეჰე დეჰან. – ფსხუ, კ. 11 – სომკაპრეჰე კაცი ვინმე იყო. (მერე) იმ სოფელში ის ერთ ბატონთან (განუსაზღვრ.) მსახურად იყო. ამ ბატონს (განსაზღვრ.) ერთი დანა (განუსაზღვრ.)



ნას აუტე იგ. ომედიტ აუტე  
სომკაპიკაზ. ნას უპპ-  
გსფა აასტ!-იპ. ედტ, ჯარა  
სცუმტ! - იპ. ეტ, ნას სპ. გს-  
ფაზი ითედიტ ანტ. სპ. გს -  
ფაზ ითან დცედიტ

ღვრ.) ჰქონდა, დანით (დანის  
თან ქონით), სადაც წავიდოდა,  
ბედი მოსდიოდა (მოულობდა).  
მერე ეს შეამჩნია (შენიშნა) ამ  
სომკაპიკამ (განსაზღვრ.).  
[მერე] შენი დანა მომეციო, სხვა-  
გან (ერთგან) მივდივარო! – თქვა  
[მერე] ამან მისცა დანა (გან-  
საზღვრ.). დანა (განსაზღვრ.)  
მისცა რა, ის (აღამ.) წავიდა...

იგი [-ზ სუფიქსი – რედ.] შეიძლება შეგვხვდეს საკუთარ სახელთანაც,  
მაგრამ ეს საკუთარი სახელი ნაწარმოები ჩანს ზოგადი სახელისაგან. მაგ.:

...ნართეფჰა მირა სკაპა – აფს. 37 –  
დაქ. ტაშთა დედმედიტ ჩებ-  
შაპუკ. „ჰად“! იპ. ან, დაირტვ-  
ენპ. ენ ათაჩანკაზ დაირ-  
გსტ. დაქ. ტაქაზ სხვკვკტ  
იკვლემფსქ, სნართეფჰა  
მირა სკაპაზ დააშტ-  
ემფან დედმაშთა დდექ-  
ლემტ  
...დაქაშთოუ დაპბოუპ. და –  
ქაშთ იფა დედმბრუპ. და –  
ქაშთ გზ აჩამდარა (რახ-  
გააცარა) დცატ  
სომკაპიკა, კრე ლტმაზარი, – ფსხუ –  
იკვზაცა ირტემედიტ... სო –  
მკაპიკაზ (განსაზღვრ.)  
დტმცოზ ბჟჟმ. ჩაცაკ დრტ-  
ქს. იტ

...ნართების ასული მირა  
სკვაჟვა ზედ [ურემზე] იჯდა  
რა, დაინახა სამფეხა ცხენზე  
[მჯდომმა]. „ჰე!“-ო თქვა რა,  
მოაბრუნა [ცხენი] და ურემს და-  
ატაკა. ზედ ვინც იხსდა, სამნივე  
გადმოყარა. ნართების ასული  
მირა სკვაჟვა (განსაზღვრ.)  
აიტაცა, წაიყვანა და გაემართა  
...დაქაშთი უფროსია. დაქაშ-  
თის ძე უმცროსია. დაქაშთი  
(განსაზღვრ.) საქონლის მოსარე-  
კად წავიდა... და სხვ.  
სომკაპიკამ, რაც მას (დედაკ.)  
ჰქონდა (ებადა), თავის ამხანა-  
გებს მისცა (დაურიგა)... სომ-  
კაპიკა (განსაზღვრ.) მიდიოდა  
რა, შეხვდა შვიდ ცხენოსანს.

კითხვა დგება: რას უნდა წარმოადგენდეს ეს **-ზ** სუფიქსი? ვფიქ-  
რობთ, იგი სხვა არაფერია თუ არ ნამყო დროის (ნამყო განუსაზღვრე-  
ლის) ინფინიტური ფორმის აფიქსი.

აფხაზურ ენაში ზმნები განარჩევენ ფინიტურსა და ინფინიტურ  
ფორმებს. ფინიტურ – ფორმიანი ზმნა გამოხატავს წინადადების  
სისრულე-დამთავრებულობას. ინფინიტურ – ფორმიანი  
ზმნა კი – წინადადების დაუმთავრებლობას და უდრის სხვა ენათა  
დამოკიდებულ წინადადებას.

შდრ.:

**ფინიტური**

სარა სცეძტ – მე წავედი

**ინფინიტური**

სარა სანცა(ზ) – მე სადაც წავედი... და სხვ.

აფხაზურში არა გვაქვს ქართველური, ევროპული თუ სხვა ენებისათვის დამახასიათებელი სათანადო კავშირებით (**სადაც, როგორც, რომ, ვინც...**) გამოხატული დამოკიდებული წინადადება. ამდენადვე თავისებურია აფხაზური რთული წინადადების სინტაქსიც.

ზემოხსენებულ მოვლენასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული აფხაზური ზმნის ძირითადი მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიის ფინიტობა-ინფინიტობის რაობის საკითხიც.

აფხაზური ზმნის ინფინიტურ ფორმებში იყრის თავს ის ნაწილაკები, რაც შეეფერება სხვა ენების დამოკიდებული წინადადების კავშირებს. ამ ნაწილაკთა (ან – „სადაც“, ან – „როცა“, ში – „როგორც“...) დართვისას ზმნას ფინიტობის აფიქსი აღარ ექნება. ინფინიტურ ფორმაში კიდევ დროისათვის ახალი აფიქსი გამოვლინდება. ნამყოში ასეთი სუფიქსია **-ზ**. იგი ცვლის ფინიტური ფორმის ნამყოობის **-ნ** სუფიქსს (შდრ. ძარგონ – ის (რადაც) მათ მოჰქონდათ, მაგრამ: ძანარგოზ – „ის (რადაც) მათ, როცა მოჰქონდათ“).

ზმნის ინფინიტურ ფორმას ჩვეულებრივ ახლავს ესა თუ ის საგარემოებო აფიქსიც:

მაგ.:

ს- <b>ან</b> -ცა-ზ	–	სადაც-წავედი	(რომ წავედი)
ს- <b>ან</b> -ცა-ზ	–	როცა-წავედი	( „ „ )
სგ- <b>ში</b> -ცა-ზ	–	როგორც-წავედი	( „ „ )

ამათთანავეა გათანაბრებული ე. წ. ზმნის მიმართებით ნაცვალსახელიანი ფორმები. პირის მიმართებითაა ამდენადვე ანალოგიური წესით გამოიხატება ზმნის ინფინიტურ ფორმაში. სათანადო ნიშნად **დ**-ს რიგის პირის აფიქსებში გვევლინება **ი**-, **ლ**-ს რიგისაში კი – **ზ**- პრეფიქსი.

ი-ცა-ზ – ის, რომელიც (ვი ნ ც, რ ა ც) წავიდა...

სგ-ზ-ბა-ზ – ის, რომელმაც (ვი ნ ც, რ ა მ ა ც) დამინახა... და სხვ.

ხშირად კიდევ შესაძლოა, საგარემოებო აფიქსი ან პირის მიმართებითობის გამოხატველი (**ი**-, **ზ**-) პრეფიქსები არ იყოს ზმნაში წარმოდგენილი, მაგრამ ინფინიტური ფორმა მაინც გვექონდეს. ასეთ შემთხვევაში ამ ფორმით **ზოგადი**, ქართული **რომ** კავშირის შესადარი შინაარსი გადმოიცემა:

მაგ.:

ს ც ა - ზ ჯ`გსშან – „რომ წავედი-მეგონა“ (მეგონა, რომ წავედი), ე. ი. საქმე გვაქვს კვლავ იმავე დამოკიდებულ წინადადებასთან (სხვა ენებისა).

საყურადღებოა, რომ ზემომოყვანილ საგარემოებო ნაწილაკიანი ინფინიტური ფორმებიც ხშირად ასეთ ზოგად („რომ“-ის) მნიშვნელობას ატარებენ, იხ. აქვე, ზემოთ).

აქ ზმნაზე თქმული ვრცელდება სახელის ფუძეზეც. რამდენადაც აფხაზურში ყოველი სახელის ფუძე შეიძლება ზმნად (კერძოდ, სტატიკურ ზმნად თავისი მარტივი სახელური ფუძით) იქნეს გამოყენებული.

მაგ.:

დღუოჟგ-ნ – ის კაცი, ადამიანი იყო

ი-უოჟგ-ზ – ის, ვინც ადამიანი იყო

უოჟგ-ზ – ჯგსჷან – ადამიანი, კაცი რომ იყო, მეგონა (მეგონა, რომ ადამიანი, კაცი იყო)... და სხვ.

აფსუის კილოკავისათვის დამახასიათებელი წარმოება ჯგნგ-ზ „სახლი“ (განსაზღვრული) წარმოადგენს თავის მხრივ სახელის ფუძისაგან ნაწარმოებ **ზმნის ინფინიტურ ფორმას ნამყო განუსაზღვრელში**. აქედან უკვე ჯგნგ-ზ ნიშნავს: „სახლი-რომ-იყო“, ხოლო შემდეგ მასზე ჩვეულებრივ დართულია სახელის ა- აფიქსიც და ვიღებთ: „აჯგნგ-ზ“-ს.

განსაზღვრულობის გამოხატვის ეს წესი გარკვეულ კავშირში უნდა იყოს ტაპანთურსა და აშხარულ დიალექტებში გავრცელებულ რიგითი რიცხვითი სახელის ამა თუ იმ დროის გადმოცემის წესთან<sup>1</sup>.

შდრ.:

**პირაქეთა აფხაზ. დიალექტების**

ახფა, ახფატო – „მესამე“.

**პირიქითა აფხაზ. დიალექტების**

ი-ხფახგუ; ი-ხფახუ-ზ – „მესამე“, (ის, რომელიც მესამევედება; ის რომელიც მესამევედებოდა)<sup>2</sup>.

ამ ნიადაგზე სახელის განსაზღვრულ ფორმაში მოსალოდნელია სტატიკური ზმნის აწმყო ს ინფინიტური ფორმაც შეგვხვდეს (მაგ., „[ა]-ჯგნგ-უ“)<sup>3</sup> მაგრამ **გაბატონებულია ნამყო განუსაზღვრელის ფუძე** „[ა]-ჯგნგ-ზ“).

<sup>1</sup> იხ. ტაპ. § 34.

<sup>2</sup> პირაქეთა დიალექტებში ამისათვის გვაქვს იგივე ა- პრეფიქსი (შდრ. ა-პრეფიქსის განსაზღვრ. ფუნქცია ტაპანთურში), პირიქითა დიალექტებში კი – ზმნის ფორმა ექვივალენტი სხვა ენების დამოკიდებული წინადადებისა.

<sup>3</sup> ამ მხრივ საგულისხმოა ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში (სოფ. აზაზაქთში ჩაწერილი ტექსტიდან) საკუთარი სახელის ფორმა: ააქაშთოუ :

ძალზე საყურადღებოა თვით ხერხი სახელის განსაზღვრულობის ამ წესით გამოხატვისა. როგორც ვნახეთ, ამ მიზნით გამოყენებულ იქნა ზმნის ინფინიტური ფორმა, აფხაზური ზმნის ინფინიტური ფორმა კი შესაფერია სხვა ენათა დამოკიდებული წინადადებისა.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ზოგ ქართულ დიალექტში დადასტურებული დამოკიდებული წინადადების გამოხატვის წესი, რომლითაც ხაზი ესმის ამგვარი წინადადების განსაზღვრულ ბუნებას.<sup>1</sup>

აფხაზური ენის აშხარულმა დიალექტმა სახელის განსაზღვრულ ფორმას საფუძვლად დაუდო ზმნის ინფინიტური ფორმა, რაც სხვა ენების დამოკიდებულ წინადადებას ეთანაბრება და განსაზღვრულ შინაარსს ატარებს.

სახელის განსაზღვრული ფორმისა და დამოკიდებული წინადადების წარმოებაში ერთი და იმავე ელემენტის გამოყენება დასტურდება ძველ ქართულშიაც. ორსავე შემთხვევაში ნაწევარი „ი გ ი“ უნდა გამოხატავდეს განსაზღვრულობას.

მდრ. ი გ ი

#### სახელთან

და სხუად დავარდა ეკალთა შორის და ეკალნი იგი აღმოსცენდეს და შეაშთვეს იგი<sup>2</sup>.

#### დამოკიდებულ წინადადებაში

მაშინ იწყო იესუ ყუედრებად ქალაქებისა მის, სადა იგი ექმნეს უმრავლესნი ძალნი მისნი<sup>3</sup>.

ამგვარად, აფხაზური ენის აშხარულ დიალექტში სახელის განსაზღვრული ფორმის საწარმოებლად გამოყენებული **ზ** აფიქსი იგივე **-ზ** აფიქსია, რაც ზმნის ინფინიტური ფორმის ნამყო დროის **-ზ** აფიქსი.

თვით აფიქსის წარმოქმნის ისტორიისათვის საყურადღებოა, რომ არა ყველა შესაძლო ინფინიტური ფორმის აფიქსი გაბატონდა სახელში

...დაქაშთოუ დაჰბოუპ. დაქაშთ იფა დემბრუპ. დაქაშთ თე-ზ აჰამდარა (რახე ააცარა) დცატ

- 27 -

...დაქაშთი (=დაქაშთი-რომაა) უფროსია. დაქაშთის ძე უმცროსია. დაქაშთი (განსაზღვრ.) =დაქაშთი-რომიყო) საქონლის მოსარეკად წავიდა.

აქ ერთი და იმავე საკუთარი სახელის დაქაშთ-ის განსაზღვრული ფორმა წარმოგვიდგა, როგორც -ზ-თი გაფორმებული (ე. ი. ნამყოზე დაფუძნებით), ისე (ო)უ-თი გაფორმებულიც (ე. ი. აწყოზე დაფუძნებული)

<sup>1</sup> იხ. ჩვენი: „დამოკიდებული წინადადების ერთი თავისებურება ზოგ ქართულ დიალექტში“. – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, 1946 წ.

<sup>2</sup> იხ. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გამოსცა აკ. შანიძემ. 1945 წ. მათე, 13,7 DE.

<sup>3</sup> იქვე, მათე 11,20 DE.

განსაზღვრულობის ფუნქციით, არამედ ერთი მათგანი, სახელდობრ ნამყოობის (ნამყო განუსაზღვრელის) ინფინიტური ფორმის **-ზ** აფიქსი.

§ 24. **რიცხვის ფორმები სახელებში.** მრავლობითის საწარმოებელ აფიქსთა მხრივ აშხარულში ისეთივე ვითარება გვაქვს, რაც სხვა აფხაზურ დიალექტებში.<sup>1</sup>

**-რა** კრებითი მრავლობითის მაწარმოებელი აქაც ახასიათებს მხოლოობითის ფუძის **-ს** სუფიქსით გაფორმებულ სახელებს.

მაგ.:

- უთ აწგ-**რა** ედფუმნგ ითრპ – კუვ. 10 – ისინი ჩიტები ვით არიან შიგ (შდრ. მხოლოობ. აწგს – ჩიტი)  
 აქგქან-**რ-გ** აჰან დაქედტ – კუვ. 5 – წიწილებიც ღორმა შეჭამა (მხოლოობ. აქგქეს)  
 აგქან-**რა-ზ** გქქაგ – კუვ. 23 – პატარა წიწილებიც... და სხვ.

იქვე ჩვეულებრივია **-ქა** აფიქსდართული მრავლობითის ორმაგი წარმოებაც.

მაგ.:

- აწგ-**რა-ქა** აადტ – ფსხუ, 15 – ჩიტები მოვიდნენ  
 აგქან-**რა-ქა** – კუვ. 15, 23 – წიწილები  
 ასან-**რა-ქა** ა – კუვ. 5 – ხბოები... და სხვ.

იმავე შემთხვევებში ხშირი მოვლენაა მხოლოობითის ფუძეზე უშუალოდ **-ქა** აფიქსის დართვაც:

- ასგს-**ქა** – კუვ. 5 – ხბოები... და სხვ.

ტაპანთურში შემკრებლობითს საკუთარ სახელთა, გვართა, ზოგჯერ ტომთა და სხვა სახელებში **-რა** კრებითობის აფიქსის მქონე ფუძეს სისტემატურად დაერთვის ადამიანთა მრავლობითის **-ზა** სუფიქსიც (პირაქეთა დიალექტების **აა**). ასეთი წარმოება არც პირაქეთა დიალექტებშია უცხო, მაგრამ აქ უფრო გავრცელებულია ოდენ **-ან** (←**ზა**) აფიქსიანი მრავლობითი სათანადო შემთხვევებში.<sup>2</sup>

აშხარულში პირაქეთა დიალექტების მსგავსად მარტო **-აა** (|| **ზა**) გვხვდებოდა... მაგალითად, გვისახელებდნენ გვარებს: **ახან** (= ახბები, ახბანნი), **ამან** (ამბები, ამბანნი), **ხრაჩა** (=ხრაჩები, ხრაჩანნი) და სხვ. გვხვდება რთული **რაა** (=რა+აა)-ც. ქალის (ცოლის) მამის ოჯახს მაგალითად, იქაც უწოდებენ **აბ-რაა** (აბა-რაა)-ს – „მამანთი“ (გურ. „თავის სახლი“).

<sup>1</sup> იხ. ტაპ. § 29.

<sup>2</sup> იხ. ტაპ. § 29.

აღნიშნულ შემთხვევებშიაც მრავლობითის ორმაგი წარმოებისას გამოყენებულია იგივე **-ქა** სუფიქსი.

მაგ.:

ხრაჩ-აა-ქა – კუვ. 10 – ხრაჩები, ხრაჩაანი  
აჲ-აა-ქა – კუვ. 21, 23 – ხალხი... და სხვ.

ნივთთა კლასის მრავლობითს აქაც მხოლოდ **-ქა** აწარმოებს.

მაგ.:

ლოტეძ-ქა – კუვ. 22 – მისი (დედაკ.) სახლები  
სეჲტეს-ქა – აფს. 37 – ჩემი საქმეები  
აფტე-ქა – აფს. 28 – კბილები  
ას-ტწა-ქა – აფს. 35 – ტანსაცმელები  
აშა-ქა – აფს. 36 – სისხლები... და სხვ.

აღამიანთა მრავლობითში აქაც **-ცა** გვაქვს:

მაგ.:

აღ-ეჩ-ცა – აფს. 85 – ქურდები  
აჰ იფჰა-ცა – აფს. 85 – ბატონის, მთავრის ქალიშვილები  
რჰზა-ცა-გ-ე – აფს. 36 – მისი (მამაკ.) ამხანაგები  
ქმმაკ-ცა – კუვ. 17 – მოდავეები  
ჰჰკუნ ცა – კუვ. 8 – ბიჭები, ყმაწვილები  
ჰგ-ლა ცა – კუვ. 8 – მეზობლები... და სხვ.

მაგრამ არც თუ იშვიათი მოვლენაა იმავე შემთხვევებში **-ქა** აფიქსის ქონაც.

მაგ.:

ჰენბჰჯალ-ქა – კუვ. 12 – ორი მეგობარ(ებ)ი  
აგ-ლა-ქა – კუვ. 16 – მეზობლები  
აშარაცაჰ-ქა – აფს. 38 – მონადირეები... და სხვ.

უფრო დამახასიათებელია ტაპანთური დიალექტის მსგავსად, მრავლობითის უკვე **-ცა**-თი ნაწარმოებ ფუძეზე განმეორებით **-ქა** აფიქსის დართვა.

მაგ.:

აჰა-ცა-ქა – კუვ. 19 – კაცები  
უფა-ცა-ქა – კუვ. 5 – შენი (მამაკ.) ვაჟები  
ჰჰკუნ-ცა-ქა – კუვ. 8 – ბიჭები, ყმაწვილები  
აჩა-ცა-ქა – კუვ. 10 – ცხენოსნები

- სას-ცა-ქა-კ სემედიტ – კუვ. 9 – (ვიდაც) სტუმრები მყავს<sup>1</sup>  
 სახშ-ცა-ქა – აფს. 36 – ჩემი დები  
 ლგსაბი-ცა-ქა-გ გ – აფს. 38 – მისი (დედაკ.) ბალები...

და სხვ.<sup>2</sup>

„ქალ“- (აფკ.გს) სიტყვის მრავლობითი აფხაზურში ბოლო ნაწილის გაორკეცებით იწარმოება და გვაქვს სპ.ს (ს) ა („ქალები“). ასეთი წარმოება დასტურდება აშხარულშიაც.

საერთოდ აფხაზურში ამ ფუძეს -ქა აფიქსიც ახლავს. ასევეა აშხარულშიაც:

აქეთ რგპ. ს ს ა - ქ ა – აფს. 36 – სოფლის ქალები.

ოღონდ აშხარულში უფრო ხშირად ვხვდებით მხოლოდობითი რიცხვის ფუძეზე -ქა ან -ცა მრავლობითის აფიქსთა დართვის შემთხვევებსაც.

მაგ.:

- აფკ.გს-ქა – კუვ. 9 – ქალები  
 ივგფკ.გს-ცა-გ გ – კუვ. 10 – მისი (მამაკ.) ორივე ცოლ(ებ)ი... და სხვ.<sup>3</sup>

აფკ.გსა („ქალიშვილი“, „პატარა ქალი“) – სიტყვის მრავლობითად გვხვდება ა ფ კ . გ ს ფ ა - ქ ა -ს (კუვ. 19) გვერდით სპ.სსგსა („პატარა ქალები“, „წვრილი ქალები“).

**§ 25. ინსტრუმენტალისის კატეგორიისათვის სახელებში.** ბრუნვათა მიხედვით საერთოდ აშხარულშიაც ისეთივე ვითარება გვაქვს, როგორც სხვა აფხაზურ დიალექტებში. ამდენადვე აქ ე. წ. ძირითად ბრუნვებზე აღარ შევჩერდებით<sup>4</sup>.

როგორც ვნახეთ, ტაპანთურ დიალექტს სახელთან დაკავშირებული ინსტრუმენტალისის კატეგორიისაგან ჩამოუყალიბებია ბრუნვის ფორმა და გაუფართოებია ამ კატეგორიის გამოყენების არე და ფუნქციები<sup>5</sup>.

აშხარულშიაც, ტაპანთურის მსგავსად, მეტად გავრცელებულა ინსტრუმენტალისის არე შედარებით აფხაზურის პირაქეთა დიალექტებთან.

მაგ.:

- ყ-ლაჩ ვეჟიჟაბედ უზგარნგს – კუვ. 23 – ოცდაათი მხარი (ოცდაათი მხა-  
 ყარგუ სგმოუპ, ა ჭ ა ტ ა - რის სიგრძეზე) რომ ავიყვანო,

<sup>1</sup> ასეთ შემთხვევაში ორმაგი სუფიქსაცია მრავლობითში ყველა დიალექტში ჩვეულებრივი მოვლენაა.

<sup>2</sup> იხ. ამ საკითხების შესახებ ტაპ. § 29.

<sup>3</sup> შდრ. ტაპ. § 29.

<sup>4</sup> იხ. ტაპ. § 30.

<sup>5</sup> იქვე.

ლი ისტამ	(ისეთი) ძალა მაქვს. საჭმლით არა მაქვს (=საჭმელი არა მაქვს)
ადგრა-ლა იზზეგ -კუვ.15- დაუტ	მან (მამაკ.) ცოდნით ყველა შეიძინა (=ყოველგვარი ცოდნა შეეძინა)
აჟდ ჰარს ყარტუ ჰამამუდ -კუვ.28- სლა	ჩვენ იმით ძალა არა გვაქვს (= ჩვენ იმის ძალა არა გვაქვს)
აბრი ეფშუს-ლა საადტ -კუვ.12-	ასეთი საქმით მოვედი (=ასეთ საქმეზე მოვედი...) და სხვ.

ასევე ხშირ გამოყენებაშია ინსტრუმენტალისის **-ლა** აფიქსი ზმნის სართებში.

მაგ.:

აფბნ-ლა -კუვ.10-	უწინ
სარა საწტკ.სლა სარა -კუვ.11-	ჩემ შემდგომად ჩემს ადგის შენ (მამაკ.) დადგები
სთფუ ჟნთაგტლუშტ მარგტ აქტთან-ლა დედ-გქლედტ -კუვ.2-	ისიც (ადამ.) სოფლისკენ გაემართა
ჟგტ.ა-ლა ისლამ-ჰა ამ.გ დეყან -კუვ.15-	ძველად ვინმე ისლამი იყო
ანკენ-ჰაგა ჯარს-ლა დცე- (ა) -კუვ.31-	გიჟი ბიჭი ერთგან (სადღაც) წავიდა
ლაბა მანდმბ აბლათტქა, ზგნტლა დაამწანგ... -კუვ.35-	მისმა (დედაკ.) მამამ ცხვირსა-ხოცები რომ დაინახა, ერთბაშად დასტაცა რა (ხელი)... და სხვ.

აზნარულში უფრო ხშირად, ვინემ აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში, ინსტრუმენტალისის **-ლა** მაწარმოებელი უშუალოდ, ჩვეულებრივ კუთვნილებითი (ა-) აფიქსის გარეშე, მიერთვის (ნივთთა კლასის) სახელს მხოლოდობით რიცხვში.

მაგ.:

ჰატა-ლა, ბგუნტჰა-ლა საასტტკრაარი, საგანუშტ -კუვ.23-	საჭმლით, საგზლით თუ მომეშველებით (დამეხმარებით), ის (რადაც) წამიყვანს
მანი იბედ ილზჰტრთტ ავ-ნგ-ლა კუბან იფჰეს -კუვ.12-	მისმა (დედაკ.) დედ-მამამ დაუძახა სახლიდან კუბანის ცოლს
„დუნედ-ლა-გტ ახრათ-ლა-გტ უსამრტ-ლჰე...“ -კუვ.38-	„(ამ)ქვეყნადაც და სამოთხეშიაც ჩემი ძმა ხარ შენ (მამაკ.)“ – თქვა მან (დედაკ.)



აფშარჰაქა ჯგბა ყან. აკ-ლა –კუვ. 10– კოკა ორი იყო. ერთით მან (მა-  
ძათედხტ, იგზახაზ აათგ- მაკ.) წყალი ამოიღო. მეორით  
ხერნეს დგმაჰგზ... რომ იღებდა... და სხვ<sup>1</sup>.

მიუხედავად ამისა აშხარულში ჯერჯერობით მაინც არ ჩამოყალი-  
ბებულა ინსტრუმენტალისი ბრუნვის ფორმად. **-ლა** აფიქსი არ ქცეულა  
ბრუნვისთვის დამახასიათებელ ზოგად აფიქსად და ნაცვალსახელებთან  
და მრავლობით რიცხვთან დაკავშირებით, ტაპანთურში არსებული ვითა-  
რების წინააღმდეგ, ფორმდება დამოუკიდებელ ელემენტად, საკუთარი  
კუთვნილებითი აფიქსებით ისევე, როგორც ეს გვაქვს აფხაზურის პირაქე-  
თა დიალექტებში.

მაგ.:

- |   |             |   |
|---|-------------|---|
| აჭუდ ე - ლ ა (← ა-ლა) უხა -<br>ჩახუმ      | - აფს. 36 – | შენ (მამაკ.) ამით იმწყემსებ<br>(ამას მომწყსი)                           |
| აუდ ა- ლ ა დგლწარა                        | - კუვ. 22 – | მას (დედაკ.) უნდოდა, რომ<br>მისთვის (დედაკ.) ამით (=ეს)<br>ეკითხა       |
| რყაზშაქა რ გ - ლ ა დგლდგრ                 | - აფს. 36 – | მან (დედაკ.) ის (მამაკ.) თავისი<br>„საქციელით, თვისებებით“<br>იცნო      |
| სგლაქა რ გ - ლ ა იზბაზ...                 | - კუვ. 8 –  | ის, რაც ჩემი „თვლებით“ ვნახე  |
| აჭათქა რ გ - ლ ა აფჰ.გსფა<br>დგმაგდჰობ... | - კუვ. 23 – | ამაებით ის (მამაკ.) ქალიშ-<br>ვილს რომ არიგებდა... და სხვ. <sup>2</sup> |

**§ 26. სახელის ვითარებით-გარდაქცევითი ფორმა.** სახელის ვითარე-  
ბით-გარდაქცევითი ფორმის წარმოების მხრივ აშხარული დიალექტის კი-  
ლოკავებში სხვაობას ვადასტურებთ.

პირაქეთა დიალექტებში, როგორც ცნობილია, ვითარებით-გარდა-  
ქცევითი ფორმისათვის გამოიყენება **-ს** სუფიქსი<sup>3</sup>. იგი შეთვისებული უნ-  
და იყოს ქართველურ ენათაგან<sup>4</sup>. აქა-იქ ამ ფუნქციით იქვე საკუთარი **-ნ(გ)**  
სუფიქსის არსებობაც შეინიშნება<sup>5</sup>. ეგევე **-ნგ** სუფიქსი აწარმოებს ზმნაში  
აბსოლუტივებს და გამოიყენება „და“ კავშირის ფუნქციითაც<sup>6</sup>.

<sup>1</sup> შდრ. ჩვენი: „ბრუნვის საკითხისათვის აფხაზურში“. ენიმკის მოამბე XII, 1942წ.

<sup>2</sup> შდრ. იქვე ერთხელ დადასტურებული: ბ გ ჟ მ მ გ . - ლა ლ გზ-ფაგა დაყყაზ  
დნდტ – კუვ. 11 – „შ ვ ი დ ი თ ვ ი თ“ (შვიდ თვეში) იგი (აღამ.) სადაც ტლუზფაგვა იყო,  
იქ მივიდა...

<sup>3</sup> პ. უსლარი Этн. Кавказ. I. Абхазский язык. § 76.

<sup>4</sup> იხ. არნ. ჩიქობავა. Морфолог. встречи абхазск. яз. с картвельск. языками.  
ენიმკის მოამბე, ტ. XII, 1942.

<sup>5</sup> იხ. ტაპ. § 30, გვ. 79-80.

<sup>6</sup> იქვე.

ტაპანთურ დიალექტში როგორც სახელის ვითარებით-გარდაქცევითი ფორმისათვის, ისე აბსოლუტივისათვის (და აქედან კავშირისთვისაც) იხმარება ახალი **-შთა** || **-თა** სუფიქსი<sup>1</sup>. **-შთა** || **-თა** თავისი ფუნქციებით ფარავს პირაქეთა დიალექტების **-ნგ** სუფიქსს (პირაქეთა დიალექტების მეორე **-ს** სუფიქსის სამოქმედო არე შეზღუდულია).

მართალია, დღეს ტაპანთურს სულ სხვა აფიქსი მოეპოვება აღნიშნული ფუნქციით, მაგრამ ზოგი ზმნისართის წარმოებაში იქაც დასტურდება იგივე საერთო აფხაზური **-ნგ** (← || **ნა**)<sup>2</sup>.

აშხარული დიალექტის არცერთ კილოკავში (ისევე, როგორც არც ტაპანთურში) კვალი არ ჩანს პირაქეთა დიალექტებში არსებული ვითარებით-გარდაქცევითი ფორმის საწარმოებელი **-ს** აფიქსისა (აბგ-**ს** – „მამად“, ნაპგ-**ს** – „ხელად“ და სხვა)<sup>3</sup>. იგი შედარებით ახალი შენაძენია აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში.

აშხარული დიალექტის კუვიინსკის კილოკავში როგორც სახელთა ვითარებით-გარდაქცევით ფორმაში, ისევე აბსოლუტივში მაწარმოებლად გვევლინება **-ნგ** სუფიქსი.

მაგ.:

მეძვ აჭაგ ფჰგსფავჰ ჭატა ა - -კუვ. 39- ნგ დაპთარი...	ერთ თვეში მას (რადაცას) ერთი ქალიშვილი საჭმელად რომ მიცვთ...
ალაბზ ზირხან ახჩა-ნგ -კუვ. -18 აბუგ გედტ	მან ( მამაკ.) ჯოხი მოიქნია რა, ფულად ხმა გაიღო
თეურახ-ნგ ისჰ.წმ. სგ- -კუვ. 8 - ლაქა რელა იზბზ, სგზგ- ნიზო ოუპ	ამბად (არაკად) რასაც ვიტყვი, რაც ჩემი თვალით ვნახე, რაც მე შემემთხვა, ისაა
ვტ.გს-სურათ-ნგ, -კუვ. 17 - ფჰგ-სფა-ნგ დყედწედტ. ლარა დგმჭაგ-ნგ	ის (დედაკ.) [თვით] ხედ (შეშად) იყო რა, მან (მამაკ.) ის (ადამ.) ადამიანის სახედ, ქალიშვილად აქცია (გააკეთა)
არი აფჰგსფა-ნი იზბო -კუვ. 17- -წს, აბრი ამჭაგყაწაჯ დგუჯგ-ტ.გს-სურათ-ნ იყედწედტ	ამას, ქალიშვილად ვისაც ხედავთ, ამ ხელოსანმა (ხის მოხელემ) ადამიანის სახედ აქცია (გააკეთა)

<sup>1</sup> იხ. ტაპ. § 30, გვ. 79-80.

<sup>2</sup> მაგ., ზანგ – „ერთხელ“, აწგჰა-ნ – ბოლოს და სხვ.

<sup>3</sup> იგი აქა-იქ ამ ფუნქციით შეიძლება შეგვხვდეს ფსხუელ აშხარულთა მეტყველებაში პირაქეთა დიალექტების გავლენით.

- ეძიანდ იყენე დეცან, ფა - -კუვ. 23- ის (ადამ.) ეფენდისთან მივიდა  
ნ გ დენქებტ რა, მან შვილად აიყვანა
- სარა, ჯამათ-ნ გ არა -კუვ. 17- თქვენ, ხალხად აქვინც დგა-  
იგ-გლო სანდერჯე! ხართ, მოისმინეთ!
- აჭუდაზა-ნი დაადლჰან, -კუვ. 23- ეს მან (დედაკ.) მას (მამაკ.) სი-  
ლარგე დვალეძტ ტყვად უთხრა რა, თვითონ  
ზემოთ ავიდა
- კეზა-ნ გ სარა უსეცაად! -კუვ. 23- შენ (მამაკ.) მე ამხანაგად წა-  
მომყვი!
- მეშ-კენქეჟა კალა-ნ გ -კუვ. 19- ორმოცდაათი დღე ვადა დმო-  
მსტო! მეცი!
- ჟარა იუთაჯი ბზიარა- -კუვ. 23- შენ (მამაკ.) რა გინდა, სიკე-  
ნ გ უზგსულშა თედ რომ გიყო?
- აშა-ნ გ სეზგყალაპ -კუვ. 2- შენ (დედაკ.) ძმად გაგიხდები  
არა აჭეს-ნ გ იუმედ? -კუვ. 9- შენ (მამაკ.) აქ საქმედ რა  
იკედტ? -უსნ რ ისემოუ უდ გაქვს-ო - თქვა (მამაკ.). სა-  
ოუპ ქმედ რაც მაქვს, ესაა
- აჰანდერაქა შარდან ი -კუვ. 23- ვისაც ვედრო ბლომად აქვს,  
იზმრ, ძე შარდა აარგრტ ბევრი წყალი მოაქვს (მოაქვთ)
- დუნდე-ნ გ ბზიარან გ -კუვ. 15- შენ (მამაკ.) ქვეყნად სიკეთედ  
იუთაჯრ? რა გინდა?
- ...ითრტ ფუდ-ნ გ -კუვ. 16- მან (მამაკ.) ის (რადაც) იაფად  
გაყიდა
- იფსნგწკ ეგაც-ნ გ -კუვ. 12- ისინი მის (მამაკ.) სიცოცხლეში  
აა-ნხედტ მოკეთებდად (მახლობ-  
ლედად) დარჩნენ
- უათკაცა-ნ გ ანაყლააკ... -კუვ. 14- ისინი კაცებად რომ გახდე-  
ბი-ან...
- ჩაცა-ნ გ შეკკ -კუვ. 8- ცხენოსნებად ასი სული ჩა-  
ჩეჟერწე-ძტ მოხტა ცხენიდან
- ავჯგაგე ჯვზახედტ. -კუვ. 23- ორნივე დაამხანაგდნენ. ამხა-  
დაჯე-ზაცა-ნ რ იმცრზ, ნაგებად რომ მოდიოდნენ,  
ინგზკ ინახტ დევს შეხვდნენ...

და სხვ.

აბსოლუტივში:

- აბადეზგმა-ნ გ ჟოჟან- -კუვ. 23- შენ (დედაკ.) მამა გყავდა რა,  
მა იხსაბემქედ? აქამდე რად არ მითხარი?
- ...ბზრი იზბო-ნ გ, -კუვ. 21- მიყვარდა რა, ჩემი ხელით  
სემპგლა ისააზა-ნ გ სესკ გავზარდე რა, [ისეთი] ბატ-  
რელან კანი ერია მათში

სცანგ, ჩაგძ.ძ.ა-ნგ საა- -კუვ. 21- მე წავალ რა, ვიბანავებ  
აუშეტ რა დამოვალ...

და სხვ.

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, კუვინსკისთვის დამახასიათებელი ვითარება ემთხვევა იმ ვითარებას, რაც აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში ჯერ კიდევ დაცულია **-ნგ** აფიქსის გამოყენების მხრივ.

ოღონდ აშხარული დიალექტის კუვინსკის კილოკავში აღნიშნული აფიქსის გამოყენებაში მეტ სისტემატურობას აქვს ადგილი. აშხარული დიალექტის კუვინსკის კილოკავისათვის ის ძირითადი მაწარმოებელია.

ამის გვერდით იმავე კუვინსკის კილოკავში, უნდა ვიფიქროთ, ტაპანთური დიალექტიდან შემოსულა **-შთა** აფიქსიც. მაგრამ იგი იხმარება მხოლოდ და მხოლოდ ზმნათა ე. წ. აბსოლუტივების წარმოებისას და ისიც ჩვეულებრივ ფინიტურს ფორმებში („და“ კავშირის ფუნქციით).

მაგ.:

ჰაბა, სა სცაკ-შთა მგცა -კუვ. 14- მამა, მე წავალ რა (წავალ და),  
საზგაპ იჰეძეტ ცეცხლს მოვიტან-ო, თქვა მან  
(მამაკ.)

აბლაჯა ააუშეძეტ-შთა -კუვ. 3- გველუშაპი მოვა რა (მოვა და),  
დაჰუშეტ მას (ადამ.) შეჭამს... და სხვ.

ამასთანავე იმავე **-შთა**-ზე ჩვეულებრივ **-ნგ**-ც არის დართული.

მაგ.:

ანრ ამაზარა შარდა იჯნახ - -კუვ. 23- იმათ დიდი ქონება გაიტაცებთ,  
გკ-შთანგ, უარრ უგჯარ- და შენ (მამაკ.) აღარ აგიყვანენ  
გალარემ

სან, სგბგფშატ-შთა- -კუვ. 23- დედა, შეგხედე-და პატარა  
ნგბგზგჰგპ, საბასგფშა- ხარ, მამას შეგხედე-და, დი-  
ტ-შთა-ნგ დგდგუპ, სა დია, ჩემს თავს ვუყურებდა,  
სჯა საფშგხეტ-შთა-ნგ დიდი ვარ...  
სდგ-უპ და სხვ.

აშხარული დიალექტის აფსუის კილოკავში კი სახელის ვითარებით გარდაქცევით ფორმაში **-ნგ** ჩვეულებრივ არ გვხვდება. მის ნაცვლად ყველა ზემომოყვანილ შემთხვევაში გამოყენებულია იგივე **-შთა** აფიქსი. ამ მხრივ აფსუის კილოკავი მისდევს ტაპანთურ დიალექტს.

მაგ.:

- ათინგ<sup>გ</sup>ზ მგ-შთა ითაზ –აფს. 41– ზღვაში წყლად რაც იყო, მან  
იზუნგ<sup>გ</sup>აზ.ტ (რადცამ) ყველა (სულ) შესვა
- ტუნას<sup>ა</sup>-შთა იყარწაზ –აფს. 36 – ბრძანებად (განკარგულე-  
ფრებუნ, უნას<sup>ა</sup> ჭეც ყარწაზ ბად, დავალეზად, პიროზად)  
რაც ყვეს, მისი დარღვევით (ის  
დაარღვიეს რა), ახალი ბრძანე-  
ბა ყვეს
- ტარს ჳგზა-შთა უჰადღ<sup>გ</sup> –აფს. 36 – შენ (მამაკ.) ჩვენთან ერთად  
ქლარი, მაჰაფო რომ ამხანაგად წამოხვიდე,  
მოგვეწონს
- აზაჟეაგ<sup>გ</sup> თეძგ-შთა იყა- –აფს. 29 – ძვლებიც სახლად გააკეთეს  
რწედა...
- აჟრ მაყა-შთა უნწრა –აფს. 35 – ეს ქამრად შენს სიცოცხლეში  
იუნეჟ<sup>შ</sup>ტ (მამაკ.) გეყოფა
- აქეთ აჰგ აჰან-შთა ირგ- –აფს. 36 – სოფელში ბატონად ვინც ჰყა-  
მაზ... ვდათ...
- ჩაგბ<sup>ჩ</sup>ჩა-შთა დეყეღწე –აფს. 36 – ის (მამაკ.) ცხენის მწყემსად  
გახდა
- მარა რგჰკუნ რიზა-შთა –აფს. 36 – ის იმათი ბიჭი ოზლად დარჩა  
დაანხ(ე)
- ტაა-შთა იყოგ<sup>გ</sup>... –აფს. 37 – ხალხად ვინც არის...
- აჰგ<sup>გ</sup> ბადაც<sup>ა</sup>-შთა რყა- –აფს. 35 – მდიდარ ბატონებად (ბატონ  
ზგ<sup>გ</sup>... მდიდრებად) ვინც იყვნენ...
- წემელ იდ<sup>ჟ</sup>ქ<sup>ა</sup>-შთა –აფს. 37 – ის (რადც) დიდრონ ლურსმნე-  
ისზგ-ყასწა! ბად (ლურსმან დიდრონე-  
ბად) გამიკეთეთ!...

და სხვ.

აბსოლუტივში:

- ჩაგწაჯა დგშტა-შთა დგ<sup>გ</sup> –აფს. 37 – მის (ადამ.) პირქვე იწვა რა,  
ც<sup>ა</sup>ან (იწვა და) ეძინა

სათანადო შემთხვევებში სოფ. აფსუის მეტყველების მსგავსად აბაზაქთის მეტყველებაშიაც **-შთა** აფიქსი გვაქვს.

მაგ.:

- დგქ<sup>ტ</sup>ტან დეც<sup>ა</sup>ტ. ფხგზ –აბაზაქ. 27– ის (ადამ.) დაჯდა რა, დაიძი-  
შთე იბატ... ნა. სიზმრად ნახა...
- ...დგც<sup>ტ</sup>. დეც<sup>ა</sup>-შთა დგშ<sup>ა</sup> –აბაზაქ. 27– ...იგი (ადამ.) წავიდა. წავი-

თქვ-გზ ძაშ იფსკ არუხტ

და რა (წასვლით) რომ მიემ-  
გზავრებოდა, თავისი ძმის  
სული გამოეცხადა („ემოვა“)...  
და სხვ.

საყურადღებოა აშხარული დიალექტის მონაცემები თვით ამ **-შთა** აფიქსის შემდგომი ფონეტიკური ცვლილებების თვალსაზრისით.

ტაპანთურში, როგორც უკვე აღნიშნული იყო, **-შთა**-ს გვერდით გვხვდება **-თა**-ც. ჩვენ ეს მიგვაჩნია არა დამოუკიდებელ აფიქსად, არამედ **-შთ** კომპლექსის გამარტივების ნიადაგზე იმავე **-შთა**-საგან მომდინარედ<sup>1</sup>.

აშხარულში კი **-შთა**-ს გვერდით დასტურდება **-შა**-ც.

მაგ.:

აბაჯქაგ'გ თ ე ძ გ -შ თ ა იყა- -ავს. 29- ძვლებიც სახლად გააკეთეს  
რწქდა... თ ე ძ გ'შ თ ა იყარწან, (ააშენეს)... სახლად გააკეთეს  
აჯგ'გ'კ'გ'ბ -შ ა ძქერწია... რა, თავიც სახურავად დაად-  
გეს.

...დაშცუხ, ძჰაძ ხაზარ- -ავს. 33- ის (აღამ.) რომ მიდიოდა, ამ-  
შ ა ფჰესფა-ფსგკ დჰარგუნ ბად გაიგონა, ერთი მკვდარი  
დგწარკვრნეს ქალიშვილი მოჰყავდათ, რათა  
დაესაფლავებინათ.

ჰკენკ იფჰეს ააგაა-შა -ავს. 43- ერთი ყმაწვილი ცოლის მო-  
დგყან ის დროდ იყო ყვანის დროდ იყო

დცააატ-შა-ნ გ უა დგ- კუვ. 9- ის (აღამ.) წავიდე და იქ ჩა-  
ლატააატ! ჯდეს (ტყეში)...

და სხვ...

**-შა(ა)**-ც მიღებულია იმავე **-შთ(ა)** კომპლექსის გამარტივების ნიადაგზე. **-შთა(ა)** კომპლექსში ტაპანთურში დაიკარგა **შ**- მივიღეთ **თა**), აშხარულში კი დაიკარგა **თ** (მივიღეთ **შა**)<sup>2</sup>.

აფსუის კილოკავში, მართალია, საერთოდ გამოყენებულია **-შთა** (→ || **შა**)<sup>3</sup> აფიქსი, მაგრამ **-ნგ**-ც არ უნდა იყოს მისთვის სრულიად უცხო. მეტად იშვიათად ზოგი ზმნისართის წარმოებაში კუვინსკის კილოკავისა და პირაქეთა დიალექტების მსგავსად აფსუის კილოკავშიაც შეიძლება შევხვდეთ **-ნგ** აფიქსს.

<sup>1</sup> იხ. ტაპ. § 31.

<sup>2</sup> ერთხელ საუბარში **-შა** ტაპანთელისაგანაც გავიგონეთ.

<sup>3</sup> იმავე **-ნგ** აფიქსს სხვა მრავალი ფუნქციაც ეკისრება აფხაზურში, სათანადო შემთხვევებში როგორც ტაპანთურში, ისე აფსუის მეტყველებაშიაც **-ნგ** (← || **ნა**) გვხვდება.



ში იგივე რ ახასიათებს, რაც I-ს) – დანარჩენ ორს უპირისპირდება ა- ელემენტის უქონლობით. ტაპანთურში კი, პირიქით, სამივე მათგანს ა- ახასიათებს. ერთმანეთს კი ისინი უპირისპირდებიან რ ნ უ ელემენტთა მიხედვით. ამათ მიხედვით მიტომ, რომ -რ- ელემენტი, რომელიც აფხაზურის პირაქეთა დიალექტებს, როგორც I რიგის, ისე III რიგის ნაცვალსახელებში აქვს (შდრ. აბრი. არი, ართ, აბართ და უბრი, ურთ, უბართ), ტაპანთურში გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ I-ში (არი, აბრი, ართ, აბართ, მაგრამ: აურ, აბაურ, აურათ, აბაურათ). საყურადღებოა აგრეთვე სხვაობა ბ (ბა) ელემენტის ადგილ-მდებარეობის მხრივ. III რიგის ნაცვალსახელებში იგი პირაქეთა დიალექტებში უ-ს შემდეგაა (მაგ. უ-ბ-რი), ტაპანთურში კი უ-ს წინ (ა-ბა-უ-ი).

არსებით სხვაობას ამ დიალექტთა შორის ქმნის III რიგის ჩვენებითი ნაცვალსახელი.

აშხარულშიაც აღნიშნული ვითარება დასტურდება I და II რიგის ჩვენებით ნაცვალსახელთა მიხედვით.

მაგ.:

ა რ ი :

ა რ ი ზაკირუმო?	-კუვ. 4 –	ეს რა არის, შენ (მამაკ.) რომ გაქვს?
ა რ ი სასზგჰეიზზაგმა?	-კუვ. 15 –	ეს ჩემთვის მოხარშეთ?
ქარბმ იჰე არ ი რჰჰე	- აფს. 35 –	ქარიმთან ეს თქვეს
ა ბ რ ი, ა ბ ა რ ი :		
ა ბ რ ი აჩაჩან რელანგყალა ჩეგ რყედტ	-კუვ. 12 –	ამ ჩეჩნის მხარეზე ერთი ცხენია
ა ბ რ ი ეფშ აწაბლერა სგა-მგრბლანგ საალგდგედტ	-კუვ. 15 –	ამ ის თანა ცეცხლიდან დაუწველად გამომიყვანა მან (მამაკ.)
იზშგდა?-ჰა ძალგზწანდტ. ა ბ რ ი ეფშ ისგდჰანგ, არ-რფშ ისურანგ ჰაწა... იშგდტ	-კუვ. 23 –	ვინ მოკლა ის (რადაც)-ო, – ჰკითხეს მას (დედაკ.). – ასეთი გარეგნობის, ასეთი სახის კაცმა... მოკლა(ო)
ა ბ ა რ ი ოპ, აბლაჯა ზშგზ	-კუვ. 23 –	ეს აა, ვინც გველემპი მოკლა
ა ბ ა რ ი აკაძა	- აფს. 44 –	ეს ფერდობი... და სხვ.
ა რ თ :		
ადჰანდ, ა რ თ აბჰურდგნ ირგზეუგალედ?	-კუვ. 23 –	ეფენდი, ის (=ესენი) შვიდი ურემი რად გინდა?
სარა ართ აჩაა სემაშთა...	- აფს. 36 –	თქვენ ეს (=ესენი) ცხენები გყავდეთ და...



ა ბ ა რ თ :

- ა ბ ს რ თ ანშეგ ირფხანგ, – აფს. 35 – (ეს ე ნ ი) ეს თბილი რძე, მო-  
აჟგ გ ზონგ, იგა! ხარშული ხორცი წაიღე!  
ა ბ ს რ თ ავგჯა ხაბარლა ედ – კუვ. 12 – ეს ე ნ ი ორივენი ერთმანეთს  
ბადტრან გაგონებით (გადმოცემით)  
იცნობდნენ... და სხვ.

ა ნ ი, ა ბ ა ნ ი :

- ა ნ ი აბლემ სშარი, არ რ – კუვ. 9 – ეს კედელი რომ გაგზომო (ამ  
აბლემ სწამთეძტ კედელს რომ გაგზომავ), ეს  
კედელი დამავიწყდება<sup>1</sup>  
ა ნ ი რუმა იბგშ.ჰო? კუვ. 10 – ეს ა ა, რომელსაც ამბობთ?  
ა ნ რ ავა აზგემსაყა აალგ- კუვ. 15 – ამ ნაცრიდან მათ ბეჭი ამოი-  
რხენ... ღეს რა...  
ა უ ი ავაგვ-შთა უტუჟაწაღწ – კუვ. 37 – ეს არის და, შენ (მამაკ.) ახლა-  
უცა აბანახუნ აბან რ ათმე ვე წადი (იქით) ამ (იმ) სა-  
აჟგ ხლში  
სარა აბნ რ ასგს ხუჭგ აას- კუვ. 15 – მე ეს (აგე ის) პატარა ბატ-  
გს.თ კანი მომეცით!

ა ნ თ :

- ა ნ თ ინაშეგლაჟაზ – აფს. 36 – ეს ე ნ ი, რომლებიც შიგ  
(სახლში) შევიდნენ...  
ა ნ თ აგჟარა ზეგჟა გ გ „აბ- – კუვ. 23 – ამ პატარა წიწილებმაც „გვე-  
ლაჯა ჰანტუმტ“-ჰან აწგტარა ლეშაპი შეგვჟამსო“, ტირილი  
დალაგედტ დაიწყეს... და სხვ.

III რიგის ჩვენებითი ნაცვალსახელის მიხედვით დიდ სიჭრელეს აქვს ადგილი. პირაქეთა დიალექტების მსგავსად არის უ ე, უ რ თ.

მაგ.:

- ისთაჟ, უ ი ოზ – კუვ. 15 – რაც მინდა, ეს ა ა (ის ა ა)  
დაარმუხუშა უ ი ოზ – კუვ. 15 – მას (მამაკ.) რაც უნდა გამოარ-  
თვა, ეს ა ა (ის ა ა)  
უ ი-გ გ წაბერგხრზარი, ან რ- – კუვ. 21 – ის ი ც თუ მართლდება (სწორი  
გ გ წაბერგხარს ათაჯტუ გამოდის) (ამასაც გამართლება  
უნდა) ესეც უნდა გამართლდეს  
მათეკ შტან... მათე ფსგნ – კუვ. 10 – ერთი გველი იწვა... ის მკვდა-  
ტუ ი რი გველი იყო  
ტუ ი დგდჰედტ – კუვ. 4 – მას (მამაკ.) ეს (ის) უთხრა მან  
(მამაკ.)

<sup>1</sup> აღნიშნულ ნაცვალსახელთა ნიუნსის გადმოცემა თარგმანში ჭირს.



- ჰაკვდ ბაკვდ ენაბჯად- – კუვ. 5 – ერთი ღორი და ერთი მელა და-  
ხედტ. ატერთ სმალა მან- მეგობრდენ. მათ რომ მოშივ-  
აგა, აქტა რჰე ღერა იდ- დათ, სოფელში საქურდლადა გა-  
ტქლედტ ემართენ  
სგინაჰ ზექსაჰ იჰენაქერ – აფს. 38 – ჩემი ცოდვა ვისაც ადევს (...მოხ-  
აჰაქა ატერთ რჰეგვ ვდა) სახლში რომ ხალხია,  
ლჰე ისინი არიანო...

და სხვ.

აშხარულში გარდა ამისა გვხვდება თავისებური **ჟათ** (**ტეთ**, **უთ**) სა-  
ხეობაც იმავე ჩვენებითი ნაცვალსახელისა. ამ უკანასკნელს აკლია რო-  
გორც პირაქეთა დიალექტებისათვის დამახასიათებელი **რ-** (შდრ. უ-**რ-**თ),  
ისე ტაპანთურისათვის დამახასიათებელი **ა-** (შდრ. აჰათ).

მაგ.:

- ტეთ აჰგჰა ზაყარა-ზაყა- – აფს. 45 – იმათ ორთავეს რამდენ-რამდე-  
რა ჟას რგმაზი? ნი ცხვარი ჰყავდათ?  
უთ ახფა ზანდ აართედტ – კუვ. 26 – მან (მამაკ.) სამი დარიგება (სამ-  
სიტყვად) მისცა მას (მამაკ.)  
ჟოწგ... ივტკვ ფსტუმედტ. – კუვ. 16 – ხვალ მისი (მამაკ.) ორივე ხარი  
ჟათ ფსტრი, ჟარა ჟელა დაიხოცება. ისინი რომ დაი-  
უთხაჯგვ ხოცებიან, შენ ხორციტ დანა-  
ყრდები (გადლები)  
„ტეთგ ტარ“ იტშცოჟჰ – კუვ. 15 – „ისინიც შენი (მამაკ.) ძმები არი-  
ან“ – „დედი, მათ მე არ ვგავარ“  
ტეთი იზზეგტ (←ტეთა – აფს. 41 – მათში ყველაზე უფროსი რო-  
იზზეგტ) ირეაჰაზი? მელი იყო?... და სხვ.

ამ ნაცვალსახელის მხოლოდობითის ფუძეზე (უ ი) დაფუძნებით  
მრავლობითში უთ, (ჟათ) სახეობის არსებობა თითქოს ბუნებრივიც ჩანს  
(მრავლობითს **თ** აწარმოებს)<sup>1</sup>.

ძალზე საყურადღებოა, რომ ასეთი **რ** აფიქს-ჩამომორებული ფორმა  
აშხარულში გვხვდება I რიგის ჩვენებით ნაცვალსახელშიაც ართ,  
აბართ-ის გვერდით. ესაა: **ათ** (ესენი).

მაგ.:

- ათ** აბჟგზაკგტ სა ისშნედტ – კუვ. 14 ეს (ესენი) შვიდი თავიც მე  
მოვკალი უკვე

<sup>1</sup> ასეთ მრავლობითს ფორმას ჩვეულებრივი მრავლობითობის **-ჰა** აფიქსიც  
შეიძლება დაერთოს **უ-თ-ჰა** მანყეიწა ბაქერ დრტკჰახედტ – კუვ. 26 – ისინი („ისინ-  
ები“) რომ გააკეთა, ბაქირი „დაგლაზაკადა“.

შთა, **ათ** აქეთ რგლაქა -კუვ. 21 – მერე ეს (ესენი) ამ სოფლის  
 ზს.შგდ? ძაღლები რად მოკალით?  
**ათ** (ს.რუმზარი, ტაკ. დგ- -კუვ. 21 – თქვენ, ესენი, რომ არ ყოფი-  
 დგუშა დგგდმრტაზმა? ლიყავით, ცოტა უფრო დიდი  
 მას (მამაკ.) არ ეშოვებოდა...  
 და სხვ.

III რიგის ჩვენებით ნაცვალსახელში **ბ(ა)** აფიქსიან პარალელურ ფორმებში ჩვენ აშხარულში არ შეგვხვდრია პირაქეთა დიალექტების დამახასიათებელი – **უზრი, უზართ**, და არც ტაპანთურისათვის დამახასიათებელი **აზატი, აზათ**.

აშხარულშივე დავადასტურეთ ჩვენებითი ნაცვალსახელის თავისებური რთული შედგენილობის ფორმებიც.


მაგ.:

ანას **აზრიტე** აფკ.გსფა -კუვ. 12 – მერე **ეს** (ის?) ქალიშვილი, ვისაც  
 დგზგცმააფტაზ, დცეაბტ აჩა არ მოჰყვებოდა (ცოლად), წავი-  
 აჭგ და სხვაგან  
 ნას **აზრეტათ** დარა (რზა- -კუვ. 12 – მერე **მათი** ცოლის თხოვის  
 მნ) რგკ.სააგ ანაძედტ დრომ მოაღწია

**აზრიტე** უნდა წარმოადგენდეს **აზრი** (I) და **ტე** ← **ტამ** (III) ჩვენებით ნაცვალსახელთა შეერთებას. მისი მრავლობითი უნდა იყოს **აზრეტათ** (← **აზრიტათ**)<sup>1</sup>.

ჩვენი მასალის მიხედვით ჩვენებითი ნაცვალსახელები აშხარულში წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

მხოლოებითი რიცხვი



<sup>1</sup> შეიძლება იხივ გვეფიქრა, რომ აქა გვაქვს III რიგის ნაცვალსახელის სხვადასხვა დიალექტთა სახეობების გაერთიანებული ფორმები (მაგ., პირაქეთა დიალექტ. უზრი და ტაპანთ. აზატი; პირაქეთა დიალექტ. უზართ და ტაპანთ. აზატათ), მაგრამ მაშინ ასახსნელი იქნებოდა, ერთი მხრივ, **ა**-ს საკითხი (აზრიტე) და მეორე მხრივ **რ**-ს ადგილ-მდებარეობის საკითხი.

<sup>2</sup> ფონეტიკურად განსხვავებულ სახეობებს (აზრი, აზანი, ტეგა, ატიო და სხვათ) აქ ადარ ვიძლევიტ. იხ. ზემოთ მაგალითები.

მრავლობითი რიცხვი

I ათ,	ართ	აბართ	—————>	აბრეტათ
II ანთ		[*აბანთ] <sup>2</sup> ...		
III უთ, ურთ		[აბატათ...] <sup>2</sup>		

აჭათ, აჭრთ

აფხაზურში საერთოდ ჩვენებით ნაცვალსახელთა პრინციპზე და იმავე მასალის საფუძველზეა აგებული ვითარებისა და ადგილის ზმნისართები. ჩვენებით ნაცვალსახელთა სისრულით წარმოდგენისათვის აქვე განვიხილავთ სათანადო ზმნისართებსაც აშხარულში<sup>2</sup>.

აშხარულში ისინი (ჩვენი მასალის მიხედვით) ასეთ სურათს იძლევიან:

ვითარების ზმნისართები

I არსა (არას, არს)	აბარსა
II [ანსა]	აბანსა
III აჭსა (უს, უგს) აჭასა (აჭგს, აჭგსა) აჭგსა	[აბ(ა)ჭასა

ადგილის ზმნისართები

I არა	არახ არაყა არაჲ    [*აბ(ა)რა]; აბარახ; აბარაყა...	აბრეტათ <sup>3</sup>
II [*ანა]	ანახ [*ანაყა]ანჴა(ანაჲ)  აბანა; აბანახ(ხა); აბანაყა...	
III [*აჭა]ჭა; აჭახ [*აჭახ], აჭაყა, აჭაყა; აჭაა, აჭაა    [*აბ(ა)ჭა...] [*აბაჭახ...] აბაჭაყა...		

მაგ.: (ვითარებითი ზმნისართები)

- არს (||არას, არსა) იჰედტ –კუვ. 11 – მან (მამაკ.) ასე თქვა
- არსა სმჴალა უმცრა... –კუვ. 26 – ასე (ამ) გზით რომ წახვალ შენ (მამაკ.)...
- არს შფაყო, ანრ დეწგ –კუვ. 23 – ასე როგორაა, ეს (ადამ.) ტიტოტ, აჭარა აჭარად უჰორტ რის, შენ (მამაკ.) მღერი?
- არს იზგყედ? –კუვ. 23 – ასე რად არის?
- ბემჴზფუმა აბარსა აკგპ –კუვ. 22 – შენ (დედაკ.) როგორც წაგიყვან,

<sup>1</sup> აქაც და ქვემოთაც კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია ის სახეობები, რომლებიც ამ სახით ჩვენ არ შეგვხვედრია, მაგრამ აშხარულშივე არსებულ წარმოებათა მიხედვით მოსალოდნელია (შდრ. აბუაყა. იხ. ქვემოთ). აქვე მოსალოდნელია სხვა ფორმებიც, მაგრამ ჩვენ ისინი არ დავგიდასტურებია ჩვენს მასალაში, მათ ადგილას წინწკლებს ვსვამთ.

<sup>2</sup> იხ. აგრეთვე ქვემოთ.

<sup>3</sup> შეგვხვდა აგრეთვე უბრალო: „სანდენე უბრალო საანგელ! – ფსხუ. კ. 2 – „წადით და იქ გაჩერდით!“

		ასეა (ამგვარადაა)
აბანსა აქტოკ ააუბონგ	-კუვ. 10 -	ესე („ეგე იქითაღ“) ერთ სოფელს დაინახავდი (სოფელი დანახვად იყო)
დააგლან, უს იჰ.ე	-აფს. 39 -	ის (ადამ.) ადგა რა, ასე (ისე) თქვა
ათაჟ. უტგსა ლემჰემტ	-კუვ. 10 -	მან (მამაკ.) დედაბერს ასე (ისე) უთხრა
აჟრ აფჰესფა უტსა რალჰემტ	-კუვ. 19 -	იმ ქალიშვილმა მათ ასე (ისე) უთხრა
აქგჯმა ატას აჰემტ	-კუვ. 15 -	მგელმა ასე (ისე) თქვა
აუტესა დაშემტაზ აჩანგ- ხჩა დაადჰმგელეტ	-აფს. 44 -	ის (ადამ.) ასე (ისე) რომ იწვა, თავს ცხენის მწყემსი წამოადგა
აუტერსა დემემტ	-ფსხუ, კუვ. 13 -	ასე (ისე) მოკლა მან (მამაკ.) ის (ადამ.)
არი აფჰესფა არს დემეტ- ტე(ღ)?	-კუვ. 2 -	ეს ქალიშვილი აქ რად ზის?
...დააკდგგლან. არსხ - გგ დენკდგგლეიმტ ლა- რს	-კუვ. 9 -	...ის (ადამ.) [იქიდან] მოადგა. აქეთკენ ქალი მიდგა
არახ ავენლა უს აჰემტ	-კუვ. 15 -	აქეთკენ (აქედან) სახლის ძაღლმა ასე თქვა
არაყა აადგ.აგ.ო...	-აფს. 36 -	აქ ვინც ერთმანეთის მოკეთებია...
აბარახ აჩა ქტოკ აჰე	-კუვ. 14 -	ის (ადამ.) აქეთკენ სხვა სოფელში წავიდა
აბარაყა უგგლაშთა...	-აფს. 37 -	შენ (მამაკ.) აქ იდექი და...
ანახ ადგრე იგაზ...	-კუვ. 12 -	იქით (ეგე იქით) საქურდლად ვინც წავიდა...
ანახ სანფჰესფაზ აზ- ანრ დემბჰჰჰაზ, გრემდ- რუმა?	-კუვ. 19 -	იქით (ეგე იქით=წინათ) როცა ქალიშვილი ვიყავი, ერთმანეთს რომ სიტყვა მივეცი, შენ (მამაკ.) არ იცი?
სფჰესგგ ანჰა დგგ- ლოტ	-აფს. 33 -	ჩემი ცოლიც აგე იქ(ით) დგას
დაბაყოტ? - აბანს ბგარრ იბბაჰ	-კუვ. 23 -	ის (რადაც) სადაა? - აგე იქით თუ წახვალ, ნახავ შენ (დედაკ.)
აჟრ აკგჰ-შთა უუჟწაღან უტს აბანახხან აბანრ	-კუვ. 37 -	ეს არის რა (რაკი ასეა), ახლავე წადი შენ (მამაკ.) ეგე იქით -

ათემ აჭაგ		კენ, იმ სახლში
აბანწყა სგათა აათ-	-კუვ. 35 -	ეგე იქითკენ ჩემი ხმალი
გხნგ სჯა უასნგ...		ამოილე შენ (მამაკ.) და თავზე
		დამარტყი!...
აბანწყა დგზნრპ აბანრ	-ავს. 37 -	ეგე იქით იმ სახლში ცხოვ-
ათემაჭე		რობს ის (ადამ.)
უა იცეიტ. უა ინცაზ...	-კუვ. 14 -	ისინი იქ წავიდნენ, იქ სადაც
		წავიდნენ.
აუახა, უდ აბნაჭე ებხანგ	-კუვ. 10 -	იქეთ იმ ტყეში რკინის სახ-
თემგ... აუა სცოტ...		ლი(ა)... იქ მივიღივარ
ქარმ აუაყა დეტან	-ავს. 35 -	ქერიმი იქ (იქვე) იჯდა
უაყა ჯარ ჩენგრა ბე-	-ავს. 30 -	იქ ერთგან მოჯამაგირედ მდი-
დაკ იჭგ მდგეგლე(დ)		დართან დადგნენ. იქ რომ მო-
უაყა იმჩენგრაზ-მაცა-		ჯამაგირეობდნენ (მსახურობდ-
რა...		ნენ)...
უაყა მჰაქასთ	- აბაზაქ.	იქ (იქვე) გაჩერდნენ
	27 -	
ადრმბეშვა აუა დმეკნაზ	-კუვ. 2 -	დევი იქ (იქვე) რომ ცხოვ-
დგგლეგდრდგრაშტ		რობდა (შინ იყო), ის (მამაკ.) მას
		(დედაკ.) არ აგებინებდა
დერგე აუა დტახტ	-კუვ. 2 -	ისიც (მამაკ.) იქ დაჯდა
დარგე უნ დეფსგდ	-ავს. 35 -	ისიც (მამაკ.) იქ (იქვე) მოკვდა
...უა იმთედე	-ავს. 39 -	მან (მამაკ.) ის (რაც) იქვე
		პირს დადო
აბუაყა	-ავს. (საუ-	იქ
	ბრიდან)	
უოწაშთა ჯუმარრ-დეუ	-კუვ. 12-;	ზეგ დიდი გართობა იქნება
ყედ. აბრაუან სკსსგსა	(ფსხუ, კ.	(არის). იქ ქალიშვილებს შეკრე-
დეფზერგუმტ	1) -	ბენ (თავს მოუყრიან)... და სხვ.

ამისდა მიხედვით აშხარულში დასტურდება ჩვენებით ნაცვალსახელთა მეტად ჭრელი სახეობები: ხან პირაქეთა დიალექტების მსგავსი, ხან ტაპანთურის მსგავსი, ხან მათი ნარევი და ხანაც – ყველა მათგან სრულიად განსხვავებული.

ტაპანთურში შენიშნულ იქნა ჩვენებით ნაცვალსახელთა დართვა ახელემენტით გაფორმებულ სათანადო ადგილის ზმნისართებზე. ვიღებდით რთული ფორმის ჩვენებით ნაცვალსახელებს: არახ - არი (აქეთ

ეს), ანახ<sup>1</sup>-ანი (იქით ის, „მანდეთ“-ის), ატახ<sup>1</sup>-ატრ (იქით ის) და სხვ.<sup>1</sup>

აშხარულშიაც იგივე (ა)ხ<sup>2</sup> ელემენტით გაფორმებული ადგილის ზმნისართები გამოიყენება ამ მნიშვნელობით, ოღონდ განმეორებით სათანადო ჩვენებითი ნაცვალსახელი მათ ჩვეულებრივ არ ერთვის. ანახ<sup>2</sup> იქნება იქითა (იქითური), სხვა; მრავლ.: ანახ<sup>2</sup>თ – იქითანი (იქითურნი), სხვანი, დანარჩენნი... და სხვ.

ისინი გვხვდებიან პირაქეთა დიალექტების აგ<sup>2</sup> (ეგ<sup>2</sup>) („სხვა, მეორე, დანარჩენი“), აგ<sup>2</sup>ერთ (ეგ<sup>2</sup>ერთ) – „სხვანი, მეორენი, დანარჩენნი“-ს ნაცვლად (შდრ. ტაპ. ანთახ<sup>2</sup>გ<sup>2</sup>თ, ანთაგ<sup>2</sup>თ)<sup>2</sup>.

მაგ.:

- ხ<sup>2</sup> ვენვეჟა არლთეძტ. – კუვ. 18 – ორმოცდაათი ოქრო მისცა მას ანახ<sup>2</sup> ვენვეჟ მლექტ... (მამაკ.) მან (დედაკ.). იქით (ა), სხვა, რაც ქონება დარჩა...
- აზამ. დააგ<sup>2</sup>ლან უესი იჰე... – აფს. 45<sup>3</sup> – ერთი (ვინმე) ადგა და ასე თქვა ანახ<sup>2</sup> ვენვეჟ დააგ<sup>2</sup>ლან ხენ ატესა იჰე... ... სხვა (ერთი) ვინმე ადგა და ასე თქვა...
- აზაკა არგ<sup>2</sup>ლმხენ, ანა – კუვ. 11 – მან (მამაკ.) მათგან კვიცი ამოირჩია რა, სხვა (დანარჩენნი, სხვანი) ცხენები, რომლებიც დარჩა, ყმაწვილს მისცა რა, „წადი!“-ო უთხრა და გაუშვა
- საანწიკ იწეკახო ამ. აბმე – კუვ. 2 – შენ (დედაკ.) ჩემ მოსვლამდე რტენ, ანახ<sup>2</sup> თ იბთაჟტ რბტუ ბოლო კარი არ გაალო, დანარჩენებს (სხვათ) რაც გინდა, ის უყავი!
- ...ანახ<sup>2</sup> თ აქა იშრედფ – კუვ. 23 – ის (რაც) დანარჩენ (სხვათ) შეგმეზ ანაბ... ხორცებს რომ არ გავდა, მან (მამაკ.) რომ ნახა...
- ამ-ლუ იშაპგ რეგ<sup>2</sup>ლან და – კუვ. 23 – ვისაც წისქვილის ქვა ფეხზე ანრეჟედტ იმაწეკენ. ანა – ჰქონდა, ის დატოვეს (შინ) მსახურად (მზარეულად). დანარჩენნი (სხვანი) ორნი ტყეში წავიდნენ სანადიროდ

<sup>1</sup> იხ. ტაპ. § 33, გვ. 96.

კუვინსკის კილოკავში ფონეტიკური თვალსაზრისით სხვა საყურადღებო ფორმებიც დადასტურდა **ა**-ზე დაბოლოებულ ფუძეებში. **-ჟა** სუფიქსის დართვისას **ჟ** ელემენტი შეერწყა ფუძისეულ **ა**-ს და მივიღეთ **ო**; აფიქსისეული **ა** ხმოვანი კი უასიმილაციოდ გადარჩა: ... ა+ ჟა → **ოა**:

- ... ფჰეს დააამგ **ოა**- – კუვ. 14 – მას (მამაკ.) ცოლი არ მოჰყავს-რა  
მაცარა შექსა ვენჯეჟა (ცოლის მოუყვანლად), ორმოცდაათ  
ჟაბეღ დნამქეტ წელს მიაღწია
- ინგზ<sup>2</sup>გყა აძჰანდ იჟა- – კუვ. 23 – ინუჟუყვა ეფენდის ცხვრებს მწყსის  
საქ.ე ინ<sup>2</sup>რ<sup>2</sup>ა აძჰანდ იენგ რა, ეფენდისას იყო  
დგყან
- „ათურმა დეკჰაცრტ“ – – კუვ. 23 – ის (ადამ.) ციხეში მიგყავს. რაა, რის-  
იჟან დგზკას.ცრა თვისაც მიგყავთ (რისთვის მიგყავთ?), მირეკავთ?
- (|| იჟან დგზკას.ცრა?)
- არსა აძჰალა უშ<sup>2</sup>ცრა – კუვ. 26 – შენ (მამაკ.) ასე გზით რომ მიდი-  
არაფე ჰაზგ<sup>2</sup>რ<sup>2</sup>ა ჟანიანგ ხარ, მზა საქმელს შეხვდები რა,  
„მობრძანდი!“-ო, თუ გითხრან...
- „ჟედგა!“<sup>1</sup>, ჰარი... – კუვ. 5 – იმათს ძინავთ რა (ძილით, ძილად),  
იც<sup>2</sup>რა იშ<sup>2</sup>ტაზ, აჰ<sup>2</sup> აჰ<sup>2</sup> აჰ<sup>2</sup> რომ იწვენენ, ღორმა გამოიხედა, ქათა-  
წფშენ, აქ.ტუ აჰ<sup>2</sup>ან, მი შეჰამა და დაწვა
- იშ<sup>2</sup>ტალახტ
- უფაც.აქ<sup>2</sup>ა რთეურახ – კუვ. 5 – შენ (მამაკ.) შენი შვილების ისტორიის  
უჰ<sup>2</sup>რა უნაღაგა... თხრობა(დ) (ამბობ რა), რომ დაიწყე
- ასგსქა ზანგ ისაარგოა – კუვ. 5 – მათ ჩემთვის მოხარშული ბატკნები  
ისჰონ მოაქვთ რა (მოტანით), ვჰამდი

ეს სახეობები აწმყოს ინფინიტური ფორმისა **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებში აფსუის კილოკავში ჩვეულებრივ არ გვხვდება. იქ ან სრული უასიმილაციო სახეობაა (თასა-**ჟა** და სხვ.), როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ან ...ა ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებში **ჟა** აფიქსის დართვისას წინამავალ და მომდევნო **ა** ხმოვანთა რედუქციით (ან **ჟ**-სთან შერწყმით) ვიღებთ **-ჟ**-ს: ... ა+ ჟა → [→ \***გჟგ** →] **ჟ**:

<sup>1</sup> მასდარია: აფყა-რა.

- მაგ.:
- ჭაზანგყ-უ? – სარა – აფს. 34 – შენ (მამაკ.) სად მოგზაურობ, და-  
საყნგყ-უ... დიხარ? – მე სადაც დავდივარ...
- აფკა უნ აზ დ გ გ ლ-უ – აფს. 37 – შენ (მამაკ.) პირველად (უწინ) რომ  
აზნგ... სახლს მიადგები...
- იზბ-უ – აფს. 33 – რასაც ვხედავ...
- აჭი შ. გ დ ჰ-უ... – აფს. 33 – ის (მამაკ.) ამას რომ ამბობს...
- დღც-უ დღც-ჭ-მაცარა, – აფს. 32 – ის (ადამ.) მიდის, მიდის რა, ერთი  
თემძკ იბქ(ა) სახლი ნახა
- საყც-უ სარგჯ სნრჭაშ – აფს. 37 – თქვენ სადაც მიდიხართ, მეც  
[წა]მოვალ
- უასიათ იზგყედწ-უ – აფს. 35 – ანდერძის მისთვის (მამაკ.) ქმნა(დ)  
დალაგე იწყომან (მამაკ.)
- იზაჰარგჭ-უ ეჰა – აფს. 39 – ვისაც ვაჭმევთ, უფრო ეყოფა(თ)  
ირგზნაჰ
- რზზადა იდგრჰ-უ – აფს. 36 – მისმა (მამაკ.) ამხანაგებმა თქმევი-  
ნება(დ), (მას ათქმევინებენ რა) რომ  
დაიწყეს...
- აჭუდ ეჰა აკგჯ იმ ჰ-ჭ – აფს. 36 – იმის მეტის არ მთქმელად (არ  
შთა ეენჩგყედწა... თქმა დ, არ ამბობს რა) თავი რომ  
მოიქცია...
- აფგზე იგგლაზ იჭგ – აფს. 36 – მან (ადამ.), წინ რომ იდგა, იმასთან მილ-  
დენამ-ჭ დანლაგა... წევა(დ), მიხლოება(დ) რომ დაიწყო...
- სგდფყ-უ-მაცარა – აფს. 44 – ის (მამაკ.) მცემს-რა (მან ცემით),  
სათგდცედ ახრათ სამოთხიდან გამომაგდო
- აჭი ილჭგუწ-უ-მაცარა – აფს. 43 – მას (დედაკ.) შენ (მამაკ.) მის (რისამე)  
დღურჩლარი, უასჯან პირში დებით, ჭმევი თუ  
სგრაზხუმ. დაარჩენ, გამოკვებავ, მაშინ თანახმა  
გავხდები
- მგშკგგ, მგმგშკგგ – აფს. 42 – მას (მამაკ.) ის (ადამ.) ერთ ორ დღეს  
დგდრშაწ-უ<sup>1</sup> დგდმან მოვლა-ჰატ ივისცემით ჰყავდა
- აც. ამ აჭი ენკარგ-უ, – აფს. 41 – ხარს წყლის პირას რომ მირეკავვენ,  
ხგგკ აქ.ტა-შთა სამნი სხდომით მირეკავდნენ
- იკარცუნ
- იხგვგზ-უ – აფს. 37 – მესამე (ის რომელიც მესამევედა)  
ადამიანი
- აქთა აჭე უაყნგრგლალ-უ – აფს. 37 – სოფელში რომ შეხვალ...

<sup>1</sup> მასდარია: არჭაწა-რა.



იზწა-**უ**<sup>1</sup> ძალგე – აფს. 36 – მისთვის (მამაკ.) შეკითხვა(დ)  
(ეკითხებიან რა) დაიწყეს

წარმოდგენილი მასალის მიხედვით ირკვევა, რომ **აჭა**-ს **უ**-დ ქცევა სათანადო ფორმებში სისტემატურ ხასიათს ატარებს აფსუის კილოკავში. ტაპანთურიდანაც ვიცნობთ ასეთ ცვლილებებს, მაგრამ იქ ჩვეულებრივ მას ადგილი ღია მარცვალში არა აქვს<sup>2</sup>.

რაც შეეხება **ი**, **ჭ**-სა და თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებს, აქაც ინფინიტური ფორმის წარმოებისას სხვა დიალექტთა მსგავსად ერთვის იგივე **-ჭა** აფიქსი.

მაგ.:

აგ'აჭრ ინეი-**ჭა**... – კუვ. 21 – ის (რადაც) შუა ადგილას რომ მი ვ ა...

ავეთღღკ ებზსგ-**ჭა**... – კუვ. 23 – ორივე ვაცი ერთმანეთს ეჭიდებიან რა...

სემგა სგზ-**ჭა** სგჩმაზაჯგზ – კუვ. 23 – მუცლის ტკივილით (მუცელი მტკივარა) ავად ვიყავ...

დანბაცაბ-**ჭო**?-ჰა – კუვ. 14 – ის (ადამ.) როდის-ღა იძინებსო?

აბნა ფდყ-**ჭა**-მაცარა<sup>3</sup>, – კუვ. 23 – შეშას (ტყეს) ჭრის რა, შვიდი ურმის  
აბგუჭარდგზ რგმაჯა  
დაკუჭაზ, ფდყგმტ  
იმდენი მოსჭრა

ლემაცაზა... დეხს-**ჭა** – აფს. 33 – მის (დედაკ.) ბეჭედს... ეს ვ რ ი ა ნ-რა  
იკნაჰან (სროლით), ეკიდა

იშაამდ-**ჭა**<sup>4</sup> ძალგ(დ)ე – აფს. 33 – მათ ლ ა პ ა რ ა კ ა დ (ლაპარაკობენ რა)  
დაიწყეს

ზჯაკვ შგ რგზ-**ჭა** იბღ – აფს. 33 – ვიღაცეები ხორცს ხარშავენ რა  
(ხორცის ხარშვით), დაინახა მან (მა-  
მაკ.) და სხვ.

მაგრამ ამ რიგის ფორმები აშხარული დიალექტისათვის არ არის ჩვეულებრივი. განსაკუთრებით ეს ითქმის აფსუის კილოკავზე. აღნიშნულ შემთხვევაში **ჭ** დაკარგულა ფონეტიკურ ნიადაგზე და შემოგვრჩენია ოდენ **ა**.

მაგ.:

აწაბგრგ ზდგრ-**ა**, აფჰგს- – კუვ. 23 – სიმართლე ვ ი ნ ც ი ც ი ს, ქალიშვილია  
ფა ლ რ უ ჰ

<sup>1</sup> როგორც ამ მაგალითიდან ვხედავთ, აქა-იქ შეიძლება წინამავალი **ა**-ც შერჩეს ამ ფორმას. ეს მაშინ ხდება, როცა **ა**-ს ფონეტიკური ცვლილება სათანადო კონტექსტში (ჰა, ჰა...) შეზღუდულია საერთოდ. იხ. „ძირ. დრ. წარმ.“

<sup>2</sup> შდრ. ტაპ. § 46... გვ. 146, შდრ. აგრეთვე, აქვე ზემოთ.

<sup>3</sup> მასდარია: აფყ-რა

<sup>4</sup> მასდარია: აშაამდ-რა

- დაალგს-ა დალაგან... - კუვ. 20 - მან (აღამ.) მის (დედაკ.) ცემაღ  
(ცემსრა) დაიწყო...
- წაბლრა იბლ-ა დაადან - კუვ. 15 - ხანძარი წვით (წვაკს-რა) მოდიოდა  
აფკესფა ედმარკ-ა-გ-გ, - კუვ. 17 - ქალიშვილი, რომელზედაც ისინი  
დაადგან... დაობენ, მან (მამაკ.) მოიყვანა რა...
- ალაქა რშ-ა აყალემხან - კუვ. 21 - ძალღების კვლით (კვლენრა)  
იჭგ იცემტ ყალიძხანთან წავიდნენ
- არრ ზაკრ ყერემ-ფადმაკ - კუვ. 21 - ეს რაა, ყირიმ-ფადიშაკო, რაოდენ მო-  
ტუბადანაშხრაუ, ტუბადგ-გ წყენილი ხარ, „რაოდენ-ლა ფიქრობ“  
ჯ-გ-ა? (რაოდენ ჩაფიქრებული ხარ?)
- აჟდ დგზდგდრშ-ა... - კუვ. 8 - ის (მამაკ.) მას (აღამ.) რისთვისაც  
აკვლევინებს...
- სგზერშ-ა ზაკრ? - კუვ. 10 - რისთვისაც მკლავენ, რაა? (რის-  
თვის მკლავენ?)
- იკმარ-ა იდქ-ლახგტ - კუვ. 6 - ისინი თამაშით (თამაშობენრა)  
გაემართნენ
- ყამჩღლა დას-ა (|| იფყერ) - კუვ. 2 - მათრახით ის (აღამ.) მას (რადაცას)  
მაცარა დეშ დაზ-გყაზ, სცემსრა, მისი (მამაკ.) მმა სადაც  
დენანაგალემტ იყო, [იქ] მიიყვანა მან (რადაცამ)
- აჩკენ დგს-რ-ს-რ-ა - კუვ. 4 - ბიჭმა სტვენა(დ) (სტვენსრა)  
დალაგემტ იწყო
- დაად-ა, დაად-ა დაანგყო- - კუვ. 10 - ის (აღამ.) მოდის, მოდის რა,  
მაცარა, დაადან სიარულით მოდიოდა
- აჩქეს დანარ-ა, აზლაჯა - კუვ. 23 - ჭაკი კვიცს რომ მოიგებს, გველე-  
იუმერტონგ, აჩან ააც! შაპს არ შეაჭამო რა, მორეკე!
- იზეზარი?-ლჰან, დაფშ- - აფს. 40 - „მოხარული თუა“-ო, იგი (აღამ.) მას  
ა-მაცარა, ილემანკაქე სინჯავს, უყურებს-რა, შემოეჭამა
- ამან-დქ-ტან, იფგყ-ა - აფს. 44 - ის (აღამ.) ტოტზე იჯდა, მოჭრა(დ)  
დალაგე იწყო
- ადგ-გლ წეს-ა დალაგე - აფს. 41 - მიწამ (ადგილმა) ნძრევა(დ) იწყო
- აქეთ რგჰსსაქ-ა ძანგარა - აფს. 36 - სოფლის ქალები წყლის მოსატანად  
ეყად-ა... სადაც-მოდინან...
- აჟრ იჩანარ-ა ბგქ-გჯ- - აფს. 37 - იმას, რასაც ის (რადაც) მოიგებს  
მაკ... ირტაუემტ (დაბადებს), შვიდი მგელი... ჭამს
- ამარა ააც-გრწ-ა - აფს. 35 - მზე ამოსვლას (ამოდის-რა) რომ  
ენლაგარაკ... დაიწყებს... და სხვ.

აწმყოსეული ტა აფიქსის ფონეტიკური ცვლილების თვალსაზრისით ანალოგიური ვითარება დასტურდება უარყოფით ფორმებშიც. თუ ზმნის ფუძე ა ხმოვანზე ბოლოვდება, უარყოფით ფორმაში გვექნება ... ა + ტამ

(ასიმილაციით: ... **ო** + **ჴომ** → **ომ**), აფსუის კილოკავში პარალელურად ხმოვანთა შერწყმის ნიადაგზე ვიღებთ... **უმ**-საც, ხოლო თუ ზმნის ფუძე **ა**, **ჴ**, ან თანხმოვანზე ბოლოვდება, აფიქსისეული **ჴ** დაიკარგება და გვექნება ოდენ **...ა-მ**.

მაგ.:

**ა** ხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები:

- ისზგჳ**ა-ჴა-მ** – კუვ. – მას (რალაცას) ვერ ვამბობ
- დეც.ოპ. ბჟაჯან-ბჟემემა – აფს. – 37 მას (ადამ.) სძინავს. შვიდ დღე-ღამეს დაგ ააქებხა**-ჴა-მ** არ გაიღვიძებს
- იჴესთო**-ჴო-მ** – კუვ. 23 – შენ (მამაკ.) მას (რალაცას) არ მოგცემ
- ანჰნათომ – კუვ. 23 – ის (რალაც) ჩვენ მას (რალაცას) არ გვამღევეს და სხვ.

... **ა** + **ჴამ** → ... **უმ**:

- სარა ისტემ, გესტ**-უმ** – აფს. 43 – რაც ჩემი არაა, [ისეთს] არ ვჭამ
- მარა მაქტო ჟაჰა ხგჯგც – აფს. 37 – მასზე (რალაცაზე) ვინც ზის, [მისი] წვერი სამ ღერზე მეტს არ აღწევს
- რჰა გენამ**-უმ** – აფს. 33 – შენ (მამაკ.) დაჯექ! – არ დავჯდე-ბი და სხვ.

**ა**, **ჴ** და თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებში **-ჴამ** → **ამ**:

- იგსზდერ**-ამ**<sup>1</sup> – კუვ. 10 – ის (რალაც) არ ვიცო
- ამჰაგ გსზდერ**-ამ** – აფს. 42 – გზაც აღარ ვიცო
- ენზ დგჰჰამ**-ამ**, ეჰჰაბ – კუვ. 8 – უმცროსს ნუ მოვკლავთ, უფროსი მოვკლათ!-ო, თქვა მან (მამაკ.)
- დეგსრუხ**-ამ** – კუვ. 17 – მას (ადამ.) ვეღარ ვპოულობ (ვმოულობ)
- აქტ რემგ ბლჰაკ აჰკენ – კუვ. 2 – სოფლის წყალი გველემჰამა დაიჭირა, მათ აღარ ამღევეს
- გარნათახ**-ამ** – აფს. 38 – შენ (დედაკ.) არ გაგიშვებ
- ბაგესემთი**-ამ** – აფს. 33 – ის (ადამ.) არ მელაპარაკებია... და სხვ.<sup>2</sup>

საყურადღებოა, რომ **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებშიაც შეგვხვდა მსგავსი ფორმები კუვინსკის კილოკავში<sup>3</sup>: ... **ა** + **ჴამ** → ... **გ-ჴამ** → ... **ამ**

<sup>1</sup> საყურადღებოა, რომ ამ ზმნაში ასეთი ფორმა ჩვეულებრივია სხვა აფხაზური დიალექტებისთვისაც (კერძოდ აბჟურისთვის).

<sup>2</sup> აქა-იქ მოსალოდნელი -ჴამ სახეობაც შეიძლება შეგვხვდეს; მაგ., სნემ-ჴამ – კუვ. 23 – „არ მივდივარ“.

ზოგჯერ ეს ჴა ო-საც იძლევა კუვინსკის კილოკავში მაგ.:  
 უომგ. უმცან ამცაჴგ! – იჰ.ეიტ – კუვ. 14 – ის (მამაკ.) შენ (მამაკ.) მოგკლავს, ცეცხლთან – სგემშრმ არ მიხვიდე!-ო. – არ მომკლავს.

<sup>3</sup> აფსუის კილოკავში თითქოს ასეთი რამ არ გვხვდებოდა.

მაგ.:

- დგგზბამ – კუვ. 23 – მას (აღამ.) ის (რაღაც) არ ხედავს
- მგცგგუტსჰამ – კუვ. 16 – შენ (მამაკ.) ტყუილს არ გეტყვი
- სეუშაზარგუდ ეფშუტეს – კუვ. 8 – შენ (მამაკ.) რომ მომკლა კიდევ, გეყასწამ მაგისთანა საქმეს არ ვიზამ
- აბლაჯა ამგგკწნათამ – კუვ. 10 – გველეშაპი წყალს არ გვამლევს
- აჟუდ აჟა სემჭაკა, – კუვ. 9 – იმისთანა თუ არ ვჭამე (უჭმელად), საგზზიხამ არ გამოვკეთდები
- დგგუსთამ – კუვ. 12 – მას (აღამ.) შენ (მამაკ.) არ მოგცემ
- აშაყაგგ საგწფწამ – კუვ. 9 – წიგნსაც არ ვკითხულობ (არ წავიკითხავ)
- დღგგცაჟამ<sup>1</sup> – კუვ. 11 – ის (აღამ.) არ ლაპარაკობს
- ათარაშლა საგტარგ- – კუვ. 6 – ისინი ჭიშკრით არ შემიშვებენ... ჟელამ და სხვ.

კუვინსკის კილოკავში ამის საფუძველი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ბზიფური დიალექტის მსგავსად აქა-იქ კუვინსკშიაც შეინიშნება ა-ხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებში ა-ხმოვნის ჩამოშორება. კერძოდ, არც თუ იშვიათია ამის შემთხვევები აწმყოს ინფინიტურ ფორმებში (იხ. აქვე, გვ. 151-152). ამრიგად, ა ხმოვანზე დაბოლოებული ზმნები, უნდა ვიფიქროთ, კუვინსკის კილოკავში ზოგჯერ გაუთანაბრდა თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებს და ამის შემდეგ განიცადა ის ცვლილებაც, რაც ამას მოჰყვებოდა ხოლმე უარყოფით ფორმაში ...**ჟამ** → ... **ამ**<sup>2</sup>.

-**მა** სუფიქსით ნაწარმოებ კითხვით ფორმებში აწმყოს -**ჟა** სუფიქსი ზმნის ფუძისა-და მიუხედავად აშხარულ დიალექტში ტაპანთური დიალექტის მსგავსად წარმოდგენილია **უ**-ს სახით:

... + **ჟამა** → ... **უმა**; ...+ **ჟამა** → ... **უმა**:

- დესთრ-**უ-მან?** – კუვ. 4 – მას (აღამ.) ვციდი?
- აჰანჯ, დგუ სი ისეზუქ.ხგ- – კუვ. 2 – შენ (მამაკ.) შეიძლება ჩემგან დიდი **უ-მა** ქვა აიღო?
- აზანრ დეებჰჰჰაზ, გჯუმ- – კუვ. 19 – ერთმანეთს სიტყვად რაც ვუთხარით, შენ (მამაკ.) არ იცი?
- დასრგჭ-**უ-მა?** – კუვ. 2 – მას (აღამ.) მას (რად.) შევავაჭმევ?
- „უწაწარა, სწაწარა“ – კუვ. 10 – „შენი (მამაკ.) ვაჟკაცობა, ჩემი ვაჟკაცობა“-[ო], არ ამბობენ?
- იყასწ-**უ-მან?** – კუვ. 10 – მას (რაღაც.) გავაკეთებ? და სხვ.

<sup>1</sup> მასდარია: აცაჟა-რა.

<sup>2</sup> საგულისხმოა, რომ ასეთი ცვლილება არ ჩატარდა დადებით-ინფინიტურ ფორმაში. მაგ., დც(ტ)ჟან-საგან არ მივიღეთ \*დც-ა.

ასე, რომ აშხარულ დიალექტში როგორც ინფინიტურ, ისე ფინიტურ ფორმებში აწმყოს აფიქსად **-ტა** გვევლინება დინამიკურ ზმნებში პირაქეთა დიალექტების მსგავსად. ფონეტიკურ ცვლილებათა ნიადაგზე მასში ხან **ა** ელემენტი დაიჩრდილება, ხან – **ჟ**. მაგრამ ამის აღდგენა ხერხდება. თავად ფონეტიკური ცვლილებები მრავალფეროვანია. ხშირად ეს ცვლილებები სხვადასხვანაირად მიმდინარეობს სხვადასხვა კილოკავში (კუვინსკის კილოკავს უფრო ისეთი ცვლილებები ახასიათებს, როგორც პირაქეთა დიალექტებში იჩენს თავს, აფსუის კილოკავს კი უფრო ისეთები, რომლებიც უფრო ტაპანთურისათვის ჩანს ამოსავალი). თუმცა საერთო ტენდენციებიც შეინიშნება<sup>1</sup>.

ნ ა მ ყ ო უ ს რ უ ლ ი

აწმყოს ფუძიდანვეა ნაწარმოები ნამყო უსრული აფხაზურში. აშხარულ დიალექტშიაც მის აფიქსად გვევლინება **-ტა-ნ** სუფიქსი ფინიტურ ფორმაში, **-ტა-ზ** – ინფინიტურ ფორმაში. **ტა** აფიქსთან და ზმნის ფუძესთან დაკავშირებული ფონეტიკური პროცესები ისეთსავე სახეს იღებს, როგორსაც უკვე გავეცანით აწმყოში (იხ. ზემოთ).

შეიძლება შეგვხვდეს სხვა აფხაზურ დიალექტთა მსგავსად უასიმილაციო სახეობები; მაგ.:

ფინიტური ფორმები:

- სარა აზა<sup>ა</sup> ტასჰა<sup>ა</sup>-**ტან** – კუვ. 12 – მე შენ (მამაკ.) სიტყვას გ ე უ ბ ნ ე - ბ ო დ ი
- ზარა ჟოჟანძარა ბგგ-  
რღა-**ტან** (|| ბგგ-ერღო<sup>ა</sup>ტან) – კუვ. 12 – შენ (დედაკ.) აქამდე მ ხ ი ა რ უ - ლ ო ბ დ ი
- აფჰეს დგმახგ-**ტან** დგსა-  
ტან – აფს. 30 – ქალი კ ე რ ა ვ დ ა, ქ ს ო ვ დ ა
- ჩაჰჰკ. დჰა ე-ტან... – აფს. 37 – ერთი ცხენოსანი მოდიოდა
- დყნ-**ტან** – კუვ. 4 – ის (ადამ.) ყ ვ ი რ ო დ ა
- იხტდ მარტდ ახშამმა ედს-**ტან** – კუვ. 14 – ისა (მამაკ.) და მისი თავი საღა-  
მომდე (მზის ჩასვლამდე) ე ბ რ -  
ძ ო დ ნ ე ნ ერთმანეთს... და სხვ.

ინფინიტური ფორმები:

- აჟგთ რზოგ<sup>ა</sup> ედგშთა – აფს. 37 – ესენი ყველანი ერთად რომ მო-  
ეშაარ-**ტაზ**, რგწგ<sup>ა</sup>ალა ჩაჰჰკკ დაადაშთა დგრბედტ დანახეს მომავალი
- იშიაა-**ტაზ**... – აფს. 37 – მას (მამაკ.) ის (რადაც) რომ (რო-  
გორც) ესმოდა...

<sup>1</sup> იგივე შეიძლება ითქვას იმ დროთა ფორმებზედაც, რომლებშიც მონაწილეობს აწმყოსეული სუფიქსი **-ტა**.

- ინხა-**ჟაზ**... – აფს. 37 – ისინი, რომლებიც მუშაობდნენ...
- ამჯა დემცა-**ჟაზ**... – კუვ. 15 – ის (ადამ.) გზაზე რომ მიდიოდა...
- უდ დეკაზცა-**ჟაზ**... – კუვ. 23 – ვინც მას (ადამ.) „მირეკავდა“ ...
- დგზლაა-**ჟაზ** ამჯა, – კუვ. 23 – ის (ადამ.) რომ გზით მოდიოდა, ინუჟუყვა შეხვდა მას... და სხვ.

ზოგჯერ **ჟ**-ს მეზობლობაში მომდევნო **ა** ხმოვანი ქცეულია **ო**-დ:

- ამათგ<sup>ე</sup> იცცა-**ჟონ** – კუვ. 15 – გველიც თან მიჰყვებოდა მას (მამაკ.)
- დემგერბა-**ჟრზ** აძგ<sup>ე</sup> დემ-თეძტ – კუვ. 23 – მას (ადამ.) როგორც ხედავდნენ, მან (მამაკ.) ის (ადამ.) წყალში ჩააგდო (წყალს მისცა)
- აჟრ ანაგა-**ჟონ**... – კუვ. 21 – მას (რაღაცას) ის (რაღაც) რომ მიჰქონდა... და სხვ.

ამათ გვერდით კუვინსკის კილოკავში პირაქეთა დიალექტების, განსაკუთრებით აზუღური დიალექტის, მსგავსად **ა** ხმოვანზე დამთავრებულ ფუძეებში ხშირად ადგილი აქვს ფუძისეული **ა**-ხმოვნის **ჟა**-აფიქსთან შერწყმას.

... **ა + ჟან** (... **ა + ჟაზ**) → ... **რან** (...**რზ**) → ... **ონ** (... **ოზ**)

მაგ.:

- აჟანხა ჩან იჟაფშონ – კუვ. 14 – იმ ღამეს ის (მამაკ.) რემას მწყსიდა (ღამეს უთევდა)
- აზალა უდ რჰ.ონ – კუვ. 21 – სიტყვიერად (სიტყვით, გადმოცემით) (ა)მას ამბობდნენ
- ჟასან სგზჩონ – კუვ. 21 – ცხვარს ვმწყსიდი
- აზნაჟე იფზონგ – კუვ. 19 – ტყეში ათევედნენ (ღამეს) რა...
- აგრროდ დცონ – კუვ. 26 – ის (ადამ.) ქალაქში მიდიოდა
- ბზრა ებაბონ – კუვ. 9 – მათ ერთმანეთი უყვარდათ
- ... ინგრჰ.ონ – კუვ. 1 – ისინი მას (რაღაცას) როცა ამბობდნენ...
- იმერჰონ – კუვ. 6 – ისინი მას (რაღაცას) რომ ჰამდნენ...
- იმარცონ – კუვ. 8 – ისინი ნადირობდნენ
- აზ. იხჩონ – კუვ. 3 – ისინი ძროხას მწყსიდნენ
- დცალონ – კუვ. 4 – ის (ადამ.) ხნავდა

<b>იბზახონ</b>	- კუვ. 11 – ცხოვრობდნენ
<b>იყარწაქუმ რგჰონ</b>	- კუვ. 1 – ისინი რასაც (რაეხსაც) გააკეთებდნენ, ამბობდნენ
<b>დაჭონ</b>	- კუვ. 7 – ის (რაც) მას (რაცაც) ჭამდა
<b>იგონ</b>	- ფსხუ, კუვ. 14 – მას (მამაკ.) ის (რად.) მიჰყავდა
<b>დემცოხ...</b>	- კუვ. 23 – ის (ადამ.) რომ მიდიოდა...
<b>აწა შჰანსონ...</b>	- კუვ. 7 – ვაშლს რომ ვაგროვებდით...
<b>იშჰარცონ...</b>	- კუვ. 8 – ისინი რომ ნადირობდნენ
<b>დემგონ...</b>	- კუვ. 3 – მას (ადამ.) რომ ეძინა...
<b>დანგნძონ</b>	- კუვ. 4 – ის (ადამ.) სანამ ჭამდა... და სხვა მრავალი <sup>1</sup> .

ავსუსის კილოკავში კი, პირიქით, **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებში იმავე **-ჴან**, **-ჴაზ** აფიქსთა დართვისას ტაპანთური დიალექტის მსგავსად<sup>2</sup> (და ავსუსის კილოკავში აწმყოს წარმოების მსგავსადვე)<sup>3</sup> ... **ა + ჴან**, ... **ა + ჴაზ**-ისაგან მიიღება ... **უნ**, ... **უზ**<sup>4</sup>.

მაგ.:

<b>მგჯა ჴასა რგნჴუნ</b>	- აფს. 45 – ორნი ცხვარს მწყსიდნენ
<b>აძგ კვდთუნ</b>	- აფს. 43 – ის (მამაკ.) წყალს ასხამდა
<b>იყალწუნ</b>	- აფს. 36 – ის (დედაკ.) მას (რაცაც) აკეთებდა
<b>მარს ასა ბზი იჰუნ</b>	- აფს. 36 – ის (მამაკ.) კარგად მღეროდა (კარგ სიმღერას ამბობდა)
<b>აჰ იფჰაცჰ ჴაწე ირგდთუნ</b>	- აფს. 35 – ბატონი თავის ქალებს ათხოვებდა (ქმარს აძლევდა)
<b>იკარცუნ</b>	- აფს. 41 – ისინი მას (რაცაც) მირეკავდნენ
<b>დამცუნ...</b>	- აფს. 41 – ის (ადამ.) რომ მიდიოდა...

<sup>1</sup> ზოგჯერ ბზიფური დიალექტის მსგავსად კუვინსკში შესაძლოა შეგვხვდეს ფუძისეულ **ა** ხმოვანმოკვეცილი სახეობა ნამყო უსრულის წარმოებისას; მაგ.:

მარა აკგჴ აამგ-ჴანგ... დაახტ - კუვ. 14 – მას (მამაკ.) რამეც არ მოჰქონდა რა, მოვიდა

დანც(გ)ჴოხ - კუვ. 2 – ის (ადამ.) რომ მიდიოდა... და სხვ.

<sup>2</sup> იხ. ტაპ. § 46, გვ. 148.

<sup>3</sup> იხ. აქვე, ზემოთ.

<sup>4</sup> იშვიათად ასეთი ფორმები კუვინსკშიაც შეიძლება შეგვხვდეს (მაგ., ასაბრჴა იზაზუნ - კუვ. 1 – „ბავშვებს (ჩვილებს) ვინც ზრდიდა“), მაგრამ იქ ეს დამახასიათებელი არაა.

დეშკარცუბ...	– აფს. 41 –	ისინი მას (რალაც.) რომ მი რ ე - კ ა ვ დ ნ ე ნ
ჩარა-ზ.რა ზზბყარწუბ...	– აფს. 36 –	ჰამა-სმას ვისაც უ მ ა რ თ ა ვ დ - ნ ე ნ...
დეშგლბუბ...	– აფს. 36 –	ის (დედაკ.) მას (ადამ.) რომ ხ ე - დ ა ვ დ ა...
იმეგეუბ...	– აფს. 32 –	მას (მამაკ.) ის (რალაც) რომ მი ჰ - ქ ო ნ დ ა...
იფჰეს მაანხუბ	– აფს. 32 –	მისი (მამაკ.) ცოლი, რომელიც რ ჩ ე ბ ო დ ა...
დეშცაჰუბ...	– აფს. 35 –	ის (ადამ.) რომ ილანძლებოდა...

ამ უკანასკნელი რიგის შემთხვევებში (იგულისხმება **ჰა**-სა და **ჰა** (→ **აა**)-ზე დაბოლოებული ზმნები) ხშირად ფუძისეული **ა**-ც არის დაცული და აფიქსადაც გვაქვს **-უნ, -უბ** (**-ტუნ, -ტუბ**).

მაგ.:

ისრტაკგე აკ ალძ-ტუნ	– აფს. 31 –	ყოველ ღამე თითო იკარგვოდა
დან ილაჰა-უნ	– აფს. 33 –	მის (მამაკ.) დედას ეს მ ო დ ა
აჟუ'მხაბარ ლაა-ტუნ, მარს დეღემბუშთა	– აფს. 36 –	მისი (მამაკ.) ამბავი ეს მ ო დ ა მას (დედაკ.) თავად ვერ ხედავდა რა... და სხვ.

ისევე, როგორც ეს იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს არა **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეშიაც.

აშხარული დიალექტის ორსავე კილოკავში არა **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებში ნამყო უსრულის წარმოებისას **-უან, ტაზ** აფიქსისეული **უ** ელემენტი დაკარგულია<sup>1</sup>.

მაგ.:

ამჟა დეშცაჟაზ, აწაბლრა იბლ მაა-ან	– კუვ. 15 –	ის (ადამ.) გზაზე რომ მიდიოდა, ხანძარი წვით მოდიოდა
ამათ აად იმჟა აფგზ ააგლან, დამეშთი-ანგ	– კუვ. 15 –	გველი მოვიდა და მისი (მამაკ.) გზის წინ გაჩერდა, მას (ადამ.) არ უშვებდა რა...
... დაა-ან	– კუვ. 10 –	ის (ადამ.) მო დ ი ო დ ა
ჰაჰაფგზ ალა ჩაგჰკ დჰა-ან	– აფს. 37 –	ჩვენ წინ ერთი ცხენოსანი მო- დ ი ო დ ა

<sup>1</sup> შდრ. აქვე, ზემოთ.



- ...დგჯემარ-**ან**-შთა, ამარა – აფს. 35 – ის (ადამ.) თამაშობდა რა, მზე  
 ააცერწა ენლაგარაკ, რომ ამოსვლას დაიწყებდა, მას  
 დაუდითგებ-**ან**-შთა, რგუნჭჟი (რაღაცას) გაუშვებდა რა, თა-  
 აჭაგ დადებ-**ან** ვიანთ სახლში ბრუნდებოდა  
 (უკუ მოდიოდა)  
 რზუგგ რგბგზში იდგრ-**ან** – კუვ. 22 – მან (მამაკ.) ყველაფრის ენაცო-  
 და  
 აურთ ზანგ იტან იშამ-**ან** – კუვ. 1 – ისინი ერთხელ ისხდნენ (და) სა-  
 უბრობდნენ (ლაპარაკობდნენ)  
 იშაად-**აზ** დახშა ლჭაგ – აფს. 37 – ისინი რომ მოდიოდნენ, მის  
 დაათალან... (მამაკ.) დისას ჩამოვიდნენ რა...  
 აურდა დამ-**აზ**-შა... – აფს. 42 – თითქოს მას (ადამ.) ავდარი (ცუ-  
 დი ამინდი) კლავდა...  
 ჯარი იცა(ტ), ეგრემდგრ-**აზ** – აფს. 30 – ისინი შორს წავიდნენ, სადაც არ  
 იცოდნენ (იქ წავიდნენ)  
 ჟანბა იუმშ-**აზ**, ებტა – კუვ. 23 – მანამდე რომ ვერ კლავდი შენ  
 იშაფურუმე? (მამაკ.) მას (რაღაცას), დღეს რო-  
 გორ მოკალ?  
 დგშნაფშ-წფშ-**აზ**... – კუვ. 17 – ის (ადამ.) რომ იყურებოდა  
 იქით-აქეთ...  
 ზემპგ იჯაზგრგაჟ-**აზ**... – კუვ. 23 – ვინც თავის ხელზე ატრია-  
 ლებდა მას (რაღაცას)... და სხვ.  
 მრავალი.

ასევეა უარყოფითის (და სხვა ფორმათა) წარმოებისასაც.

მაგ.:

- ანთ ავგჯა გრდგრ-**ა-მგ-ზ** – აფს. 36 – ეს ორნი არ იცნობდნენ  
 ... გზგგგ-**ამ-ზ-ტ** – კუვ. 4 – ისინი ზედ (რაღაცაზე) ვერ გა-  
 დადიოდნენ  
 ფჰეს დაადგშან, აფჰესფა – კუვ. 12 – ის (მამაკ.) ცოლს ითხოვდა (მოი-  
 ყვანდა), [მაგრამ] ქალიშვილი, რომელსაც ის მისდევდა, მას არ  
**აზტ** მოჰყვებოდა... და სხვ.<sup>1</sup>

ე. წ. განუსაზღვრელი მყოფადი

პირაქეთა დიალექტთაგან განსხვავებით აშხარული დიალექტის ორსავე კილოკავში ტაპანთურის მსგავსად ე. წ. განუსაზღვრელი მყოფადი

<sup>1</sup> კუვინსკის კილოკავში ასეთი ფორმები ზოგჯერ შეიძლება ახმოვანზე დაბოლოებულ ფუძეშიაც შეგვხვდეს (მაგ.: აბა აპრა ბორე იბონ, იფა **გვბამბტ** აპრა – კუვ. 10 – „მის (მამაკ.) მამას ბატონობა უყვარდა (კარგად ხედავდა), მას (შვილს) არ უყვარდა (იგი არ ხედავდა) ბატონობას“). შდრ. აქვე, ზემოთ.

დაფუძნებულია აწმყოზე. ამ ფორმას ისეთივე გამოყენება აქვს აზნარულ-შიაც, როგორც ტაპანთურში<sup>1</sup>.

პირაქეთა დიალექტების ჰნეა-შტ „მივალთ, წა(მო)ვალთ (ალბათ)“ ფორმის ნაცვლად აქ მოველით ჰნეა-ჟაშტ და სხვ.

მაგ.:

ჟახც(გ)ჟა, ჰნეა-ჟაშტ	– კუვ. 23 –	შენ (მამაკ.) სადაც მოდიხარ, [იქ] ჩვენც წამოვალთ
ჟაშ-ჟაშტ	– აფს. 44 –	შენ (მამაკ.) ის (რადაც.) მოგკლავს
უფსგ ულწ(გ)-ჟაშტ	– აფს. 44 –	შენ (მამაკ.) სული ამოგძვრება
ზანგ ჟას(გ)-ჟაშტ	– აფს. 44 –	ერთხელ შენ (მამაკ.) მას (რადაც.) დაარტყამ
აზარყა უგღლაშთა უნაფ-შტერი, იუბა-ჟაშტ დაყვანოათემგ	– აფს. 37 –	აქ (იქ) რომ დადგე შენ (მამაკ.) და შეხედო, დაინახავ სახლს, სადაც ის (ადამ.) ცხოვრობს და სხვ.

აწმყოსეულ -ჟა-სუფიქსს, როგორც ვხედავთ, აქ დართულია -შტ აფიქსი. იგი რთული შედგენილობისაა. ერთი მხრივ, მასში ივარაუდება -შა აფიქსი (ამ აფიქსში ა ხმოვანი გამომჟღავნდება როგორც პირაქეთა დიალექტებში, ისე ზოგჯერ აზნარულშიც ინფინიტიურ ფორმათა წარმოებისას – მაგ., პირაქ. დიალექტების სახცა-შა „სადაც უნდა წავიდე“, უარყოფით ფორმაში სცაშამ – „არ წავალ“ და სხვ.); ხოლო, მეორე მხრივ, ფინიტიობის (ი)-ტ სუფიქსი.

საგულისხმოა, რომ სხვა აფხაზურ დიალექტთაგან განსხვავებით აზნარული დიალექტის ორსავე კილოკავში, განსაკუთრებით კი კუვინსკურში, დღემდე სისტემატურადაა დაცული ამ ორივე აფიქსის მოსალოდნელი სრულხმოვნიანი სახეობებიც... \*შა-იტ → ...შე-ტ.

მაგ.:

ბრგსთ-უშეიტ	– აფს. 37 –	შენს თავს (დედაკ.) მათ მივსცემ
აჰ იჰაგ სც-უშეიტ	– კუვ. 14 –	ბატონთან წავალ („მივალ“)
აბლაჯა დაჰ-უშეიტ	– კუვ. 23 –	მას (ადამ.) გველემაპი შეჰამს
აბლაჯა აა-უშეიტ-შთა, დაჰ უშტ	– კუვ. 2 –	გველემაპი მოვა და მას (ადამ.) შეჰამს
არი ლჟეს ს.ასჰ.-უშეიტ	– კუვ. 17 –	ამ (ქალის) საქმეს გეტყვით
სწაწარალა რახე აასც-უშეიტ	– კუვ. 14 –	მე ჩემი ვაჟკაცობით საქონელს მოვრეკავ
სგდც.აბ-უშეიტ	– კუვ. 4 –	მას (მამაკ.) მე უკან წამოუვალ (გამოვექცევი)

<sup>1</sup> შდრ. ტაპ. § 46, გვ. 149.

- ჰაბა დააგღლარი, უსც-გდშ- – კუვ. 14 – მამაჩვენი რომ ადგეს, შენ თავს  
**უშე(ი)ტ** (მამაკ.) მომიკლავს  
 სარა ჯგფაცა სრ**უშეიტ** – კუვ. 14 – მე ორი ვაჟი შეემეძინება  
 საანგრჭებ-**უშეიტ** – კუვ. 23 – ის (რაღაც) გამომადვიძებს...  
 და სხვ.

აფსუის კილოკავში ძალზე გავრცელებულია აფსლაუტში **ტ**-ს და-  
 კარგვა. ამ ნიადაგზე შეიძლება გვქონდეს აღნიშნულ ფორმაში მხოლოდ -  
 (ტ)აშა || -**უშა**.

მაგ.:

- ჰ'ტასაქე ეყარახ-**უშა** – აფს. 45 – ჩვენი ცხვარი თანაბარი (ოდენო-  
 ბისა) გახდება  
 ტასჯან სერაზხ-**უშა** – აფს. 43 – მაშინ თანახმა ვიქნები, გავხ-  
 დები  
 ტყა დეუბ-**უშა** – აფს. 37 – იქვე ნახავ შენ (მამაკ.) მას (ადამ.)  
 სარა აფგბა სგგლ-**უშა** – აფს. 36 – მე წინ დავდგები  
 დააბ-**ტაშა** – აფს. 37 – ის (ადამ.) მოვა  
 სარგ'გ სნ'რ-**ტაშა** – აფს. 37 – მეც მოვალ... და სხვა მრავალი.

საყურადღებოა ფონეტიკური ცვლილებების მხრივ ამ ფორმაში  
 აწმყოსეული -**ტა** სუფიქსის სახეობები კილოკავთა მიხედვით.

ა ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებში იმავე აწმყოსეულ -**ტა** აფიქსს  
 აღნიშნულ ფორმაში მოუცია **უ** (← ა + **ტა**) როგორც აფსუის, ისე კუვინსკის  
 კილოკავში.

... \*ა + **ტა-შა** + **იტ** → ... **უშე(ი)ტ**

მაგ.:

- სანი საბე რჭე უგანი, – კუვ. 15 – შენ (მამაკ.) ჩემ დედ-მამასთან წა-  
**იუსერბ-უშეიტ** გიყვან და მათ გიჩვენებ  
 ტოწე მგჭ'ადღსტრგ-**უშეიტ** – კუვ. 23 – ხვალ მათ შეშას მოვატანინებ  
 აზ' იჰ-**ტაშა** – კუვ. 20 – სიტყვას იტყვის ის (ადამ.)  
**ჰც-უშეიტ** – კუვ. 9 – წავალთ  
 კაკაკ ძე ფშერჰა არნათ-**უშეიტ** – კუვ. 2 – თითო კოკა წყალს მისცემს ის  
 (რაღაც) მათ  
 ამლექ აბჟა ტსთ-**უშეიტ** – აფს. 35 – ნახევარ ქონებას მოგცემ შენ  
 (მამაკ.)  
**იუზ-უშეიტ** – აფს. 35 – შენ (მამაკ.) ის (რაღაც.) გეყოფა  
**დაჰტ-უშეიტ** - იჰ.წ – აფს. 40 – ის (რაღაც) ჩვენ შეგვჭამს-ო  
 ... ბჟანა-ბჟემემ დტცაზ- – აფს. 37 – შვიდ დღე-ღამეს იძინებს ის  
**უშეიტ** (ადამ.)... და სხვ.

ასეთსავე მოვლენას ვადასტურებთ სათანადო ინფინიტურ,  
 უარყოფითსა და სხვა ფორმებშიც.

მაგ.:

- ჭარს იუთაჯრ ბზირარანგ – კუვ. 23 – შენ (მამაკ.) რა გინდა, სიკეთედ  
უზესხ-**უშა**? გიყო?
- იუაპთ-**უშა**, ნკპპ! – კუვ. 15 – შენ (მამაკ.) რა(ც) მოგცეთ,  
გვითხარ!
- სარს სგზლბგრჭგ ხ-**უშა**... – კუვ. 23 – მე შენ (დედაკ.) რითიც გამალ-  
ვიძებ...
- ბგშაზ-**გუშა**, აბარსა აკგპ – კუვ. 22 – შენ (დედაკ.) როგორც მოგიყვან,  
ასეა
- იბპ-**უშა**, ზაკი?... უდოპ – კუვ. 9 – შენ (დედაკ.) რასაც იტყვი, რაა?  
ისპ-**უშა**... ესაა, რასაც ვიტყვი
- იყუწ-**უშა** აბრრ იუპ – კუვ. 23 – შენ (მამაკ.) რაც უნდა გააკეთო,  
ესაა
- ბაბაც-**უშა**? – აფს. 38 – შენ (დედაკ.) სად მიდიხარ  
(წახვალ)?
- სგფჰა დგზესთ-**უშა** – აფს. 43 – ჩემი ქალი ვისაც (უნდა) მივსცე...
- აჭრ პუწ, სარს ისპსპ-**უშა** – აფს. 38 – ესაა, მე თქვენ რასაც გეტყვით  
თ
- სარს აკვლაგგ სგგრზახ-  
**უშამ** – აფს. 43 – მე არაფერზე (რამეზე) თანახმა არ  
გავხდები
- ჩგ გჯესთ-**უშამ** იპე – აფს. 42 – შენ (მამაკ.) ცხენს არ მოგცემ
- ჭარს სარე ჰაგჯზ-**უშამ** – აფს. 3 – მე და შენ ვერ წავალთ
- თელურს გესპსპ-**უშამ** – კუვ. 11 – ამბავს არ მოგიტხრობთ
- სგგგბგგრჭგხ-**უშამ** – კუვ. 23 – შენ (დედაკ.) ვერ გამომაღვიძებ
- ისბგრპ-**უშა**-მა? – კუვ. 20 – მათქმევი ნებ შენ (დედაკ.)? და  
სხვ.

სხვა შემთხვევაში კუვინსკის კილოკავში აწმყოსეული **-ჭა** აფიქსი ფუძისეულ ბოლოკიდურ **-ა** ხმოვანთან შეხვედრისას გვამლევდა **ო**-ს (მაგ., სცოტ ← სცაჭა(ა)ტ, სცონ ← სცაჭან) პირაქეთა აფხაზური დიალექტების მსგავსად<sup>1</sup>.

ამ შემთხვევაში იგივე **ჭა** აფიქსი ანალოგიურ პირობებში გვამლევს **უ**-ს. **უ** კი აღნიშნულ შემთხვევებში დამახასიათებელია აფსუის კილოკავისათვის (მაგ.: სცუდტ ← სცაჭადტ, სცუნ ← სცაჭან)<sup>2</sup>. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთლიანად ამ ფორმის წარმოება აწმყოს ფუძეზე დაყრდნობით – სცა-ჭაშტ – კუვინსკის კილოკავს შეუთვისებია აფსუის კილოკავიდან. კუვინსკის კილოკავისათვის კი ის ვითარება უნდა ყოფილიყო დამა-

<sup>1</sup> შდრ. აქვე, აწმყოსა და ნამყო უსრულის წარმოება კუვინსკის კილოკავში.

<sup>2</sup> შდრ. აქვე, აწმყოსა და ნამყო უსრულის წარმოება აფსუის კილოკავში.

ხასიათებელი, რაც პირაქეთა დიალექტებში გვხვდება, ე. ი. მყოფადის სა-  
თანადო ფორმის მაწარმოებელი **-შ:ტ ← შ:ედტ** (← \***-შა-დტ**) აფიქსი დართუ-  
ლი უნდა ყოფილიყო მასშიაც უშუალოდ ზმნის ფუძეზე (\*სცა-შ:ე-დტ).

საწინააღმდეგო შემთხვევაში იგივე ფონეტიკური პროცესები უნდა ჩა-  
ტარებულიყო კუვინსკის კილოკავში, რაც მისთვის იქნებოდა დამახასიათე-  
ბელი, ე. ი. უნდა მიგვეღო \*ს ც ო შ:ე დ ტ.

ეს კი შესაძლოა არ მოხდა მიტომ, რომ მან მიიღო აფსუსის კილოკავის  
მზამზარეული ფორმა ს ც უ შ:(ე დ) ტ<sup>1</sup>.

საყურადღებოა ამ ფორმის სახეობები არა **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ  
ფუძეებში.

ასეთ შემთხვევებში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აწმყოს **-ჟა**  
აფიქსისეული **ჟ** ელემენტი იკარგვის აშხარული დიალექტის ორსავე  
კილოკავში (მაგ., იზდგრ-ედტ ← იზდგრ-ჟ-ედტ „ვიცი“ (რალაც); იზდგრ-ან ←  
იზდგრ-ჟ-ან „ვიცოდი“ და სხვ.)

აფსუსის კილოკავს ასეთი ცვლილება გ ა უ ტ ა რ ე ბ ი ა მყოფადშიც.

...**ჟაშ:(ტ)**... → ...**აშ:(ტ)**

მაგ.:

- |   |  |
|---|--|
| სცაბ- <b>აშ:ტ</b>                                 | – აფს. 38 – მე (უკან) წ ა ვ ა ლ  |
| ლარა დჰად- <b>აშ:</b>                             | – აფს. 33 – ის (აღამ.) მო ვ ა  |
| სარგ სნედ- <b>აშ:</b>                             | – აფს. 37 – მეც მი ვ ა ლ   |
| სა სედშ- <b>აშ:</b>                               | – აფს. 38 – ის (მამაკ.) მე მო მ კ ლ ა ვ ს  |
| რბ- <b>აშ:</b>                                    | – აფს. 36 – ის (რალაც.) და ი კ ა რ გ ე ბ ა   |
| ჟააჰენჰ.გხნაწკკ, იუზჰარ-<br>ფშ- <b>აშ:</b>        | – აფს. 36 – შენ (მამაკ.) მოსვლამდე მას (რა-<br>ლაც) „და გ ი ლ ო დ ი ნ ე ბ თ“ (შე-<br>გინახავთ) |
| სანფს- <b>აშა-გ</b> გ იუდგრედტ                    | – აფს. 44 – შენ (მამაკ.) მე როცა მო ვ კ ვ დ ე -<br>ბ ი, (ისიც) იცი                             |
| ისრუმჰ.აკაა უგ <sup>ა</sup> სგშთ-<br><b>აშა-მ</b> | – აფს. 44 – შენ (მამაკ.) (სანამ) მას (რასმე) არ<br>მეტყვი, არ გ ა გ ი შ ვ ე ბ... და სხვ.       |

კუვინსკის კილოკავში კი **ა** ხმოვანფუძიანთა მსგავსად ამ შემთხვე-  
ვაშიაც **უ** (**-უშ:ედტ, -უშ:ტ, -უშა...**) გვაქვს.

მაგ.:

- |                      |   |
|----------------------|---|
| დგზ.დგრ- <b>უშ:ტ</b> | – კუვ. 2 – თქვენ მას (აღამ.) გა(მო)იცნობთ |
| დგფს- <b>უშ:ტ</b>    | – კუვ. 20 – ის (აღამ.) მო ვ ვ დ ე ბ ა     |
| დააბტ- <b>უშ:ტ</b>   | – კუვ. 23 – ის (აღამ.) მო ვ ა             |

<sup>1</sup> თუმცა აღსანიშნავია, რომ ანალოგიური სახეობა (**ჟ**) კუვინსკში გაბატო-  
ნებულია უარყოფით წარმოებებშიაც. იხ. ზემოთ.

- სგდცანბ-**უმეიტ** – კუვ. 4 – მას (მამაკ.) უკან წამოუვალ  
(გამოვექცევი)  
 ჰაბა დააგღლარი, – კუვ. 14 – მამაჩენი რომ ადგეს, შენს თავს  
 უსც-გდმ-**უმე(მ)ტ** (მამაკ.) მომიკლავს  
 სანააბ-**უმა**, გ<sup>ნ</sup>ესგზდგრამ – კუვ. 10 – უკან როცა მოვალ, არ ვიცო  
 აბუ უგ<sup>ემ</sup>-**უმა**-მ – კუვ. 25 – შენ (მამაკ.) მეხი არ მოგკ-  
 ლავს... და სხვ.

კუვინსკის კილოკავმა, როგორც ვხედავთ, ერთი ფორმა გამოიყენა ამ შემთხვევაში როგორც ა ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებში, ისე დანარჩენებში<sup>1</sup>.

-**(მ)ტ**- აფიქსის ჩამოცლითა და -**ნ** (სათანადო ინფინიტურ ფორმებში კი – -**ზ**) აფიქსის დართვით აღნიშნულ ფორმაზეა დაყრდნობილი პირობითი შინაარსის წარმოებაც.

მაგ.:

- იუთაჯ<sup>რ</sup>? იუსთ-**უმან** – კუვ. 19 – შენ (მამაკ.) რა გინდა? მოგცემ-  
 დი  
 ადჰანდ იხ<sup>ნ</sup>აფმ რღ<sup>გ</sup>-**უმან** – კუვ. 4 – ეფენდის ოქროს მოიპარავდნენ  
 სჩკ-ენ იბ<sup>ნ</sup>-**უმან**, – კუვ. 11 – ყმაწვილი რასაც შესჭამდა, მოამ-  
 ირ<sup>ა</sup>ჰაზერტ ზადეს  
 ჰადაად-**ამან** – აფს. 37 – ჩვენ მას (მამაკ.) ვაჯობებდით,  
 მოვერეოდით  
 დგზერზიხ-**უმან**... – აფს. 35 – რაც მას (ადამ.) მოაკეთებდა...  
 დგზლადგრემ-**ამან**... – აფს. 26 – ისინი მას (ადამ.) რითაც დაკარ-  
 გავდნენ... და სხვ.<sup>2</sup>

მყოფადი განსაზღვრული

განსაზღვრული მყოფადის მაწარმოებლად ფინიტურ ფორმაში პირაქეთა დიალექტების მსგავსად არის -**ჰ** სუფიქსი (ტაპანთურში გვხვდებოდა **ზ**-ც).

მაგ.:

- ... აა<sup>რ</sup>დთა-**ჰ** – კუვ. 15 – ის (მამაკ.) შენ (მამაკ.) (რადცას)  
 მოგცემს  
 იბჰარდგრ-**ჰ** – აფს. 36 – შენ (დედაკ.) მას (რადცას) გა-  
 გაცნობთ (გაგაგებინებთ)  
 აურ მასჰა<sup>ჰ</sup>-შთა, დგზჟა-**ჰ** – აფს. 37 – მას (რადცას) ვეტყვი მას (მა-  
 მაკ.) და მოვატყუებ

<sup>1</sup> შდრ. ანალოგიური ვითარება აწმყოს კითხვით ფორმებშიაც, აქვე, ზემოთ.

<sup>2</sup> იხ. ტაპ. § 46, გვ. 150

უასაკ უაჰთახე-ბ	- აფს. 33 –	შენ (მამაკ.) ერთ ცხვარს მოგ- ცემთ უკან (დაგიბრუნებთ)
ჰარს შარახ ჰმებ-შთა, ძაგ-ბ	- აფს. 37 –	ჩვენ ნადირს მოგკლავთ და მოვიტანთ
ჰრეჟ-ბ, ჩეფსაჰმ-ბ	- აფს. 36 –	ცხენიდან ჩამოვხტეთ (ჩამო- ვხტებით), დავისვენოთ (და- ვისვენებთ)... და სხვ.

შედარებით უფრო რთულად არის წარმოდგენილი მყოფადის ინფი-  
ნიტური ფორმები.

პირაქეთა აფხაზურ დიალექტებში ამ შემთხვევაში გავრცელებულია  
-რა და -ლაკ (|| -ლაგ) სუფიქსები<sup>1</sup>.

-რა და -ლაკ-გ გვაქვს ტაპანთურ დიალექტშიაც, ოღონდ თითოეუ-  
ლი მათგანის გამოყენებაში აღნიშნულ დიალექტებში გვაქვს სხვაობაც:  
-რა უფრო გავრცელებულია ტაპანთურში; -ლაკ-გ-ის გამოყენების არე კი  
მეტად შეზღუდულია. პირაქეთა დიალექტებში კი საწინააღმდეგო ვითა-  
რებაა: -ლაკ (|| -ლაგ) აქ უფროა გავრცელებული.

-რა აფიქსი აღნიშნული ფუნქციით გვხვდება აშხარულის კილოკა-  
ვებშიაც, მაგრამ მეტისმეტი შეზღუდვით.

მაგ.:

დაჰაიტ-რა, გედდგრამ, დამბესთიტ-რა, გედდგრამ, ილგგიტ-რა, გედდგრამ	- კუვ. 21 –	მან (მამაკ.) ის, რომელიც თავა- დისად აქციოს (აქცევს), არ იცის; ის, რომელიც აზნაურისად აქცი- ოს, არ იცის; ის, რომელიც გლე- ხისად აქციოს, არ იცის
იმფაყალა-რა-ჰა	- კუვ. 19 –	ის (რადაც) როგორ მოხდება (იქ- ნება)-ო
დამფჟუ-რა ხაჯს, უასაკ აზგჰა ჟუჟასს შფაჟსთარა?- ჰა	- აფს. 33 –	როგორ ვქნათ ხოჯავ, ერთ თხაში ათი თხა როგორ მოგ- ცეო?
აგაჰი დჟტო დჰა: არი აც. დამაასლა-რა!	- აფს. 41 –	შუა (ადგილას) ვინც ზის, (იმას) უთხარი: ამ ხარს რომ (როგორც) დაარტყას!
დანგრგა-რა, იყარწაქჟშა, რგჰონ	- კუვ. 1 –	მათ რომ წაიყვანებენ, რასაც იზამენ, (იმას) ამბობდნენ
ჰაჟაზამგ ჩედრგჰაზგრტ, დემედს-რა დეფშ	- კუვ. 2 –	ჰავაზაშიც მოემზადა, მას რომ ებრძოლოს (იმგვარად)

<sup>1</sup> იხ. ტაბ. § 46. გვ. 151...

- სარგ`ჯ დღრრა შესგმოუ – კუვ. 17 – მეც რომ ცოდნა მაქვს, მას (მამაკ.)  
შისერდგრ-რა!  
რომ (როგორც) გავაგებინო (გავა-  
გებინებ)!
- ჰგდა ბეზეზხაზ საბ, – კუვ. 23 – მამაჩემს, რომელმაც შენ (დედაკ.)  
იმესგმერვა-რა!  
სიავე გიყო, როგორც არ ვაპატიო  
(არ ვაპატიებ)! და სხვ.

უარყოფითსა და კითხვით ფორმებში, რომლებიც დაფუძნებულია ხოლმე ზმნის ინფინიტურ სახეობაზე, მყოფადის ფუძეში გვექნება იგივე -  
**რა** → **-რ(გ)** სუფიქსი ყველა აფხაზურ დიალექტში. ასევეა აზნარულშიც.

მაგ.:

- სე იყ(ა)რარ სგმოუპ, – კუვ. 15 – მე პირობა მაქვს, შენ (მამაკ.) არ  
უგ`სგშოთ-რგ-მ  
გაგიშვებ
- სარს საყცრ, უარს უგ`გზ- – კუვ. 11 – მე სადაც მივდივარ (წავალ), შენ  
ნგ-რგ-მ  
(მამაკ.) [იქ] ვერ მიხვალ
- ფჰესნგ სგ`გუზგყალა-რგ-მ – კუვ. 8 – შენ (მამაკ.) ცოლად არ გაგიხდები  
აღფფ ახაბარ სა გ`გს-ასჰა- – აფს. 36 – რაშის ამბავს თქვენ არ გეტყვით  
რგ-მ
- იხერ გ`გფჰარბა-რგ-მ – აფს. 36 – ჩვენ შენ (დედაკ.) მის (მამაკ.)  
სიკეთეს არ გიჩვენებთ
- შთა, იყაჰწა-რ-ო? – აფს. 33 – აწ რა გავაკეთოთ? და სხვ.

აღნიშნული **-რა** აფიქსი იგივე ელემენტი ჩანს, რაც მასდარისა და პი-  
რობითი კილოს მაწარმოებელი **-რა** → **-რ** (შდრ. აცა-რა – წასვლა, სცა-რ –  
რომ წავიდე...)<sup>1</sup>.

ეგვე ფუძე აქვს გამოყენებული მეშველი ზმნით ნაწარმოებ გარკვე-  
ული კატეგორიული შინაარსის მქონე ფორმებს აფხაზურში. მაგ., „უნდა  
წავიდე“ ან „უნდა წავსულიყავ“ აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში  
გადმოცემული იქნება სათანადო ზმნის პირობითი კილოს (!) ფორმით  
პლუს მეშველი **აუპ** („არის“) ზმნა აწმყოში, ან ნამყოში იგივე მეშველი  
„აკუნ“ ზმნა (ან არადა ნამყოზის **-ნ**-აფიქსი).

მაგ.:

სცაროუპ (სცარ აუპ ← \*სცარა(ა)უპ) = რომ წავიდე არის = უნდა წავიდე  
სცარგ-ნ (← \*სცარა-ნ) || სცარ აკ.გნ ← სცარა აკ.გნ = რომ წავიდე „იყო“ =  
უნდა წავსულიყავ.

ტაპანთურ დიალექტში აღებულია იგივე ფორმა სრულხმოვნაანი  
სახეობით (რაც ემთხვევა მასდარსა და მყოფადის ინფინიტურ ფორმას) და  
ერთვის მას მეშველ ზმნად „ათაჯრა“ „ნდომა“-ზმნის აწმყო ს ან ნამყო  
განუსაზღვრელის ფორმები.

<sup>1</sup> იხ. ტაპ. § 46. გვ. 152-153.



მაგ.:

სცარა ათაჯუპ – რომ წავიდე (=ჩემი წასვლა) უნდა = „უნდა წავიდე“

სცარა ათაჯენ – რომ წავიდე (=ჩემი წასვლა) უნდოდა = „უნდა წავსულიყავ“

აშხარული დიალექტის კილოკავებშიაც გაბატონებულია მეშველ (ათაჯრა „ნდომა“) ზმნიანი წარმოება ტაპანთური დიალექტის მსგავსად. იგი ერთვის ჩვეულებრივ სათანადო ზმნის მყოფადის ინფინიტურ ფორმას.

მაგ.:

- |  |             |  |
|--|-------------|--|
| სარგჯ აკგ ყას წა რა<br>(ა)თაჯუპ        | - კუვ. 17 – | მეც რამე უნდა გავაკეთო („რომ“<br>გავაკეთო, უნდა“)                              |
| რგჯაქა გეუ წეწა-რა<br>ათაჯუპ           | - კუვ. 2 –  | შენ (მამაკ.) მათ თავები უნდა<br>დაკვეთო („რომ დაკვეთო, უნ-<br>და“)             |
| ალანმთნე რყოუ, (ა)ა-<br>ადგრ-რა ათაჯუპ | - კუვ. 10 – | საოცრებად რაც არის, უნდა გავი-<br>გოთ („რომ გავიგოთ, უნდა“)                    |
| სცახ-რა ათახგუპ                        | - კუვ. 23 – | უნდა უკან წავიდე (... „რომ<br>წავიდე, უნდა“)                                   |
| წაზბრგგლა ჰა დცაზა-რა<br>ათაჯუპ        | - კუვ. 23 – | ნამდვილად უნდა მოვილაპა-<br>რაკოთ (... „რომ მოვილაპარა-<br>კოთ, უნდა“)         |
| დჰაუ-რა ათაჯუპ                         | - კუვ. 14 – | ის (ადამ.) უნდა ვიპოვოთ, ვიშო-<br>ვოთ (... „რომ ვიპოვოთ, უნდა“)                |
| ფჰეს დეუზანგა-რა ათა-<br>ჯუპ           | - კუვ. 6 –  | შენ (მამაკ.) ცოლი უნდა მოგიყ-<br>ვანოთ (... „რომ მოგიყვანოთ, უნ-<br>და“)       |
| იუჰა-რა ათაჯუპ                         | - კუვ. 6 –  | შენ (მამაკ.) ის (რადაც) უნდა შე-<br>ჭამო (... „რომ შეჭამო, უნდა“)              |
| ჰაყცგუ იჰაგაგა-რა და-<br>თაჯუპ         | - აფს. 3 –  | სადაც მივდივართ, ისინიც თან<br>უნდა წავიყვანოთ (... „რომ<br>წავიყვანოთ, უნდა“) |
| უმჰგლა ილჰგუწალა-<br>რა ათაჯგე         | - აფს. 43 – | შენი (მამაკ.) ხელით უნდა ჩაუ-<br>დო ხოლმე მას (დედაკ.) პირ-<br>ში (საჭმელი)    |
| შვაშთა ინგყა-რა ათაჯ-<br>ხან           | - აფს. 36 – | ისინი მთად უნდა წასული-<br>ყვენ რა... და სხვ.                                  |

იქვე შეგვხვდა აღნიშნული წარმოება აშკარად მასდარის ფორმაზე დაფუძნებულიც; მაგ.:

ტოჟა, ზულემა ლუნგ – კუვ. 22 – ახლა, ზულემა თავის სახლში  
 ღცახ-რა ათაჯუბ უნდა წავიდეს (... „მისი (დე-  
 დავ.) წასვლა უნდა“)<sup>1</sup>

მართალია, აზნარულ დიალექტში ამ ფორმებში ტაპანთურის მსგავსად ათაჯრა („ნდომა“) ზმნა გამოიყენება, მაგრამ კუვინსკის კილოკავში შეგვხვდა პირაქეთა დიალექტების მსგავსად **ოუბ** ← (**აუბ**), **აკგბ** მეშველი ზმნაც.

მაგ.:

შთა არი ჭახშ დაასტუ – კუვ. 12 – ახლა, ეს შენი (მამაკ.) და უნდა  
 თა-რი **ოუბ** მომცე (= ... „რომ მომცე, არის“)  
 დგთგწ-რი აკგპ – ფსხუ. კუვ. 15 – ის (ადამ.) უნდა გავიდეს (შიგ-  
 ნიდან)

ამ ფაქტში სხვა გარემოებაც იქცევს ყურადღებას. როგორც ზემოთ ვთქვით, აღნიშნულ წარმოებაში გამოიყენება როგორც პირობითი კილოს ფორმა, ისე მყოფადის ინფინიტური ფორმა და ასევე მას-დარის ფორმა. ეს შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ამოსავალში სათანადო ფორმათა ერთიანობა იგულისხმება<sup>2</sup>.

პირაქეთა დიალექტებში არსებული -რ-თი ნაწარმოები პირობითი კილოს ფორმა იგივეა, რაც მყოფადის ინფინიტური ფორმა ა-ხმოვან-მოკვეცილი.

ეს უკანასკნელი ხმოვანმოკვეცილი (resp. პირობითი კილოს) ფორმა აქვს საფუძვლად დადებული ზემოხსენებულ წარმოებებსაც აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში.

აზნარულ დიალექტს მყოფადის ინფინიტური ფორმა და პირობითი კილოს ფორმა სხვა ნიშნითაც დაუმორებია ერთმანეთისთვის. თუ მყოფადის ინფინიტურ ფორმაში გვაქვს -რა სუფიქსი, პირობით კილოში გვევლინება -რი<sup>3</sup>. -ი ამ შემთხვევაში ახალი მოვლენა ჩანს.

ეს პირობითი კილოს ფორმა აიღო პირაქეთა დიალექტების მსგავ-

<sup>1</sup> მყოფადის ინფინიტური ფორმით მოველოდით „ღ-ცახრა“-ს.

<sup>2</sup> იხ. ტაპ. § 46. გვ. 153.

<sup>3</sup> ერთხელ ჩვენ ჩავიწერეთ მყოფადის ინფინიტურ ფორმაში ასეთი სახეობაც: ტოჟა, არი აურამ 3-ან-ბჟალა-რი, ართ აქეთ ლაქა, ანა-გშთალო, ის-შე! – კუვ. 21 – „ახლა, ამ გზას (როცა) რომ გავჰყვებით, ამ სოფლის ძაღლები რომ დაგედევნებათ, მოკალით!“ აქ თუ პირობითი კილო გვაქვს, რაზედაც თითქოს -რი სუფიქსი მიუთითებს, მაშინ ან („როცა“) უადგილოა (თუ ეს, ან- სხვა წარმოშობისა არაა!); თუ ინფინიტური ფორმა მყოფადისაა – და ამას გვაფიქრებინებს იგივე -ან-, მაშინ უნდა გვექონდეს -რა სუფიქსი.

თუ აქ მოყვანილი მაგალითი შემთხვევითი წაცდენის ამბავი არაა, საგულისხმოა, რომ იგივე -რი პირობითის აფიქსი შესაძლოა შეგვხვდეს მყოფადის ინფინიტური ფორმის გამოსახატავადაც (?).

სად აშხარულმა, როცა იმავე პირაქეთა დიალექტების მსგავსად **აუბ. აკ.გბ** („არის“) მეშველი ზმნით გამოხატა კატეგორიული შინაარსის მქონე წარმოება (... და ა ს გ უ თ ა რ ი ო უ პ [„ის (აღამ.) შენ (მამაკ.) უნდა მოგვეცე“ – რედ.]...).

როგორც ამ მასალიდან ირკვევა, **-რა** აფიქსი მყოფადის ზოგ ინფინიტურ ფორმაში ერთადერთი აფიქსია აფხაზურის ყველა დიალექტში. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აფხაზურის როგორც პირაქეთა დიალექტებში, ისე ტაპანთურშიაც მყოფადის ინფინიტურ ფორმაში რიგ შემთხვევაში გვხვდება აფიქსი **-ლაკ**, **-ლაგ** (პირაქ. დიალექტ.), **-ლაკ-გ<sup>გ</sup>** (ტაპ.).

აშხარული დიალექტის კილოკავებში **-ლაკ** აფიქსი ჩვეულებრივ არ გვხვდება. მხოლოდ ერთ შემთხვევაში დავადასტურეთ ჩვენ იგი კუანსკის კილოკავში (ისიც პარალელურ სახეობად).

მაგ.:

ბარს სარს ბესგფჰესგუპ. – კუვ. 12 – შენ (დედაკ.) ჩემი ცოლი ხარ, შენ ბესთედრნეს იბსს ჰაა-  
**ლაკ-გ<sup>გ</sup>**... ‘ხ-გთნგლა სგბთუმა?’  
– გაცემად (შენი თავის გაცემაზე, გაყიდვაზე) რომ გეტყვი (რასაც გეტყვი), ნებას მომცემ?

აფსუს კილოკავისათვის სათანადო შემთხვევებში დამახასიათებელია **-რააკ** (**-რააკ-გ<sup>გ</sup>**) სუფიქსი.

მაგ.:

დან რედს-**რააკ**... – აფს. 36 – როცა იგი (აღამ.) მათ შეებრძოლებათ...  
აჭრ აჩაან მგჩაშა-ფნაძა – აფს. 37 – ეს ჭაკი ყოველ კვირას იგებს. შვიდი მგელი უზის (ახლოს). როცა კი მოიგებს, ჭამენ მას (რალაცას)  
ინუდტ. ბგჟ-ქუჯმაკ მადტალოპ. მანარგდ-**რააკ-გ<sup>გ</sup>** – აფს. 35 – მზე ამოსვლას რომ (როცა) დაიწყებს...  
ირჰუდტ  
სმარა ააც-გრწა ენსლა **გა-რააკ**... – აფს. 44 – ტოტს რომ (როცა) მოჭრი შენ (მამაკ.)...  
სასანფსგ-**რააკ**... – აფს. 37 – მე როცა მოვკვდები...  
არრ აბაკ. დგუ იწალა-**რააკ-გ<sup>გ</sup>**, ილშა-მაცარა – აფს. 37 – ამ დიდ მთაზე (კლდეზე) ვინც ავა, კვლით გაათავა (მოსპო) მან (აღამ.)  
დრგლგედტ  
იბს-**რააკ-გ<sup>გ</sup>**. დგმჰაჟედტ – აფს. 37 – ის (მამაკ.) ვისაც ნახავს, ჭამს  
იშგყაზა-**რააკ-გ<sup>გ</sup>**, ანგშ. – აფს. 41 – როგორც იქნება (როგორც იქნა), მიწა მოაყარეს რა, მოვიდნენ  
სქ-გრფსან, მასმ  
დაყგყაზა-**რააკ-გ<sup>გ</sup>**, – აფს. 37 – ის (აღამ.) სადაც (უნდა) იყოს, დგსმრუკაა, გ<sup>ა</sup>აშაშამ რომ არ ვიპოვო, არ იქნება

- იმყეფაზა-რააკ-გ<sup>2</sup>, - აფს. 42 – როგორც (კი უნდა) ქნას, არ ქნა  
გ<sup>2</sup>დმუდ მან (მამაკ.) ის (რაც) (=არას-  
გზით არ ქნა)
- უზაკეზა-რააკ-გ<sup>2</sup>, - აფს. 42 – ვინც (უნდა) იყო, შეჩერდი და  
ჟააჟასშთა, შააზაკ სერჰა! – ორი სიტყვა მათქმევინე!-ო  
იჰე
- სარს „გესთაჰემ“ ანგჰა- - აფს. 33 – მე „არ მინდა“-თქო, როცა ვიტყვი,  
რააკ, გესთაჰემ არ მინდა... და სხვ.

ერთხელ იმავე აფსუის მეტყველებაში დავადასტურეთ იგივე აფიქსი -ჰ-ს გარეშე – რაა.

- დან ძაგარა დანცა-რაა... - აფს. 33 – მისი (მამაკ.) დედა წყლის მოსა-  
ტანად რომ (როცა) წავა...

-რააკ სუფიქსი დამახასიათებელია აშხარული დიალექტის კუვინსკის კილოკავისთვისაც.

მაგ.:

- სგჰკენცა ანყალა-რააკ, - კუვ. 14 – ჩემი ბიჭები (ბავშვები) რომ (რო-  
ჟეთ ირტუბ ცა) იქნებიან, მათ ეკუთვნის ის  
(რაც)
- აქეთ ჟანცა-რააკ, აქეთ - კუვ. 23 – შენ (მამაკ.) სოფელში რომ (რო-  
ჟას რაჰა! ცა) წახვალ, სოფელს ასე უთხარ!
- აჩან დანხა-რააკ... - კუვ. 23 – ჰაკი როცამოიგებს...
- სარს სანფსგ-რააკ... - კუვ. 26 – მე როცამოვკვდები... და სხვ.<sup>1</sup>

თუმცა კუვინსკის კილოკავშივე საკმაოდ გახშირებულია იგივე აფიქსი -რ ელემენტის გარეშე: ააკ(-გ<sup>2</sup>).

მაგ.:

- ჟარცქარ დანგყუწ-აკ, - კუვ. 10 – შენ (მამაკ.) სიავეს როცა გაა-  
სარგე იყასწუმტ კეთებ, მეც ვიზამ (გავაკეთებ)...
- დარს, 'ნად-აკ, რაბჯარქა - კუვ. 10 – ისინი რომ (როცა) მოვლენ,  
სწახებ მათ აბჯარს შევინახავ
- ბესთედრნგს იბსსჰაკ- - კუვ. 12 – შენ გაცემად (შენ თავის გაცემაზე,  
გ<sup>2</sup>... 'ხეთნელა სგბთუმა? გაყიდვაზე) რომ გეტყვი (რა-  
საც გეტყვი), ნებას მომცემ?

<sup>1</sup> შეიძლება პარალელურად შეგვხვდეს აგრეთვე -ლააკგ<sup>2</sup>:

- იყადწაზ-ლააკგ<sup>2</sup> - ფსხუ. 10 – მას (მამაკ.) რაც უნდა ქნა
- იყარწა-ლააკგ<sup>2</sup> - ფსხუ. 10 – რაც უნდა ქნან...
- იუთაკგზ-ლააკგ<sup>2</sup> - ფსხუ. 10 – შენ (მამაკ.) რაც უნდა გინდოდეს... და სხვ.

<sup>2</sup> შდრ. აქვე, გვ. 149.

- უს დ ა ნ გ ყ ა ზ -**აკ**, აჭკუნცა - კუვ. 8 - ასე რაკია (როცა იქნება), ყმაწვილები გამოუშვი ჩემთან!
- სჯაწა ჯარს დ ა ნ ც -**აკ**, არა - კუვ. 9 - ჩემი ქმარი სადმე როცა წავა, ბანახ!
- აჭტთ ირ ბ ა ა კ -**გ**, ირშედტ - კუვ. 10 - ისინი რასაც დაინახავენ, კლავენ (ხოცავენ)
- დ ა ნ ა ფ ხ -**აკ**... - კუვ. 9 - ის (ადამ.) მას (რალაც) როცა წაიკითხავს...
- ჭათ ჯაცანგ ან ა ყ ა ლ -**აკ**... - კუვ. 14 - ისინი კაცებად რომ (როცა) გახედებიან... და სხვ.

კუვინსკის კილოკავშივე პარალელურად გამოიყენება **-რაკ** სუფიქსი.

მაგ.:

- აზლავა ადა ინლაგა-**რაკ**, - კუვ. 2 - გველუმაპი მოსვლას რომ (როცა) ბემშანგ საარფუმბხ!
- დენაჭა-**რაკ**... - კუვ. 2 - როცა ის (რალაც) მას (ადამ.) შეჭამს...
- „ამგ“!, ნ ს ა -**რაკ**, ამგ - კუვ. 2 - „წყალი“!, როცა ვიტყვი, წყალი მომასხი!
- ახშ (ნაკათ-**რაკ**) ნთუჭუჭ-**რაკ**, უნასითამლან! - კუვ. 2 - რძე როცა (გადმოიღვრება) გამოიჟონება, შენ (მამაკ.) არ გამომიდგე! და სხვ.

ერთხელ იმავე კუვინსკში დავადასტურეთ **-რაჯგ** სუფიქსიც. მაგ.: დახგყაზა-**რაჯგ**, დჰაურა ათავუპ - კუვ. 14 - „ის (ადამ.) სადაც უნდა იყოს, უნდა ვიპოვოთ (ვიშოვოთ)“. იგი მომდინარე უნდა იყოს **-რაგგ** სახეობისაგან, რომელიც შესაფერი ჩანს პირაქეთა დიალექტების **-ლაგ** სუფიქსისა (შდრ. პირაქეთ. დიალექტებში - დახგყაზა-**ლაგ**). პირაქეთა დიალექტებისა და ტაპანთურის **ლა**-ს ადგილას აქ მოგვევლინა **-რა** (**-ჯგ** კი იგივე პალატალიზებული **გ** აფიქსია აფრიკატიზაციით ცვლილი).

როგორც აქ წარმოდგენილი მასალის მიხედვით ირკვევა, ე. წ. განსაზღვრული მყოფადის ინფინიტურ ფორმათა საწარმოებელ სუფიქსად აშხარული დიალექტის კილოკავებში გვხვდება: **-რა**; **-რაკ** (|| **\*-რაგგ** →) **-რაჯგ**, **-რაა**, **-რააკ**, **-აკ** (**-ლააკ-გგ**).

ამათგან, **-რა**-ს ისეთივე გამოყენება აქვს, როგორც ცნობილია სხვა აფხაზურ დიალექტთაგან.

დანარჩენი სახეობები კი გვხვდება პირაქეთა დიალექტების **-ლაგ** (|| **-ლაკ**) სუფიქსის ადგილას.

აღნიშნულ სუფიქსთა მიხედვით აშხარულს თავისებური პოზიცია უჭირავს. პირაქეთა დიალექტებისა და ნაწილობრივ ტაპანთურის საწინააღ-

მდეგოდ აშხარულისათვის დამახასიათებელი არ ჩანს **-ლაგ** (**-ლაკ**) სუფიქსი. იგი იშვიათად გვხვდება<sup>1</sup>. აქ მთლიანად გაბატონებულია **-რა**- აფიქსი.

აფიქსები **-რაკ** (|| \*-**რაგ**), **-რაა**, **-რააკ**, **-აკ** სხვა აფხაზურ დიალექტებში არა გვხვდება. საგულისხმოა, რომ გარკვეული ხასიათის სხვაობა თავს იჩენს თვით აშხარულის კილოკავთა შორის. მაგალითად, აფსუის კილოკავისათვის არაა დამახასიათებელი აღნიშნულ შემთხვევებში **-აკ**, **-რაკ** სახეობები, მაშინ როცა კუვინსკის კილოკავში ისინი მეტად ჩვეულებრივი არიან.

**-კ** აფიქსი დასახელებულ წარმოებაში შესაძლოა იგივე **-კ** ← **გ** ელემენტი იყოს, რომელსაც ადგილი აქვს პირაქეთა დიალექტების იმავე **-ლაგ**-სუფიქსში და რომელიც წარმოშობით, მოსალოდნელია, უკავშირდებოდეს **-გგ** („კიდევ“) ნაწილას.

**-აა**- ელემენტით ეს სუფიქსი (**-რააკ**, **-აკ**, **-რაა**) უნდა უკავშირდებოდეს კონიუნქტივის საწარმოებელ აფიქსს. მაგალითად, პირაქეთა დიალექტებში გვაქვს დც-**აა-იტ** „ის (აღამ.) წავიდეს“. საგულისხმოა, რომ როგორც ტაპანთურში, ისე აშხარულში სათანადო შემთხვევაში **-რ[ა]** გვხვდება: დც-**რა-იტ** ← დც-**რმა-იტ** („წავიდეს!“)<sup>2</sup>.

საგულისხმო აქ ისიც არის, რომ მყოფადის ინფინიტური ფორმის წარმოებისას უ-**რაეო** ფორმამ (დანც-**აკ** „როცა ის (აღამ.) წავა“...) თავი იჩინა კუვინსკის კილოკავში, რომელსაც საერთოდ უფრო მეტი სიახლოვე ახასიათებს პირაქეთა დიალექტებთან, ვინემ აფსუის კილოკავს (შდრ. პირაქეთა დიალექტ. დც **-ააიტ** და ტაპანთურის დც **ა-რ-მაიტ**).

### აორისტი

როგორც სხვა აფხაზურ დიალექტებში, ასევე აშხარულშიაც ფონეტიკურ ცვლილებათა თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აორისტის ფინიტური ფორმები.

ფინიტური ფორმის აფიქსად იქაც პირაქეთა დიალექტების მსგავსად გვაქვს **-იტ** სუფიქსი. ტაპანთურში **ტ**-ს ადგილას **დ**-ც გვევლინება. საყურადღებოა ისიც, რომ ტაპანთურში **-ა**- ხმოვანი **-იტ** (**-იდ**) სუფიქსისა აორისტში ჩვეულებრივ აღარ ჩანს<sup>3</sup>.

ფინიტობის **-იტ** (**-იტ**) აფიქსი აორისტში შეიძლება შეგვხვდეს პირაქეთა დიალექტების მსგავსად აშხარულის ორსავე კილოკავში.

მაგ.:

ჰაბა დგფს- <b>რტ</b> -ჰაა...	– კუვ. 14 –	მამაჩვენი მოკვდაო
ამცი ძაზლ- <b>იტ</b>	– კუვ. 15 –	ცეცხლმა დაწვა (ისინი)
ისგჟ- <b>იტ</b>	– კუვ. 8 –	მე ის (რაღაც) დაავლიე
რშგ- <b>იტ</b>	– კუვ. 2 –	მან (მამაკ.) ის (რაღაც) მოკლა

<sup>1</sup> იხ. აქვე, ზემოთ.

<sup>2</sup> ამის შესახებ მსჯელობა გვაქვს სხვაგან („აფხაზურ ზმნათა ძირითად დრო-კილოთა სისტემა“ – ხელნაწერად).

<sup>3</sup> იხ. ტაპ., § 46, გვ. 153-154.

იჩაქ-**რტ** – აფს. 40 – მან (მამაკ.) ის (რაღაც) აწონა  
 ილმახბ-**მტ** – აფს. 35 – მან (დედაკ.) ის (რაღაც) შეკერა  
 წინამავალ **ი** ხმოვანთან შერწყმისას -**იტ** აფიქსის ხმოვანი გრძლად  
 ისმის.

მაგ.:

ყასჰა დეუკ აჭე ინ**რტ** – კუვ. 15 – დიდ მთასთან მივიდნენ  
 და**რტ** – კუვ. 23 – ის (ადამ.) მოვიდა  
 ით**რტ** – კუვ. 16 – მან (მამაკ.) ის (რაღაც) გაყიდა

ხშირად სხვა აფხაზურ დიალექტთა მსგავსად აშხარულშიაც  
 გვხვდება **ი** ხმოვანმოკვეცილი ფორმები: -**გტ** || -**ტ**.

მაგ.:

ამათ აწეგჰა... აყასჰა მასგ-**ტ** – კუვ. 15 – გველმა კუდი მთას მიარტყა  
 იბზახო იდექლახგ-**ტ** – კუვ. 2 – ისინი ცხოვრებით კვლავ გაე-  
 მართნენ (ცხოვრება განაგრძეს)  
 დეზეფშე-**ტ** – აფს. 35 – მან (ადამ.) ილოდინა  
 იჟ-**ტ** – კუვ. 8 – მან (მამაკ.) ის (რაღაც) დალია  
 დაამჰაჰე-**ტ** – კუვ. 4 – მან (ადამ.) გზად გადმოიარა  
 ისცგრღე-**ტ** – კუვ. 19 – მათ ის (რაღაც) მომპარეს  
 იჩეღ დასქე-**ტ** – აფს. 35 – ის (ადამ.) თავის ცხენიდან ჩა-  
 მოხტა  
 ლასგშთა ძჰარაჟ-**ტ** – აფს. 35 – მათ ის (რაღაც) სწრაფად იშოვეს  
 დეზიხახხ-**ტ** – აფს. 35 – ის (ადამ.) კვლავ კარგად გახდა  
 იმჰგმს-**ტ** – აფს. 36 – მათ გზა გაიარეს  
 დეზაანგე-**ტ** – აფს. 38 – მან (მამაკ.) ის (ადამ.) მას (მამაკ.)  
 დაუტოვა... და სხვ.

თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებში ასეთი ფორმები ყველა  
 აფხაზურ დიალექტში ჩვეულებრივია, ოღონდ ტაპანთურს -**იტ** აფიქსის **ი**  
 ხმოვნის მოკვეცა ახასიათებს **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებშიაც,  
 სამაგიეროდ ფუძისეული **ა** ხმოვანი შენარჩუნებულია.

ასეთი ტაპანთური დიალექტისათვის დამახასიათებელი წარმოება  
 თავს იჩენს აშხარულ დიალექტშიაც<sup>1</sup>.

მაგ.:

ინაბჯალცა ააფეზა-**ტ** – კუვ. 14 – მისი (მამაკ.) ტოლები (ამხანაგები)  
 შეიკრიბნენ

<sup>1</sup> გარკვეულ შემთხვევაში ასეთი ფორმები შეგვხვდრია ბზიფურ დიალექტ-  
 შიაც.

ირალჰა-ტ	- კუვ. 19 – მან (დედაკ.) მათ უთხრა ის (რალაც)
აშაყა... დაგწმფხა-ტ	- კუვ. 9 – მან (ადამ.) წერილი (წიგნი) არ წაიკითხა
დარლოთა-ტ	- კუვ. 11 – მან (დედაკ.) მას (მამაკ.) ის (რალაც) მისცა
დალაგა-ტ	- კუვ. 1 – მან (ადამ.) ის (რალაც) დაიწყო
აჰ დეგეგზეკენ, დედაცჰაჟა დალაგა-ტ	- აფს. 35 – ბატონი გაწყრა რა, მისი (მამაკ.) ლანძღვა(დ) დაიწყო
დარენია-ტ	- კუვ. 1 – ის (ადამ.) მათ შემოხვდა
დედაგა-ტ ფჰესენგ	- კუვ. 1 – მან (მამაკ.) ის (ადამ.) ცოლად წაიყვანა
ირჰა-ტ	- კუვ. 1 – მათ ის (რალაც) შეჰამეს
დანხა-ტ	- კუვ. 2 – ის (ადამ.) დარჩა
დედაბა-ტ	- კუვ. 2 – მან (მამაკ.) ის (ადამ.) დაინახა
აჰაჟ. რჰელწა-ტ	- კუვ. 1 – მან (დედაკ.) ის (რალაც) ქვაზე დადო
ჰანასგ მაღმეწა-ტ	- აფს. 37 – მან (მამაკ.) ჩვენი ბედი შეაერთა
დეშტაცან, გეგზემ- ხრა-(ტ)	- აფს. 31 – მას (ადამ.) ჩაემინა რა, ვერ მომწყსა...
დეცა-ტ	- აბაზაქთ. 27 – ის (ადამ.) წავიდა... და სხვ.

მაგრამ იმავე აშხარულში (ძირითადად კუვინსკის კილოკავში) შეინიშნება ბზიფური დიალექტისათვის დამახასიათებელი<sup>1</sup> ფუძისეულ ა ხმოვან-მოკვეცილი წარმოებაც აორისტის ფინიტური ფორმისა. ე. ი. ახმოვანზე დამთავრებული ფუძეები გათანაბრებულია თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან.

მაგ.:

აჰ რჰ-იტ	- კუვ. 3 – მათ მას (მამაკ.) უთხრეს ის (რალაც)
ჟემდე-იტ	- აფს. 35 – შენ (მამაკ.) მოიარე (მოძებნე)
აჰ აფელგ-იტ	- კუვ. 23 – ისინი ერთმანეთს შეხვდნენ
ჟასა აჰ აჰ რჰ-ტ	- კუვ. 23 – ასე უთხრეს მათ მას (მამაკ.) ის (რალაც)
აჰ ჰ-ტ	- კუვ. 26 – მან (რალაცამ) ის (რალაც) შეჰამა... და სხვ.

ა-ზე დაბოლოებულ ფუძეებში პირაქეთა დიალექტებში (კერძოდ აბჟურ დიალექტში) დამახასიათებელია ფუძისეული ა ხმოვნის ნაწილობრივი ასიმილაცია -იტ ფინიტობის აფიქსის ი ხმოვანთან და ვიღებთ სცეეტ („წავედი“) და მსგავს ფორმებს.

<sup>1</sup> იხ. ჩვენი „ძირითად. დრ. წარმ. აფხაზ.“



ანალოგიური მოვლენა დამახასიათებელი ჩანს აზნარული დიალექტის ორივე კილოკავისათვის.

მაგ.:

იხა ხ გ ი წ ე- <b>იტ</b>	- კუვ. 14 -	მან (მამაკ.) მას (მამაკ.) თავი მოჰკვეთა
ისლამ ალან და ც ც ე- <b>იტ</b>	- კუვ. 15 -	ისლამი ძალს გაჰყვა, გაედევნა
დაჰც-ცე- <b>იტ</b>	- აფს. 37 -	ის (ადამ.) წაგვივიდა, გაგვექცა
აჟუდ ილაზან ანგმწე- <b>იტ</b>	- კუვ. 3 -	მან (მამაკ.) თავის ჯოხს ეს დააწერა
აჰვ ფხეზ ზზე- <b>იტ</b>	- კუვ. 9 -	წუხელ სიზმარი ვნახე
დგბე- <b>იტ</b>	- აფს. 44 -	მან (მამაკ.) ის (ადამ.) ნახა
ქეთვ დაარგლალე- <b>იტ</b>	- კუვ. 15 -	ის (ადამ.) სოფელში შემოვიდა
აზნა რლალე <b>იტ</b>	- აფს. 37 -	ისინი ტყეში შევიდნენ
იჰე- <b>იტ</b>	- აფს. 39 -	მან (მამაკ.) თქვა ის (რადაც)
დამგე- <b>იტ</b>	- კუვ. 11 -	მან (მამაკ.) ის (ადამ.) მოიყვანა
დენაშეგლე- <b>იტ</b>	- აფს. 37 -	ის (ადამ.) შიგ (სახლში) შევიდა
იყალე- <b>იტ</b>	- აფს. 37 -	ის (რადაც) მოხდა
ჰეჰეჰე-ქაჰ აზნაჰე- <b>იტ</b>	- კუვ. 11 -	შენ (დედაკ.) ცუდი სუნი ამოგივიდა [პირიდან]... და სხვა მრავალი.

<sup>1</sup> იხ. აქვე, ზემოთ.

ამ შემთხვევაში აშხარულის სათანადო პროცესის გამოძახილი უნდა გვეკონდეს სხვა აფხაზურ დიალექტებში (კერძოდ, აბჟურ დიალექტში, სადაც ეს ფორმა ჩვეულებრივია).

უა-ს ა-დ გამარტივება, როგორც ეს დროთა წარმოების განხილვასთან დაკავშირებით იყო ნაჩვენები<sup>1</sup>, აშხარული დიალექტის კუვინსკის კოლოკავს გაუვრცელებია ა-ზე დაბოლოებულ ფუძეებზედაც.

მაგ.:

იფჰ-ეს დაგვამბა-მ	– კუვ. 26 –	ის (მამაკ.) თავის ცოლს ვერ ხედავს
აშაყაგ საგაფხა-მ	– კუვ. 9 –	წიგნსაც არ (ვერ) ვკითხულობ
კუბან საგაგცა-მზტ	– კუვ. 12 –	კუბანს არ მივწყევბოდი
შარაცარა იცონ. მარა	– ფსხუ, 10 –	სანადიროდ მიდიოდნენ, ის (ადამ.) არ მიჰყავდათ... და სხვ.

აქ თითქოს აწმყოსეული -უა- აფიქსის ნაშთიც (ა) აღარ გვაქვს, თუ შემორჩენილ ა-ს (დაგვამბამ) ფუძისეულ ა-დ მივიჩნევთ (შდრ. აბარა). სხვაგვარი ახსნის შესაძლებლობა იხ. აქვე, § 41.

ტაპანთური დიალექტის მსგავსად გარკვეულ დროთა წარმოებაში (მხედველობაში გვაქვს -ნ სუფიქსით ნაწარმოები ნამყო დროები) მ-ს სუფიქსაციის პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს მ-ს პრეფიქსაციაც.

მაგ.:

ფჰ-ეს დაადგუშან. აფჰ-გ-სფა	– კუვ. 1 –	ის (მამაკ.) ცოლს მოიყვანდა.
დგუშთანზ დაგვამც-მ-აა-აზტ		ქალიშვილი, რომელსაც მისდევდა (რომელსაც თხოულობდა), მას (მამაკ.) თან არ მიჰყევბოდა

ასეთი რამ მოულოდნელი არც პირაქეთა დიალექტებისათვის არის. დამახასიათებელია იგი ტაპანთურისათვის<sup>2</sup>.

აშხარულ დიალექტში ტაპანთურთან სიახლოვის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ უ ა რ ყ ო ფ ი თ ფ ი ნ ი ტ უ რ ფორმებს პრეფიქსად მიერთვის ფგ- („კიდევ“) დადასტურებითი ნაწილაკი, ვფიქრობთ, ფ ი ნ ი ტ ო ბ ი ს გამოსახატავად<sup>3</sup>.

მაგ.:

უ-გ-სგუშორემ	– კუვ. 15 –	შენ (მამაკ.) არ მოგიშვებ
დგუაჰთაჰემ	– კუვ. 23 –	ის (ადამ.) არ გვინდა

<sup>1</sup> იხ. აქვე, § 41.

<sup>2</sup> შდრ. ტაპ. § 47, გვ. 159-160.

<sup>3</sup> იხ. ტაპ. § 47, გვ. 160-161.

მამო, გემშემტ	– კუვ. 23 –	არა, მან (მამაკ.) [ის (რადაც) არ მოკლა
სგგუკემჩეჩე	– აფს. 43 –	მე შენ (მამაკ.) არ დაგცინე
ჯოფ ეგგლემთემტ	– კუვ. 12 –	მან (მამაკ.) მას (დედაკ.) პასუხი არ გასცა
დეგემშეაამტ	– კუვ. 12 –	ის (ადამ.) მას (მამაკ.) არ შეეკითხა
აგებჟანგტ დემშონ, აუუგე გემშემჩე	– აფს. 31 –	საშუალი, შუათანა [ძმა] გაგზავნა მან (მამაკ.), მან ვერ მომწესო
მეჩელა ებაკერი, დეგრედაამშემტ	– ფსხუ (10) –	ღონით (ძალით) ერთმანეთს რომ შეჭიდებოდნენ, ის (ადამ.) მათ ვერ მოერეოდა
სარა გესაკემ	– ფსხუ (29) –	მე არ ვარ... და სხვ. ზემოთ მოყვანილი სათანადო მაგალითები.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ პარალელურად საკმაოდ გახშირებულია ზმნის უარყოფითი ფორმები აფხაზურის პირაქეთა დიალექტების მსგავსად გგ- ნაწილაკის გარეშე. ეს უმთავრესად ითქმის კ უ ვ ი ნ ს კ ი ს კ ი ლოკავზე. ერთი და იმავე მთქმელის ენაში ჩვეულებრივია პარალელური ფორმები ზოგჯერ ერთსა და იმავე ფრაზაშიაც კი. პირაქეთა დიალექტებისათვის დამახასიათებელი წარმოება (გგ-ს გარეშე) თითქოს უფრო გავრცელებულია მოხუცთა მეტყველებაში. გგ- პრეფიქსიანი ფორმის პარალელურად გვხვდება:

ამე სგმამ	– კუვ. 23 –	წყალი არ მაქვს
იყალომ	– იქვე –	ის (რადაც.) არ იქნება
მან ილემტ	– იქვე –	მისმა (მამაკ.) დედამ არ ქნა
დაჰთაგემ	– იქვე –	ის (ადამ.) ჩვენ არ გვინდა
ხარ ასგმ	– იქვე –	არა უშავს („ბრალი არ სცემს“?)
სარა ბგგ.ინაჰ სგდხემ	– იქვე –	მე შენი (დედაკ.) ცოდვა არ მადევს
სარა არი აზნა სგლაზხა-ხუმამ	– იქვე –	მე ამ ტყეში ვერ ვიცხოვრებ... და სხვ. <sup>1</sup>

ასეთი ფორმები მეტ გავრცელებას პოულობენ ფსხუს როგორც კუვინსკელ, ისე აფსუელ აშხარელთა მეტყველებაში.

<sup>1</sup> თხრობის პროცესს შემსწრე ახალგაზრდები ჩვენს მთქმელს უსწორებდნენ გგ-ნაწილაკით ამ ფორმებს. უნდაო: ხარა ეგასემ; ბგგ.ინაჰ გესგდხემ, სგგლაზხაზხუმამ...

მაგ.:		
აჩგ რმამამ	– ფსხუ. 1 –	მას (მამაკ.) ცხენი არ ჰყავს
აბგჟ-გნგჭა სემამამ	– იქვე –	საგზალი არა მაქვს
იზგმჰ-ეღტ	– იქვე –	მან (მამაკ.) ის (რადაც.) ვერ თქვა
სასრგყა იმადაკუ,	– ფსხუ (10) –	(ის) სასრუყვა რომ არის, მან (მამაკ.) არ იცის
იზდგრძომ	– იქვე –	მან (მამაკ.) ის (ადამ.) ვერ მოკლა
დგდზგმშ(ტ)	– იქვე –	მან (მამაკ.) ის (ადამ.) სასიარულოდ არ წავიდა
ნგყ-არა დემცე	– ფსხუ (34) –	ის (ადამ.) სასიარულოდ არ წავიდა
ამცა სემამამ	– ფსხუ (29) –	ცეცხლი არ მაქვს
სასტ აჩგ, სასტ, აჯა	– იქვე –	დავარტყი ცხენს, დავარტყი, მაგრამ სადაც იდგა, არ იძვრის... და სხვ.
იყგგლაზ, იწესტუამ		

ამას ხელს უნდა უწყობდეს პირაქეთა აფხაზური დიალექტების გავლენა.

რა ადგილი უჭირავს გგ- ნაწილაკს ზმნაში?

-გგ- (-აგგ) ნაწილაკის ადგილმდებარეობა ზმნაში ასე განისაზღვრება: იგი დაისმის პირველად არსებული პირის ექსპონენტის შემდეგ. **დგ-გგ-ყამ**, **დ-აგგ-ს-თაქემ**, **დგ-გგ-ლაჭამეზტ**, **ზგ-გგ-ლბარემ** და სხვ. ყურადღებას იქცევს მისი ადგილი ზოგ ჩვენს მაგალითში. ზემოთ მოყვანილი იყო: სარა **გგ-საკემ** – ფსხუ, 29 – „მე არა ვარ“. აქ იგი საერთოდ პირის ნიშნების წინ დაისვა. ამ შემთხვევაში კიდევ შეიძლება დაგვეშვა, რომ აქ წინ **ი-** ივარაუდება (სხვა ზმნების ანალოგიით განვითარებული), შდრ. **იმადაკუ** – „ის, რომ (როგორც) არის“<sup>1</sup>, მაგრამ შეგვხვდა სხვა უფრო საგულისხმო მაგალითიც:

სა გგ-სგდნგზ-თეფჰამ – კუვ. 23 – მე მე-მდევის-ქალიშვილი-არვარ

თითქოს მოველოდით: „საგდნგზ-თეფჰამ“-ს.

შესაძლოა, ანალოგიით ენა აქაც წინ **ი** პირის აფიქსს ვარაუდობს (\***ი-გ** სგდნგზ-თეფჰამ“).

უარყოფითის წარმოების მხრივ ყურადღება მიიქცია ა უ რ ა („შოვნა“, „რგება, წილად ხვდომა“...) ზმნამ. **დ გ გ რ მ ა უ ტ** – ფსხუ (10) – „მათ ის (ადამ.) ვერ იშოვეს, ვერ ნახეს“, **დ ე მ ც ა ქ ა გ ე უ ა მ** – ფსხუ 10 – „ის (მამაკ.) თავის ძმებს ვერ პოულობს“ და სხვათა გვერდით ფსხუში დადასტურდა შემდეგი წარმოებები:

<sup>1</sup> იხ. ამის შესახებ. ტაპ. § 40, გვ. 125-126.

იფშაან ავგვგვრ- <b>მა-მ</b> -უდტ	– ფსხუ. 24 –	ძებნეს რა, ვერაფერი ნახეს
ჯარგვ აკვვ გვმ- <b>მა-მ</b> -უდტ	– ფსხუ. 14 –	ვერსად (სადმეც) ვერაფერი (რამეც) ვერ ნახა მან (მამაკ.)
დვგვმ- <b>მა-მ</b> -უდტ	– ფსხუ. 14 –	ის (ადამ.) მან (მამაკ.) ვერ ნახა

სხვა ფორმებში ჩვენ იგი არ შეგვხვედრია. სისტემატურად ისმოდა საუბრისას სწორედ ამგვარი წარმოება აორისტის ფინიტური ფორმისა. **მა** აფიქსს აფხაზურში აქვს გარკვეული ფუნქციაც (შდრ. ისგ-**მა**-რეცჰახედტ „შემებრალა“), მაგრამ საფიქრებელი არაა, აქ ეს **მა** გვექონდეს. მას ჩვენ მხოლოდ უარყოფით წარმოებაში გვიდასტურებდნენ. ამდენადვე უნდა ვიფიქროთ, რომ აშხარულ დიალექტში (მარტო ფსხუს მეტყველებაში?) ამ ზმნამ ო რ მ ა გ ა დ გამოხატა უარყოფითობა, ირ-**მ**-ა-უდტ-ს („არ იშოვს“) დაუმატა განმეორებით უარყოფის **მ**: ირ-**მ**-ა-**მ**-უდტ. საგულისხმო ფაქტია, რომ ეს მეორე უარყოფის **მ** აფიქსი ფუძისეული ა-სა და უ-ს შორის აღმოჩნდა (შდრ. ირ-**აუ**-იტ – „იშოვს“).

§ 45. **ზმნის კითხვითი ფორმები.** აშხარულ დიალექტშიაც ყველა სხვა აფხაზური დიალექტის მსგავსად დადებითი კითხვითი ფორმის მაწარმოებლად -**მა** სუფიქსი გვევლინება. იგი დაერთვის სხვადასხვა დროთა ინფინიტურ ფორმებს<sup>1</sup>.

მაგ.:

აუუდ დეწვხვ ჰარს ჰედცაზ- <b>მა?</b>	– აფს. 36 –	ჩვენ მასზე უარეს(ნ)ი ვიყავით?
აუვთ რეცხვ უედცა- <b>რუ-მა?</b>	– აფს. 37 –	შენ (მამაკ.) მათზე უარესი ხარ?
აუ' ევშ აჯაწა არახ <sup>2</sup> დაანხ- <b>მა?</b>	– კუვ. 23 –	ასეთი კაცი აქ მოვიდა?
უააკაზგალა- <b>მა?</b>	– კუვ. 23 –	შენ (მამაკ.) ზევით ამოგიყვანე?
აწლა უაკ <sup>2</sup> გსგზ- <b>მა?</b>	– კუვ. 4 –	შენ (მამაკ.) ხეს შეეხე? და სხვ.

პირაქეთა დიალექტებში უარყოფით კითხვით ფორმებში კითხვით აფიქსად -**ო** სუფიქსი გვაქვს. იგი ერთვის ზმნის უარყოფით-ინფინიტურ ფორმებს დროთა მიხედვით. აშხარული დიალექტის კილოკავებში ტაკანთურის მსგავსად<sup>2</sup> -**ო**-ს ცვლის იგივე -**მა**- კითხვითი ნაწილაკი (დადებითი კითხვითი ფორმებისა).

<sup>1</sup> იხ. „კითხვითი ფორმები აფხაზურში“. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III. 1942 წ. გვ. 973.

<sup>2</sup> იხ. ტაკ. § 50, გვ. 177...



გვაქვს:

...შთა, სარა გვსტმ-მა?	– აფს. 33 –	მერე და, [ის] მე არ მეკუთვნის?
...რგბჟა გგყახე-მ-მა?	– აფს. 35 –	მათი ნახევარი აღარ არის?
აჟენგ... სარა საგეჟენა-მ-მა?	– აფს. 37 –	სახლში მე არ ვცხოვრობ („შიგ არ ვარ“)?
აზანრ დეიბჰჰჰჰჰ გელმდ-რუ-მა?	– კუვ. 19 –	ერთმანერთს რაც სიტყვა ვუთხარით, არ იცი შენ (მამაკ.)?
ულაქა გგვლგსგ-მ-ხგზ-მა?	– ფსხუ 29 –	შენ (მამაკ.) თვალები არ ამოგთხარე?
კრაჰჰუ-მ-თუ-ა?	– იქვე –	შენ (მამაკ.) რამეს არ მოგვცემ?... და სხვ.

თუმცა შეგვხვდა -ო თი ნაწარმოები უარყოფითი ფორმაც.

მაგ.,

სგბჰარა სჰუ-მ-ო, იბტახსო?	– კუვ. 23 –	შენ (დედაკ.) რომ შემჭამო (ეს) არ არის, რაც გსურს (განგიზრახავს)?
---------------------------	-------------	--

ასეთი წარმოება ფსხუს აშხარელთა მეტყველებაში უფრო ხშირია, ალბათ, პირაქეთა დიალექტების გავლენის შედეგად.

მაგ.:

იიჰა, ყალო-მ-ზ-ო?	– ფსხუ. კ. 9 –	მან (მამაკ.) რაც თქვა, არ ხდებოდა? (აკი ხდებოდა)
ნართ სასრგყაგე უი ითაგზ ა-მ-ო?	–	ნართ სასრუყვასაც ეს არ უნდოდა? („უნდოდა არ არის?“) და სხვ.

-მა-თი ნაწარმოები კითხვითი ფორმები აშხარულის კილოკავებში ყურადღებას იქცევს მახვილის მხრივ. შეინიშნება მახვილის გადანაცვლება უკანასკნელ მარცვალზე.

მაგ.:

აჰჰდგუ სი ისგზუქხ-გუმ?	– კუვ. 2 –	დიდ ქვას მე შენგან (მამაკ.) (შემიძლია) ავიღებ?
უჰწარა, სწწარა იგრემჰჰ-მ?	– კუვ. 10 –	შენი ვაჟკაცობა, ჩემი ვაჟკაცობაო, არ ამბობენ?
უბუ-მს, მშ.გ!?	– კუვ. 6 –	ხედავ შენ, დათვო!?
უნაძა-მ?	– კუვ. 9; 10 –	შენ (მამაკ.) მიაღწიე?
სფა დგსთრუ-მ?	– კუვ. 4 –	ჩემს შვილს (გა)ვყიდი?

ბარა ჯამგალაბანგ ბეყას-	- კუვ. 20 -	შენ (დედაკ.) „საფლაოზე მდგომ ჯოხად („ნიშნად“) გაგხდი?
წუ-მან?		
არი სა სოგჭკე იზოზგ-მან?	- კუვ. 6; 15 -	ეს ჩემთვის მოხარშეთ?
იჭაჭა-მან?	- აფს. 33 -	შენ (მამაკ.) გესმა?
დგზგა-მან?	- აფს. 38 -	ის (ადამ.) წავიყვანე?
აჭარბაჟ უბა-მან?	- კუვ. 23 -	„ორბი“ ნახე?
ბზიე იხრუ-მან, იმგზრუ-მან? <sup>1</sup>	- აფს. 35 -	ის (მამაკ.) მას (რალაცას) კარგად მწყემსავს? (თუ) არ მწყემსავს?.. და სხვ.

უნდა აღინიშნოს კი, რომ მახვილის დასმა კითხვითი ელემენტის ა ხმოვანზე არაა გატარებული სისტემატურად არც ზმნათა და არც ზმნის დროთა მიხედვით. მაგალითად, ერთმა მთქმელმა ჩაგვაწერინა აყაწარა („კეთება“) ზმნის შემდეგნაირი კითხვითი ფორმები:

აწმყო:	იყოუწუ-მან	-	შენ (მამაკ.) მას	აკეთებ? (არ აკეთებ?)
	(იგეყოუმწუ-მან)			
ნამყო უსრ.:	იყოუწრზმა	-	„ „ „	აკეთებდი?
მყოფადი განუსაზღვრ.:	იყოუწშმა	-	„ „ „	(გა)აკეთებ?
„ განსაზღვრ.:	იყოუწარგმ	-	„ „ „	გაკეთებ?
ნამყო განუსაზღვრ.:	იყოუწზმა	-	„ „ „	(გა)აკეთე?
აორისტი:	იყოუწამ	-	„ „ „	გაკეთე?
ნამყო უკვეობითი:	იყოუწანამ	-	„ „ „	უკვე გააკეთე?
„ „ წინ. წარს.:	იყოუწანზმა	-	„ „ „	უკვე გაგიკეთებინა?

მაინც საგულისხმო ფაქტია რიგ შემთხვევებში მახვილის ბოლო მარცვალზე (კითხვით აფიქსზე) დასმა. მ ა ს ა ნ ა ლ ო გ ი ა მ ო ე კ ო ვ ე ბ ა ა ბ ჟ უ უ რ ი დ ი ა ლ ე ქ ტ ი ს ჯ გ ე რ დ ე ს თ ქ მ ა შ ი. ამ თქმის ერთ არსებით თავისებურებას სწორედ ის წარმოადგენს, რომ მახვილი მოუდის ბოლო მარცვალს -**მა** კითხვითი აფიქსით ნაწარმოებ ფორმებში.

მაგ., არის:

სცრმან – მივდივარ?

იყასწრმან – მას (რამეს) ვაკეთებ?

ისჭრზმან – მას (რალაცას) ვჭამდი?

ისჭამან – ის (რალაც) შევჭამე? და სხვ.

აქ კი ამ მოვლენას სისტემატური ხასიათი აქვს.

ზმნის საგარემოებო-კითხვით ფორმებში კითხვითობას გამოხატავს -**ზა** → **ფა** ელემენტი, რომელიც დაერთვის საგარემოებო აფიქ-

<sup>1</sup> ამ უკანასკნელი რიგის შემთხვევებში -**მა** სუფიქსი ჩვეულებრივია პირაქეთა დიალექტებშიაც.

სებს<sup>1</sup>. აბჟურ დიალექტში ზმნის ფორმას განმეორებით -**ი** კითხვითი სუფიქსი შეიძლება დაერთოს (მაგ., **ტ-ა-ბა-ცო-ე** – „შენ (მამაკ.) სად მიდიხარ?“). არც ბზიფურისათვის, არც ტაპანთურისათვის და არც აშხარული დიალექტისათვის დამახასიათებელი არაა მეორე -**ი** კითხვითი აფიქსის დართვა. აშხარულშიაც გვაქვს:

უფსგა <b>ბ</b> -თოტე?	- კუვ. 10 –	შენი (მამაკ.) სული რაშია?
ტ- <b>აბ</b> -ყაზ?	- აფს. 44 –	შენ (მამაკ.) სად იყავი?
ტ- <b>აბ</b> -ნეყუ?	- აფს. 37 –	შენ (მამაკ.) სად დადიხარ?
ართ <b>აბა</b> -აბგა?	- აფს. 35 –	შენ (დედაკ.) ესენი საიდან მოიყვანე?
ბგ-შ <b>ფა</b> -ა(ა)ნაგა?	- კუვ. 23 –	შენ (დედაკ.) როგორ მოხვედი (საიდან მოხვედი, რამ მოიყვანა)?
ე-აშ <b>ფა</b> ურა, ხაჯა, ტასაკ აზგჰა ჟუტასა შ <b>ფა</b> -უსთარა?	- აფს. 33 –	როგორ ვქნათ, ხოჯა, ერთ ცხვარში ათი ცხვარი როგორ მოგცე?
უდ ი-შ <b>ფა</b> -ყალარა? მგცუპ.	- კუვ. 23 –	ის როგორ იქნება? ტყულია.
ტოჟ აანძარა ი-შ <b>ფა</b> -სგბმერდერ?	- კუვ. 23 –	აქამომდე შენ (დედაკ.) მე როგორ არ მიცანი?
ე-აშ <b>ფა</b> -ჩაფესაჰშუშა?	- აფს. 35 –	როგორ დავისვენოთ?
ტ- <b>აბა</b> -მა-ნაშხიაუ...	- კუვ. 21 –	შენ (მამაკ.), რაოდენ-მოწყენილხარ, რაოდენ-ჩაფიქრებულ(ი) ხარ?
ტ- <b>აბა</b> -მაგგკ-გცა?	-	რაოდენ ძლიერი ხარ? (ს ა ნ ა - მ დ ე ძლიერი ხარ?)
ტ- <b>აბა</b> - მა'ხა'ხუ?	-	

მაგრამ თითო-ოროლა შემთხვევაში შესაძლოა -**ი(ე)** კითხვითობის აფიქსდართულიც შეგვხვდეს მსგავსი ფორმები.

მაგ.:

საბაცუმე- <b>ე</b> ?-იჰან	- აფს. 37 –	სად წავალ? თქვა მან (მამაკ.)
აჯნრ ითაზ ალაქა	- კუვ. 21 –	სახლში რომ ძაღლები იყვნენ, დაბრააუაზ- <b>ი</b> ?
		ისინი სად გაიგონებდნენ?

ზოგჯერ ანალოგიური შინაარსის მქონე ფორმები გვხვდება ყოველგვარი კითხვითობის აფიქსის გარეშეც.

მაგ.:

რ ა ცა- <b>ი</b> კააუ!	- კუვ. 1 –	რაოდენ ტკბილია! („ბევრ, ძალიან ტკბილია!“)
ზ ა ყ ა გ- ულასეუ!	- კუვ. 3 –	რაოდენ-მჩატე ხარ შენ (მამაკ.)!

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. ავტორის: „კითხვით ფორმათა წარმოებისათვის აფხაზურში“. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. III, №9, 1942 წ.

შდრ. პირაქეთა დიალექტების: „ზაყა იხააუზი!“, „ზაყა ულასუზი“!

ნაცვალსახელურ-კითხვითი ფორმები დინამიკურ ზმნებში იმავე პრინციპით იწარმოება აშხარულში, რაც ცნობილია აფხაზურის სხვა დიალექტებიდან: აილება ზმნის მიმართებითნაცვალსახელური ინფინიტური ფორმა დროთა მიხედვით და დაერთვის სათანადო კითხვითი ნაწილაკები – ადამიანთა კლასის კითხვისათვის **-და**, ნივთთა კლასისათვის ტაპანთურში ერთვის **-მა** და პირაქეთა დიალექტებში **-ო || ზი ← ზე-მ**, აშხარულში ამ შემთხვევაში გაბატონებულია **-ო**.

მაგ.:

ადამიანთა კლასის კითხვითი ფორმა:

არი ინგყუგო- <b>და</b> ?	– კუვ. 9 –	ამას ვის უვლი?
ტუზშით- <b>და</b> ?	– კუვ. 11 –	შენ (მამაკ.) ვინ გამოგიშვა?
აბლაჯა ზშე- <b>და</b> ?	– კუვ. 2 –	გველემაპი ვინ მოკლა?
იკანტოდრა- <b>და</b> ?	– კუვ. 4 –	ზედ ვინ გადავუშვათ?

ნივთთა კლასის კითხვითი ფორმა:

სგვზაცაა მაანრი, იდსგრტო- <b>მ</b> ?	– კუვ. 23 –	ჩემი ამხანაგები რომ (მოვიდნენ) მოვლენ, რას ვაჭმევ (რა ვაჭამო)?
ტახჩა ჰაუთარი ტაჰშრედ მედღუშო- <b>მ</b> ?	– კუვ. 18 –	შენ (მამაკ.) ფული რომ მოგვცე, თუ რომ მოგკლათ, რა გირჩენია?
სარა აკვლაგვ სგვგრაზ- ხუშამ. ტასკან იყოლწაურ- <b>მ</b> ?	– აფს. 43 –	მე სრულებით არ დავთანხმდები. მაშინ შენ (მამაკ.) რას შვრები?
ირზაატაშე- <b>მ</b> ?	– აფს. 37 –	მათ რა ვუყოთ, რა ვუქნათ?
შთა იყაჰწარ- <b>ო</b> ?	– აფს. 33 –	ახლა რა ვქნათ, რა გავაკეთოთ?
შთა იყაჰწახაზი- <b>ო</b> ?	– აფს. 33 –	მერე რაღას იქმოდნენ? მისცეს
დჰართ(მ) რთფჰჰ		მას (მამაკ.) თავიანთი ქალი

ასევე გამოიხატება კითხვა „რ ა დ, რ ა ტ ო მ, რ ი ს თ ვ ი ს.“

ტარე იზგუტე- <b>მ</b> ?	– კუვ. 20 –	შენ (მამაკ.) რატომ შეჭამე ის (რაღაც)?
უზლაშხე- <b>მ</b> ?	– კუვ. 10 –	შენ (მამაკ.) რად დაბრმავდი?

ყოფანძარა უზადხალე-მ? – კუვ. 9 – აქამომდე მას (რადცას) შენ (მამაკ.) რად შერჩი? და სხვ.<sup>1</sup>

გარდა ასეთი წარმოებისა, აფხაზურის ყველა დიალექტში გავრცელებულია ამ კითხვით ფორმათა აღწერითი წარმოება: აილება იგივე მიმართებით-ნაცვალსახელური ფორმა ზმნისა და ერთვის ცალკე არსებული კითხვითი სიტყვები, თუმცა ეს კითხვითი სიტყვები თავისი წარმოშობით იგივე ზემოთ განხილული ზმნური კითხვითი ფორმებია<sup>2</sup>.

პირაქეთა დიალექტებში ადამიანთა კლასის კითხვითი სიტყვებია: დ ა რ ბ ა ნ, დ გ ზ უ გ ს დ ა; ტაპანთურში – დ გ ზ ა წ ი ა<sup>3</sup> [ზაწედა]; აშხარულ დიალექტში ორივე კილოკავისათვის საერთოა – ზ ა კ ე დ ა (დ ზ ა კ ე დ ა). (შეიძლება აგრეთვე ზ ე ა ფ შ ე გ დ ა – კუვ. 23 – „რომელია“, „ვინაა“ და სხვ.).

ნივთთა კლასის კითხვისათვის პირაქეთა დიალექტებში არის ზ ა კ ი || ზ ა კ ე ზ (ე) ი, (დ ა რ ბ ა ნ); ტაპანთურში – ზ ა წ ი ა, ხოლო აშხარულში ორივე კილოკავისათვის საერთოა – ზაკი<sup>4</sup>.

მაგ.:

უზაკეგდა უარა? – აფს. 42; კუვ. 10 – შენ (მამაკ.) ვინ ხარ?  
 ძარაბი, არი ზაკეგდა-შ? – აფს. 42 – ეს ვინ-ლა არის?  
 უაბა ზაკეგდა, უა – კუვ. 26 – შენი (მამაკ.) მამა ვინაა, შენ ვინ  
 უზაკეგდა?  
 ს. გ ზ ა კ ე დ ა სარა? – კუვ. 21 – ვინ ხართ თქვენ?  
 აჰაჰა, ზაკეგდა-ჰა, – კუვ. 14 – ჰეი, ვინ არის-ო, დაედევნა ის  
 დააიშთალეძტ  
 არი ზაკი? – კუვ. 21 – ეს რა არის? და სხვ.

ამისდა მიხედვით შემდეგნაირად იწარმოება აღწერითი კითხვითი ფორმები:

<sup>1</sup> ზოგჯერ ასეთი კითხვითი შინაარსის ზმნები კითხვითობის აფიქსის გარეშეც შეიძლება შეგვხვდეს.

მაგ.:

საყბითთა ის ჰუშა? – კუვ. 9 – შენ (დედაკ.) სადაც მიშვებ, რა ვთქვა?  
 (სიტყვასიტყვით: „რაც ვთქვა“)  
 ბარა ჟოჟანძარა ბგეგრდ-აჟან, – კუვ. 12 – შენ (დედაკ.) აქამომდე მხიარულობდი,  
 ჟოჟან ბ გ ზ წ ე ტ? -იჰეძტ. ახლა რად ტირიო? (სიტყვასიტყვ.:  
 „რისთვისაც ტირი“).

<sup>2</sup> იხ. ავტორის: „ზმნის კითხვითი ფორმები აფხაზურში“ – საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე ტ. III, № 9, 1942.

<sup>3</sup> იხ. ტაპ. § 50, გვ. 183.

<sup>4</sup> იშვიათად რომ სადმე შეგვხვდეს ზაკეზი: ზაკეზი უგეთგჷუ? – აფს. 37 – „რა არის გულში რომ გიდევეს შენ (მამაკ.)“.

იკაზცო ზ ა კ ე დ ა ?-ჰა	- კუვ. 14 -	ვინც მირეკავს ვინაა?-ო
<b>ზა-კ-ტააქა-და</b> ტუთ დაა- იზ?	- კუვ. 14 -	ვინ ხალხია (რა ხალხია) ისინი, რომ მოვიდნენ?
იყასწახ ზ ა კ ი?	- კუვ. 10 -	რაც გავაკეთე, რაა?
ატუთ <b>იზრქესა</b> (sic!) ზ ა კ ი?	- აფს. 38 -	იმათ რა შეემთხვა?
არი ზ ა კ ი სან, რყაბწუშა?	- კუვ. 23 -	ეს რაა დედა, რაც უნდა გააკეთო?
ს.გზემთო ზ ა კ ი?	- კუვ. 25 -	რასაც მისდევთ, რა არის?
იბჰუშ ზ ა კ ი?	- კუვ. 9 -	შენ (დედაკ.) რასაც იტყვი, რა არის?
უზწუ ზ ა კ ი?	- აბაზაქთ. 27 -	რისთვისაც ტირი შენ (მამაკ.), რა არის?

როგორც ამ მასალიდან ვხედავთ, „რა“ (ანუ ნივთთა) კლასის კითხვითი სიტყვის მიხედვით აშხარული დიალექტი და აფხაზური ენის პირაქეთა დიალექტები ერთიანდებიან. იქაც არის **ზაკი** და აქაც – **ზაკი** (|| **ზაკი-გზი**). ტაპანთურში არის ზ ა წ ი ა. თუ სწორია დებულება, რომლის მიხედვითაც ზ ა წ ი ა სიტყვის ძირი უკავშირდება ა კ ე „ყოფნა“ ზმნას<sup>1</sup>, მაშინ შეიძლება არც ტაპანთური იდგეს ამ მხრივ განკერძოებით. გამოდის, რომ „რა არის“ კითხვითი სიტყვის ფუძედ გამოყენებული ყოფილა ა კ ე (აკ-გზა-რა) „ყოფნა“ ზმნა. კერძოდ, მისი მიმართებით-ნაცვალსახელური ფორმა კითხვითი -ო-ს (ან ტაპანთურში: **ია**-ს) დართვით.

საგულისხმოა, რომ აფხაზურის პირაქეთა დიალექტებში „ვინ“ კლასის კითხვითი სიტყვა ჩვეულებრივ აღარ არის ამ ძირიდან ნაწარმოები (აქ გვაქვს: დარბან „რომელი (ვინმე)“<sup>2</sup>; დგზტესდა – „ვინ, რომელი“, სიტყვა-სიტყვით: „ის (აღამ.)-ვისიც-საქმეა-ვინ“ (ნ. მარი), სამაგიეროდ აშხარულ დიალექტში, ისევე როგორც ტაპანთურში კითხვითი „ვინ“ სიტყვა მომდინარეობს იმავე **აკ-გ-** ზმნიდან ადამიანთა კითხვის **-და** ელემენტის დართვით: **ზაკ-გდა** || **დზაკ-გდა** (შდრ. ტაპ. დ ზ ა წ ი ა, ზ ა წ ე დ ა). დარბან, დარბან, დგზტესდა აშხარულის კილოკავებში იშვიათად თუ სადმე გვხვდება<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. ტაპ. § 50, გვ. 180.

<sup>2</sup> იხ. ავტორის: „ზმნის კითხვ. ფორმები აფხაზურში“. გვ. 975.

<sup>3</sup> უფრო ხშირად მათ კაცი გაიგონებს ფსხუს აშხარელთა მეტყველებაში. ფსხუმში დარბან, მაგალითად, გვხვდებოდა შემდეგ კონტექსტში: რჰაკ, ბაშლეყ ჰან დარბან ზ ლ ა კ ე გ აკვრ იმამამ – ფსხუ, კ. 10 – „ნაბადიო, ყაბალახიო, რაც (გინდ) იყოს, მას (მამაკ.) არაფერი არ ჰქონდა“. ამავე მთქმელთან იგივე ზოგჯერ ჩავიწერეთ შემდეგი ფორმითაც: დარბან ზ ლ ა ა კ ე გ, დარბან ზ ა ა კ ე გ, დარბან ზ ა ა კ ე გ (sic.).

აბრი ძაიზ დგზტესდა? – იჰედტ – ფსხუ, კ. 10 – „ეს ვინც მოვიდა, ვინ არისო? – თქვა მან (მამაკ.).“

მართალია, აშხარული დიალექტის ორივე კილოკავმა ტაპანთურის მსგავსად „ვინ“ კითხვითი სიტყვა ყოფნა ზმნის ფუძიდან აწარმოა, მაგრამ გარკვეული ხასიათის სხვაობამ მაინც იჩინა თავი.

„ყოფნა“ ზმნის ფუძედ ყველა აფხაზურს დიალექტში გამოყენებულია აკ-გ... მაგ., „ვარ“ **საკ-უბ** (პირაქეთა დიალექტები<sup>1</sup>, აშხარული დიალექტის კუვინსკის კილოკავი), **საკ-ებ** (ტაპანთ. დიალექტი), **საკ-უტ** (აშხარული დიალექტის აფსუის კილოკავი), მაგრამ ამის პარალელურად პირაქეთა დიალექტებსა და აშხარული დიალექტის კუვინსკის კილოკავში გვაქვს აგრეთვე სა-უ-პ სახეობაც. ეს ფუძე არ იცის აშხარული დიალექტის აფსუის კილოკავმა ისევე, როგორც არ იცის იგი არც ტაპანთურმა დიალექტმა. პირაქეთა დიალექტებში მისი გამოყენება მეტად შეზღუდულია. იგი გვხვდება მარტოოდენ აწმყო დროის დადებით ფორმაში: **საუბ** (← **სოუბ**), **უაუბ** (→ **უოუბ**)... მაგრამ არის: **საკ-ებ** „არა ვარ“; **საკ-ებმ-ტ** „არ ვიყავ“; **საკ-ებ** „ვიყავ“ და სხვ.

აშხარული დიალექტის კუვინსკის კილოკავში მას გამოყენების ფართო ასპარეზი მოუპოვებია. იგი ყველგან შეიძლება იმ ადგილას დაისვას, სადაც მეორე ა-კ-გ- ფუძე გვაქვს<sup>2</sup>.

ამიტომაც „ყოფნა“ ზმნაზე დაფუძნებული კითხვითი ნაცვალსახელები ნაწარმოებნი ზემოაღნიშნული წესით (იხ. აქვე, ზემოთ) აშხარული დიალექტის კუვინსკის კილოკავში (პარალელურად) იღებს ასეთ სახეს:

**ზაუბ** → **ზოუბ** → **ზოდ** = „რა“, „რა არის“ (შეგვხვედრია „იზაკ-გზოდ“-ც)

**ზაუბდა** → **ზოუბდა** → **ზოდა** || **დზაუბდა** || **დზოუბდა** → || **დზოდა** = „ვინ“, „ვინ არის“? და სხვ.

შემდეგ ესენი დაერთვიან ზმნის ინფინიტურ ფორმებს, როგორც ჩვეულებრივი კითხვითი სიტყვა-აფიქსები. ეს გარემოება კითხვით ფორმათა წარმოებისას მნიშვნელოვან სხვაობას ქმნის აშხარულის კუვინსკისა და აფსუის კილოკავთა შორის.

<sup>1</sup> პირაქეთა დიალექტებში იგი ბუნებრივია ნამყოში – საკ-ებ „ვიყავ“.

<sup>2</sup> ამ მხრივ მეტად საგულისხმო ფორმები დასტურდება აშხარული დიალექტის კუვინსკის კილოკავში. მაგ.:

ადგულ იუ-ებ. იუ-ებუ ზემდგმ-	– ფსხუ, კ. 1 –	მან (მამაკ.) მიწა მოთხარა. რაც მოთხარა, როგორიც იყო, ეს იყო
რაზ, უდ ონ		
აბნ ონ... იხვსჰაზგე	– ფსხუ, კ. 9 –	ეს იყო... რისთვისაც ვთქვი...
დგზაადმთიზ, მარა აბნი და-	– ფსხუ, კ. 9 –	მან (მამაკ.) ის (ადამ.) რისთვისაც გამოუშვა, ამას (რადაცას) რათა მოეკლა, (მისთვის) იყო
შარნგს ონ		
აუბდა ოუმ ხარი სან, დაადრი,	– ფსხუ, კ. 6 –	...თორემ (ის თუ არა) დედაჩემი რომ მოვა, შენ (მამაკ.) შეგჭამს...
ულჭუშტ		და სხვ.

კუვინსკის კილოკავში გვაქვს:

უზწაგტო-ზრმ?	- კუვ. 5 -	შენ (მამაკ.) რას სტირი?
ბარა იყაბწო-ზრმ?	- კუვ. 9 -	შენ (დედაკ.) რას აკეთებ? <sup>1</sup>
არ არ აფსგ ს.გზგდ-	- ფსხუ, კ. 7 -	ამ მიცვალებულს თავს რომ
ჯ ა გ ლ ო ზ გ რ დ?		ადგახართ, რისთვისა (რატომ)?
რუქსა-ზაჭრ	- ფსხუ, კ. 4 -	შენ (მამაკ.) რა შეგემთხვა?
იზაჭტდა <sup>1</sup> აჭტდ იზგრ?	- კუვ. 14 -	ვინაა, ეს ვისაც მიაქვს?

შეიძლება აშხარულში შეგვხვდეს კითხვით სიტყვად დგ-ზგტადა, უ-ზგტადა. მაგ.: ტარა ტაზგშორდა, უზგტადა უშგაფა? ძსსაჰ! - კუვ. 11 - „შენ (მამაკ.) ვინ გამოგზავნა, ვინ ხარ (სადაური ხარ?!), როგორ მოხვედი, მითხარ!“ იგი ტაჰანთურშიაც გვხვდება. საფიქრებელია, რომ მას კავშირი არ ჰქონდეს ზემოხსენებულ ზაჭტდა კითხვით ნაცვალსახელთან. უ-ზგტადა-ში ფუძე უნდა იყოს -ტა, რაც გამოხატავს რაღაცის ნაწილად ყოფნას, წარმომდინარეობას. მაგალითად, სოფელზე (თემზე, ხალხზე) იტყვიან: „საჭოჰ“ (აფსუა საჭოჰ = „ა ფ ს უ ე ლ ი ვარ“).

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ კითხვითი ფორმები დინამიკურ ზმნებში. სტატიკურ ზმნებში კი, როცა აღწერთად იწარმოება კითხვითი ფორმები, ყველა აფხაზურ დიალექტში დაცულია ის პრინციპი, რასაც დინამიკურ ზმნებში გავეცანით: აღებულია დროთა მიხედვით მიმართებით-ნაცვალ-სახელური ფორმა ზმნისა და დაერთვის კითხვითი სიტყვები.

მაგ.:

ზაკი, რყრ	- აფს. 37 -	რაა, რაც არის?
იმჰანგ-უ ზაკი?	- აფს. 37 -	ის (რაღაც) რასაც ნიშნავს, რაა?
იუთაჯ-რ ზაკი?	- აბაზაქტ. 27 -	შენ (მამაკ.) რაც გინდა, რაა?
იუთახგ-უ ზეიფშტდა?	- კუვ. 23 -	შენ (მამაკ.) ვინც გინდა, რომე- ლია (როგორია)? და სხვ.

მაგრამ, როგორც უკვე იყო აღნიშნული (იხ. ზემოთ), აფხაზურ დიალექტებში სტატიკური ზმნების აწმყოს წარმოებისას ადგილი არა აქვს ერთიანობას.

პირაქეთა დიალექტებში სტატიკურ ზმნათა აწმყოს კითხვით ფორმაში აწმყოსეული სუფიქსი (აწმყოს ინფინიტური ფორმის აფიქსი -უ) მაშინ იქნება წარმოდგენილი, თუ ნივთთა კლასის კითხვაა. მაგ.:

იყა-უ-ზი || იყა-უ-ი - რა არის?

იუთახ-უ-ზი || იუთახ-უ-ი - შენ (მამაკ.) რა გინდა?

სამაგიეროდ, ადამიანთა („ვინ“) კლასის კითხვით ფორმაში აწმყოსეული -უ აღარ ჩანს. არის:

<sup>1</sup> იზაჭტდა-ში **ი**- ისეთივე წარმოშობისაა, როგორისაც **ი**-ზაკეზი-ში **ი**, ან დზაკედა-ში **დ**- ამის შესახებ იხ. ტაპ., გვ. 125-126.



იყა-და – „ვინ არის“?

იუთახე-და – „შენ (მამაკ.) ვინ გინდა“?

ტაპანთურში შებრუნებული ვითარებაა:

იყა-მა – „რა არის“?

იუთაგ-ია – „შენ (მამაკ.) რა გინდა“?

მაგრამ:

იყ-უ-და – „ვინ არის“?

იუთაგ-უ-და – „შენ (მამაკ.) ვინ გინდა“?

აშხარული დიალექტის კილოკავებში ორსავე შემთხვევაში ჩვეულებრივ შეინიშნება აწმყოს სუფიქსის (-უ-ს) უქონლობა.

არის:

იყე-ა შთა, ახრათ? – ი ყ რ, – აფს. 44 – **რა არის** მერე სამოთხეში? – რაც არის, ესაა

იუთაგ-ო-შთა? – აფს. 37, – კუვ. 23 – **შენ (მამაკ.) რა გინდა?** შენთვის, რომ არ გავაკეთო, (ისეთი) არაფერია

არა უსნე იტმე-ი? – კუვ. 9 – აქ საქმედ რა გვაქვს შენ (მამაკ.)

ამაანი? – კუვ. 8 – ის (რადაც.) რას ნიშნავს, რაა?

უარა არა უზშტე (← ...უზშ-ტა-ი)? – კუვ. 2 – შენ (მამაკ.) აქ რად წევხარ?

აჭანგ იჭენა-და? – აფს. 37 – სახლში ვინ სახლობს (არის)?

არი დეზახშა-და?<sup>1</sup> – კუვ. 12 – ეს ვისი და არის?

პირაქეთა დიალექტების **-ბა** ნაწილაკისა (დცემტ-ბა – წავიდა?, წავიდა განა?) და ტაპანთურის -ი-ს ნაცვლად<sup>2</sup> აშხარულ დიალექტში ხშირად ისმის **-მა (-ია)**: ებტე-მა (← ებტა-მა)? – დღეს?

ახშამ იყალემტ მა? – (ფსხუ) – ვახშომობის დრო დადგა ა (განა)?

საბაცო მა? – (ფსხუ) – სად მიდიხართ ა?

(შეიძლება შეგვხვდეს **ო-ც**).

კითხვითი **-უ** ნაწილაკი<sup>3</sup> აშხარულში ჩვეულებრივ არ გვხვდება.<sup>4</sup>

კითხვითი სიტყვა პირაქეთა დიალექტებისა **იზბან** „რატომ“ აგრეთვე არ ჩანს აშხარულში<sup>5</sup> (ისევე როგორც იგი არ ჩანს ტაპანთურში). მის ადგილას გამოიყენება ტაპანთურში გავრცელებული **მაუა**<sup>6</sup>, ოღონდ იმ განსხვავებით ტაპანთურისაგან, რომ მას ჩვეულებრივ **-ი** კითხვითი ელემენტიც ახლავს.

<sup>1</sup> სხვაგვარი შემთხვევები იხ. აქვე, ზემოთ.

<sup>2</sup> იხ. ტაპ. § 50, გვ. 184.

<sup>3</sup> იხ. „ზმნის კითხვ. ფორმ. აფხაზურში“.

<sup>4</sup> შდრ. ...უბანაზ-უ? – ფსხუ კ. 9 – შენ (მამაკ.) ის (რადაც) გინახავს?

<sup>5</sup> ფსხულ აშხარულთა მეტყველებაში კი შეგვხვედრია (მაგ., ფსხუ, კ. 10).

<sup>6</sup> იხ. ტაპ. გვ. 178.

მაგ.:  
 სარს დგსგრგბა! – დატქე, – კუვ. 4 – ის (ადამ.) მე მომყიდე! რად(აა),  
 დგზგუსგრგბააუე? შენ რისთვისაც მოგყიდე?  
 დაჰშრს თაგენ, დაჰშგდტ- – ისინი უნდა მოგვეკლა და მო-  
 იჰედეტ... ვკალითო... – რატომაა („შენ  
 – დატქეა-ა, იუმრს ზათა- რა?“), რისთვისაც უნდა მოგვეკ-  
 გუ ალაქა? ლა ძაღლები?  
 არს ამ-დგუ იცო დატქე-ა? – კუვ. 23 – ეს დიდი წყალი რომ მოდის,  
 რაა (რატომ)?<sup>1</sup>

§ 46. **აბსოლუტივი.** აბსოლუტივის გაგება აზნარულშიაც შეიძლება მოგვეცეს პირის აფიქსიანმა ზმნის წმინდა ფუძემ (სპეციალური აბსოლუტივის აფიქსის უქონელმა)<sup>2</sup>. მაგ.:

...რმა დაშეცუბ... – აფს. 33 – ის (ადამ.) მის (რადც.) თან  
 ქონით რომ მიდიოდა...  
 ატგდ ალახუქგ რმა, – კუვ. 15 – იგი (მამაკ.) პატარა ძაღლის  
 ატასაგ რმა დაჩა ქეთაკ ყოლით („თან ჰყავდა რა“),  
 ატგ... იტახტ ცხერისაც ყოლით („თან  
 ჰყავდა“) სხვა სოფელში... (და-  
 ჯდა) დასახლდა  
 ატას რაფხა დგგლა – კუვ. 2 – ისიც (ადამ.) ხალხის წინ  
 დგომ(ით), წაძლოლით. მთა-  
 ვართან (ბატონთან) შემოვიდა  
 ედწა იგ დაქტა დგშ- – ფსხუ, კ. 7 – უმცროსი თავის ცხენზე ჯდო-  
 ნეაზ მით რომ მიდიოდა...  
 ...ააბა რჟ აფშეაკ ირ – კუვ. 23 – რვისავე [კამეჩის] ხორცის ოთხ  
 თაწს ...აქეთ დაართოეტ ტყავში ჩადებით ...მისცა  
 მას სოფელმა.

აბსოლუტივის მნიშვნელობა აქვს აწმყოს ინფინიტურ ფორმას.

მაგ.:  
 ამაგ. დგქტან. იფგეყა<sup>3</sup> – აფს. 44 – ის (ადამ.) ტოტზე იჯდა. მას  
 დალაგე ქრისრა („მოჭრად“), დაი-  
 წყო

<sup>1</sup> თუმცა შეიძლება შეგვხვდეს: **აატა-ც** (კუვ. 23).

<sup>2</sup> აბსოლუტივის წარმოების შესახებ იხ. ავტორის: „აფხაზური გარდამავალი ზმნის უსუბიექტო ფორმები“ – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება ტ. II, 1948 წ.; ტაბ. § 51.

<sup>3</sup> იფგეყა მომდინარეობს ფორმისაგან: „იფგეყ-უა“. იხ. აქვე, § 41.

ა დ გ ე ლ წ გ ს ა ძალაგე	– აფს. 41 –	მიწა ინძრევა რა, დაიწყო (მიწამ „ნძრევად“ იწყო)
ი რ ჭ უ ძალაგე	– აფს. 37 –	ისინი მას (რალაც.) ჭამენ რა, დაიწყეს
ა ლ გ ბ ა ჟ გ ე დ გ გ ო გ რ ლ ო აზნე დაახეტი	– კუვ. 4 –	ბერიკაციც ს ი ხ ა რ უ ლ ი თ (გახარებულად) შინ მობრუნდა
ი რ გ ჯ ა, ი რ გ ჯ ა, ყამჩელა	– კუვ. 2 –	იგი (რალაც) რბენინებით, რბენინებით, მათრახის ცემით, მისი (მამაკ.) მძა სადაც იყო, იქ მოიყვანა მან [ცხენმა]
დასა-მაცარა, ეშა დახ'გყაზ, დენანაგალიძე		

აბსოლუტივის მაწარმოებლად აშხარულშიაც გვხვდება **-ნე** სუფიქსი პირაქეთა აფხაზური დიალექტების მსგავსად, მაგრამ მისი გამოყენების მხრივ სრულ ერთიანობას არა აქვს ადგილი აშხარულის კილოკავებში. იგი აბსოლუტივის ერთი ძირითადი მაწარმოებელია კუვიანსკის კილოკავში, მაშინ როცა აფსუსის კილოკავში იგი შედარებით იშვიათად გვხვდება. მას სცვლის ტაპანთურის **-შთა** სუფიქსი, სახელის ვითარებით-გარდაქცევით ფორმათა მსგავსად<sup>1</sup>.

**-ნე**-თი ნაწარმოები აბსოლუტივის ფორმები:

ფხვზნე იზბაზ ატი სკეპ... აჰედტ: სკაჟანგ აქტუქა ი ძ - <b>ნე</b> ასესქა ზ. <b>ნე</b>	– კუვ. 5 –	სიზმრად ეს ვნახეო: ქათმები შეწვით, ბატკნები მოხარშვით ჩემთვის მოაქეთ რა (ჩემთვის მოტანით), ვჭამდი
ს ც ა - <b>ნე</b> , ჩემძ. ა - <b>ნე</b> სააფუ- შტ	– კუვ. 8 –	მე წ ა ს ვ ლ ი თ, და ბ ა ნ ი თ (დავიბან და...) მოვალ
აბლაჯა შ- <b>ნე</b> , ი შ ტ ა - <b>ნე</b> იბეძე	– კუვ. 23 –	გველეშაპი მოკვლით, წოლით (ძირს იყო რა) ნახა მან (მამაკ.).
უ ც ა - <b>ნე</b> დააგ!	– კუვ. 3 –	შენ (მამაკ.) წ ა დ ი და (წ ა ს ვ ლ ი თ) მოიყვანე ის (ადამ.)!
ი ც ა - <b>ნე</b> წაჰა ფხვზ ბზრა ზბო იძუშტ	– კუვ. 5 –	და ძ ი ნ ე ბ ი თ (ვინც დაიძინებს და) უკეთეს სიზმარს ვინც ნახავს, (ის) შეჭამს მას (რალაცას)
უნაპტლა ძ ა ა უ მ ხ უ - <b>ნე</b> , აგათ აფგნწალა ძ ა - აშთეხ - <b>ნე</b> , აწლა ძაარხა!	– კუვ. 35 –	შენ (მამაკ.) შენი ხელით ა უ დ ე ბ ლ ა დ, ხმლის წვერით ა ლ ე ბ ი თ ის (რალაც.) ხეს მოუქნიე (ესროლე)!

<sup>1</sup> იხ. აქვე, § 26.

აბანაყა სეგათა ა ა თ გ ხ-**ნგ**, – აფს. 35 – აგე იქ(იდან) ჩემი ხმალი ა ღ ე -  
სკა უ ა ს ს-**ნგ** დაწეუწარი, ბ ი თ (აილე და) ჩემს თავს ც ე -  
კ ა ტ ი შ ა პ ა კ ა ა თ გ ს . თ ა შ ა ტ მ ი თ , დ ა რ ტ ყ მ ი თ , ( დ ა ა რ ტ ყ ი და )  
თუ მოკვეთ, მსხვილი ნაწლავი  
გადმოვარდება... და სხვ.<sup>1</sup>

ამგვარი აბსოლუტივები დამახასიათებელია **-ნ**-სუფიქსით ნაწარმო-  
ებ დროებში. მაგ.:

აგართა რწკეს ეპა ბზირი – კუვ. 21 – ფარაში (ჯოგში) ყველაზე უფრო  
იზბო-**ნგ**, სემპლა ისზანგ მ ი ყ ვ ა რ დ ა რ ა , ჩემი ხელით  
სესკ რგლან გაზრდილი ბატკანი ერია

ჟოტკვი იშტაზ, რეთემგ – კუვ. 2 – ერთ სადამოს რომ ისხდნენ, მათ  
ნ ნ ა რ გ ლ ა შ ა რ ო -**ნგ** ნ ა -  
ურკ... ააშტლეძტ ს ა ხ ლ ს ა ნ ა თ ე ბ დ ა რ ა , ს ი -  
ნათლე... შემოვიდა

ანარალა ზახნემგ რ ჰ ო -**ნგ** – კუვ. 23 – შორიდან ვის სახელსაც ა მ -  
ანგა ირემბრზ ბ ო ბ დ ნ ე ნ რ ა , და ახლოს ვერ  
(არ) ხედავდნენ

ანგაგე დეცცც(ა). დეცც- – აფს. 31 – გიჟიც გაექცა (წაუვიდა) მას  
ცან, ხემშაკ ე ე ლ გ ს ა -**ნგ**<sup>2</sup> (მამაკ.), წაუვიდა და სამი გზა  
აზინ ერთ მანეთს განეყოფება  
(შორდება) რა, მას მიადგნენ

ანახ აჟაა შტალან-**ნგ** – კუვ. 12 – ღამე ხალხი უკვე დაწოლი-  
დაადრუტ ლ ი ი ყ ო რ ა , მ ა ნ ( მ ა მ ა კ . ) ი ს  
(ადამ.) იპოვა, იპოვა... და სხვ.

ხშირად გვხვდება იგი უარყოფითი აბსოლუტივის ფორმაში.

მაგ.:

უბუგ უ - მ გ - რ გ ო - **ნგ** – კუვ. 4 – შენ (მამაკ.) ხმის გაუღებ-  
დახ.! ლ ა დ ა ი ლ ე ი ს ( რ ა ლ ა ც ) !

აჩჰეს... აბლაჯა იუ-მ-რ- – კუვ. 23 – კვიცი გველუშაპის... შეუჭმე-  
ჰ ო -**ნგ** აჩან ააც! ვ ი ნ ე ბ ლ ა დ ( კ ვ ი ც ს შე ნ მ ა ს ა რ  
აჭმევდერა ისე) რემა მორეკე!

ილზგრხაზ აკვე ა ა ნ გ მ - – კუვ. 8 – მას (დედაკ.) რაც უყვეს, რისამე  
ხო-**ნგ**, დარს ირალჰედტ დაუტოვებლად (დაურჩენ-  
ლად, გამოუტოვებლად) მან  
(დედაკ.) მათ უთხრა

<sup>1</sup> ამხარულ დიალექტში დასტურდება ამ აფიქსის უფრო ძველი, ამოსავალი **-ნა**  
სახეობაც, მაგალითად, უანნაშტლო ტარაკ დ გ ქ. **ნა** დგცაუშტ – ფსხუ, კ. 13 – „შენ  
(მამაკ.) შიგ (სახლში) რომ შეხვალ, მას (ადამ.) საწოლზე დაწოლით (ზედ ყოფნით)  
ეძინება“ და სხვ.

<sup>2</sup> ეელგსანგ ← ეელგსუა-ნგ.

დიზგ-მ-წათა- <b>ნგ</b>	- კუვ. 14 -	მის (მამაკ.) შეუკითხავად
კასთხაკ ადხედტ		მან (მამაკ.) მუგუზალი აილო
აჩკენ იზურ ადტ <b>მარ</b>	- კუვ. 4 -	ყმაწვილის ხმა ესმა მას (მამაკ.)
დგდ-მ-ბო- <b>ნგ</b>		მის (ადამ.) დაუნახავად (არ ხედავდა რა)
ალაჭე ინამძო- <b>ნგ</b> არბა	- კუვ. 20 -	ძალთან მიულწევლად
მაგედ აჭაჯა		მამალმა წაილო პური
ამ-გე დგ-მ-ცო- <b>ნგ</b> ... მა-	- კუვ. 26 -	ვინმეს წაუსვლელად... მო-
აგ [ჭაჯაფხა]!		იტანე [ცხელი პური]! და სხვ.

ამ ტიპის აბსოლუტივის წარმოებაში ყურადღება მიიქცია ერთმა გარემოებამ: ერთ-ერთი კუვინსკელი მთქმელი (35 წ.) -**ნგ**-ს ნაცვლად სისტემატურად -**ნო**-დაბოლოებას ხმარობდა (სხვა მთქმელთა ენაში არც ს. კუვინსკში და არც ს. აფსუაში ჩვენი იქ მუშაობის დროს ასეთი ფორმა არ შეგვხვედრია)<sup>1</sup>.

მაგ.:

რნგბჯალ ბზრაგე დგდც- <b>ნო</b> დედტქლეიტ	- კუვ. 11 -	მისი (მამაკ.) კარგი ამხანაგი (მეგობარი) თანახლდა რა მას (მამაკ.), გაემგზავრა
ლგაჟკგე თაჟკგე რყან. აურთ შაკსგ ხენჯაჟ წა <b>ნ</b> რ ჯარაგე იმცო- <b>ნ</b> რ, ედგაპრა რგკერშა- <b>ნო</b> იბზახონ	- იქვე -	ბერიკაცი და დედაბერი იყვნენ. მათ სამოცი წელი უსრულდებოდათ რა, არსად არ მიდიოდნენ რა, რკინის ლოზე გარშემოვლებულად ცხოვრობდნენ
ალგაჟ დანდგლწ, იფკგს დგშ- <b>ნ</b> რ დგშტა- <b>ნ</b> რ დგდბედტ	- იქვე -	ბერიკაცი გარეთ რომ გამოვიდა, მისი ცოლი მოკვლით იდო (ძირს) რა, ნახა
იფკან დგდზგმშა- <b>ნო</b> , ლგმათაქა იზზეგე ნლშ. რხენ, აბნა დგლგდგალან, დსუდშთიტ ირპა რქერს-გ- <b>ნო</b> ამ-	- იქვე -	თავისი ქალიშვილი მან (მამაკ.) ვერ მოკლარა, ტანსაცმელი მთლიანად გახადა, ტყეში წაიყვანა და გაუშვა
დგცა- <b>ნო</b> დგდბედტ	- იქვე -	ვიღაცას თავის ნაბად წახურვით ეძინარა, დაინახა მან (მამაკ.)
აჩკენ აჩგგ რმა- <b>ნო</b>	- კუვ. 11 -	ყმაწვილს ცხენიც ჰყავდა რა (თან ყოლით) მოხუცთან მოვიდა... და სხვ.

<sup>1</sup> -**ნო**-დაბოლოება აბსოლუტივში ყველა მთქმელის ენაში შეიძლება შეგვხვდეს, თუ მომდევნო სიტყვა **ო**... ხმოვნით იწყება, მაგრამ ეს ფონეტიკურ ნიადაგზე ხდება: ...**ნგ** **ო**... → ...**ნო** **ო**...-ს. იხ. აქვე, § 12. ასეთი შემთხვევები აქ არ გვაქვს მხედველობაში.

ამ მთქმელს მხარი დაუჭირა აღნიშნული ფორმის წარმოებისას ორმა მთქმელმა სოფ. ფსხუდან. მათ ენაშიაც სისტემატურად **-ხო** დაბოლოებას ვადასტურებდით. მაგ.:

დარე ი ჭა ა ა ჯ რ ა ჰ ა - <b>ხო</b>	- ფსხუ, 9 -	ის (აღამ.) პირგაღებულად დგება
ამ აჭა მაჰა ეხ <sup>ნ</sup> დუ, იჯა აჰა	- იქვე, 9 -	წყალი, სადაც უფრო დიდი იყო, თავის მეტი არ ჩანდა რა, შიგ დგებოდა ის (აღამ.)
მა ა ფ შ ა - <b>ხო</b> , აძგ დთაგგლონ		
ს გ ჯ ა თ ა... ა ა გ ა - <b>ხო</b> აბრა	- იქვე, 9 -	ჩემი ხმალი... მოიტანე და, აქ რომ მარტყა, თავს მომკვეთს
დასგ-გდგუწარი, სჯა ააგ- ნაწარტ		
აბჟარ (sic!) ს გ მ ა - <b>ხო</b>	- იქვე, 9 -	მე იარაღის თან-ქონით რომ მოვსულიყავ, მიცნობ-თქო, შემეშინდა
საადრი, სგუდგრჰ-ჰა, სშეძტ		
ა ძ ა ა გ ა - <b>ხო</b> შგლარსა	- ფსხუ, კ. 11 -	წყლის მოტანით (წყალს მოიტანდა და) ის (დედაკ.) მე ღომს მიკეთებდა და სხვ.
სგზგყალწონ		

ამისდა მიხედვით ჩანს, რომ აშხარული დიალექტისათვის აბსოლუტივში **-ხო** დაბოლოება უჩვეულო არ არის. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ უბიხურ ენაში ზმნისართის (ადვერბის) მაწარმოებლად გამოჰყოფენ **-ხო** სუფიქსს. Mészáros-ი **-ო**-ს მასში (**-ხო**) პირის ნიშნად მიიჩნევს<sup>1</sup>. და ბოლოს, ზემოაღნიშნულ ფაქტებთან კავშირში უნდა იყოს მეგრულში აბსოლუტივის წარმოებისას გამოვლენილი **-ხო** სუფიქსი (მიდართუ-**ხო**).

გარდა ამისა, აშხარულის კილოკავებში შეიძლება აბსოლუტივის მაწარმოებლად შეგვხვდეს **-შთა** ელემენტი, რომელიც ტაპანთურ დიალექტში აწარმოებს სახელთა ვითარებით-გარდაქცევით ფორმებს, ზმნისართებს, აბსოლუტივს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მისი გამოყენება საკმაოდ შეზღუდულია კუვინსკის კილოკავში. კუვინსკის კილოკავს სახელთა ვითარებით-გარდაქცევით ფორმასა და ზმნისართებში იგი არ ახასიათებს. აქ ამ შემთხვევებში გვაქვს ზემოგანხილული **-ხო**<sup>2</sup>. აფსუის კილოკავს კი ეს **-ხო** ამ შემთხვევებშიაც, გამონაკლისებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, შეუცვლია ტაპანთურისათვის დამახასიათებელი **-შთა**-თი. აბსოლუტივებში კი, როგორც ვნახეთ, კუვინსკის კილოკავში გაბატონებულია **-ხო**, აფსურში კი **-ხო**-ც გვხვდება, მაგრამ უფრო ხშირია **-შთა** (→ **შა**).

აფსუის კილოკავში **-შთა** → **შა** (ტაპანთურის ანალოგიურად) შეიძლება შეგვხვდეს აბსოლუტივის ყოველგვარ ფორმაში: როგორც წმინდა ფუძეზე და ზმნის ინფინიტურ ფუძეზე დართული<sup>1</sup>, ისე ზმნის ფინიტურ ფუძეზე დართული.

<sup>1</sup> Mészáros I. Die Päkhy-Sprache...1934, გვ. 58.

<sup>2</sup> იხ. ტაპ. § 51, გვ. 185-186.

მაგ.:

- არი ისსუ სსსგ სრქეეგუ – აფს. 33 – ეს საცვალი რომ მაცვია, შენ კუთვნილად (შენ გეკუთვნის-ად) იტყვი შენ (მამაკ.)
- ამეგუ, ატგსა დასდ-შთა, – იქვე, 37 – ვინმე მოვა-რა, თქვენი დები სახშცაქა ირგსემთან!
- არ აათლა-შთა აქეთ – აფს. 36 – ჯარი შემოსვლით სოფელს რეჭანგ-ჰა ენაარგქსაზ, მარა ამეგუ დდრფშემგვა ჰა-წარა დგუ რლა-შთა, არ დგრფჰაგელა-შთა, დან-რდსრააკ, არ ირგულაუ რგზგყამწუ-შთა ივნჰ-ხან
- ...მაჰკ დააგღლუ-შა – აფს. 36 – ცოტა წამოდგომით უთხრა ირალჰე მან (დედაკ.) მათ ის (რადაც)
- რგწეჰალა ჩგჰკ დასდ-შთა დგრბედუ – აფს. 37 – მათ უკან ვიღაცა მხედარი მოდიოდა რა, დაინახეს
- აზარყა უგღლა-შთა – იქვე – აქ დადექ და (დადგომით) უნაფშერი... რომ უყურო...
- ატტ [სქუჰმაქა] ირგმ-ჰუ-შთა მაზგედუ არი აჩგ – აფს. 37 – მათ [მგლებს] არ შეჰმევი-ნებით მოვიყვანე ეს ცხენი
- ისაჰ, უხწფშ მაყგყო, – იქვე – მითხარი, შენი (მამაკ.) ოქრო სა-ტახჩ' ყგყო-შთა დაც არის, შენი ფული სადაც არის - რა!
- ...აფჰეს ავნგ დაან-ხუნგ-შთა... – აფს. 30 – ქალი შინ რჩებოდა - რა...
- ატრ სკუჰ-შთა ტუჰაწა-ლს უცნ აზანან-ნა აზანრ ათემაჰგ – აფს. 37 – ეს არის - რა, ახლავე წადი შენ (მამაკ.) იქითკენ, იმ სახლში
- ატრ დსსჰაკ-შთა დგზჰაპ – იქვე – მას (მამაკ.) ამას ვეტყვი - რა, მოვატყუებ
- დგდზგმშა-შთა აწლა – აფს. 35 – მას (ადამ.) ის (მამაკ.) ვერ დავაგელან დჰანხე კლავდა რა (მოუკვლელად), ხესთან დამდგარი დარჩა

სომ-შეგ აჭებ სომე ს გ ხ უ- – აფს. 33 – ასი მანეთი მანეთ დაკლე-  
**შა** ძჰაკპპარი... ბ უ ლ ა დ (დააკლდება რა)  
რომ ჩამოვარდეს...

ელაჰწაჰ-**შთა**, ძაალაგპ- – აფს. 39 – ის (რადაც) ა ვ უ რ ი ო თ - რ ა,  
იჰე დავფქვათ და სხვ.

კუვინსკის კილოკავში, როგორც წესი, იგი (**-შთა** →  
**შა**) გვხვდება მხოლოდ ზმნის ფინიტურ ფორმაზე  
დართული (ეს წარმოება კი აბსოლუტივისა ყველაზე ახალი წარმოება  
უნდა იყოს თვით ტაპანთურში).

მაგ.:

ალგმჰა დგთატრჰ-**შთა**, – კუვ. 4 – ის (ადამ.) ყურში ზ ის - რ ა,  
ირგვალატ ხნავენ

ჰაკგლსგჰ-**შთა** ძაჰჰაჰ – კუვ. 6 – გ ა ვ მ ვ რ ე ბ ი თ - დ ა, შევჰამთ  
მას (რადაც)

ჰაბა, სა სცაჰ-**შთა** მგცა – კუვ. 14 – მამა, მე წ ა ვ ა ლ - რ ა, ცეცხლს  
ააზგაჰ მოვიტან... და სხვ.

ჩვეულებრივ ამ ფორმებს აბსოლუტივის ზემოგანხილული **-ნგ** მაწარ-  
მოებელიც ერთვის (ეს კი ტაპანთურისათვის აღარაა დამახასიათებელი).

მაგ.:

არ ამ აჩფგ აჭებ ჰანამარი, – კუვ. 11 – ამ წყლის ნაპირს რომ მივალ-  
ჰ ა ძ ო ს ს ფ -**შთა-ნი** წევთ, გ ა ვ ჩ ე რ დ ე ბ ი თ - რ ა,  
იჰაზგჰ დავლევთ

სჰა ჰშგჰ-**შთა-ნგ** შა სთა- – კუვ. 8 – კურდღელი მოვკლათ-რა,  
ქანვალაჰგჰ ერთი ჰიქა სისხლი გამო-  
ვულოთ

ანრ ამაზარა შარდა – კუვ. 23 – ამოდენა ქონებას აიტანს-რა,  
ი ო ნ ს ხ გ ჰ -**შთა-ნგ**, ორრ შენ არ ავიყვანენ  
უგვარგალარემ

სან, ს გ ბ გ ფ შ ა ტ -**შთა-ნგ**, – კუვ. 23 – დედა, გ ი ყ უ რ ე ბ - რ ა, შენ  
ბეზგჰუჰ, საბა ს გ ძ ფ-  
შატ-**შთა-ნგ**, დგდგუჰ, სა მამას ვუყუ-  
სჯა სა ფ შ გ ხ ე ტ -**შთა-ნგ**, რებ-რა, დიდი, ჩემ თავს  
სდუჰ. არს იზგყედ? ვუყურებ-რა, დიდი ვარ. ეს  
ასე რად არის?

დგცაადტ-**შა-ნგ**, უაჰ დგლა- – კუვ. 9 – ის (ადამ.) წავიდეს-რა(და),  
ტაადტ! იქ დაჯდეს (ჩაჯდეს ტყეში)

სასრგყა დგცონგ-**შთა-ნი**... – ფსხუ. კ. 9 – სასრუყვა მიდიოდა-რა...  
ამდ დგთაგლონ წყალში (ჩა)დგებოდა



აღნიშნული ფაქტი ყურადღებას იქცევს საერთოდ რთული ფორმის აფიქსთა ისტორიის თვალსაზრისით.

უარყოფით აბსოლუტივში ჩვეულებრივია უარყოფის **-მ** აფიქსის დართვა კუვინსკში **-ო-ნგ** (**-ტა-ნგ** → ...**ა-ნგ**) სუფიქსიან აბსოლუტივის ფორმებზე, ხოლო აფსუურში ამის შესატყვის **ო-შთა** → **უ-შთა** (**-ტა-შთა** → **-ა-შთა**) სუფიქსიან აბსოლუტივის ფორმებზე (ამ ტიპის უარყოფითი აბსოლუტივები პირაქეთა დიალექტებისათვის არ ჩაითვლება დამახასიათებლად). მაგ.,

შარდა უ - მ - ჰ - უ - **შთა**, - აფს. 35 - ბევრი შენ (მამაკ.) არ თქვა -  
უკუნჰგ-შთა უცახ! რ ა (უთქმელად), გაბრუნდი  
და წადი! და სხვ.

მაგრამ იქვე (ორსავე კილოკავში) გავრცელებულია სხვა აფხაზურ დიალექტთა მსგავსად **მ-კა** (ზოგჯერ კუვინსკში **მ-კა-ნგ**-ც) აფიქსთა დართვა ზმნის ფუძეზე<sup>1</sup>.

მაგ.:

- დ გ ს **მ** - ო უ-**კა** გაჟმაბ - აფს. 37 - იგი (აღამ.) არ ვიპოვო - რ ა  
(უპოვნელად), არ შეიძლება
- აძგუ დ დ ე ფ შ გ-**მკა**... - აფს. 36 - ვისმე (შე)უ მ ს გ ა ვ ს ე ბ ლ ა დ  
(არა მსგავსად...)
- ჰარს ჰ ა უ - **მ** - ბ ა -**კა**, ჟაბა - კუვ. 14 - შენ (მამაკ.) ჩვენ უ ნ ა ხ ა ვ ა დ,  
დანჯყო უდგრენდარა! მამაშენი სადაა, ნეტავ ის იცოდე  
(ნეტავ გაიგებდე)!
- ბარა ბ გ - **მ** - წ გ უ ა -**კა** - კუვ. 10 - შენ (დედაკ.) უ ტ ი რ ლ ა დ  
ბეჭასრი, სგგე ბაღანაპ (არ იტირო-რა) რომ გაჩერდე,  
ჩემი გული გამაგრდება<sup>2</sup>
- ლარს დგ-**მ**-აადც-**კა-ნგ**... - კუვ. 9 - ის (დედაკ.) ჯ ე რ - მ ო უ ს -  
ვ ლ ე ლ ა დ...
- არს ლჟეს სასჰუმეტ - კუვ. 17 - მის (დედაკ.) ამზავს (საქმეს) გე-  
მცერს ზ ლ ა ხ გ - **მ-კა-ნგ** ტყვით, ტყუილი რომელსაც  
არ ურევია რა... და სხვ.

საგულისხმოა, რომ უარყოფით აბსოლუტივთა ამ რიგის ფორმებს ბოლოს **-კ** (**-მ-კა-კ**) სუფიქსიც ერთვის აშხარულში.

მაგ.:

აჟჟდ სჩკენ დანშთაღედტ - კუვ. 2 - ეს ბიჭი მას (რადაცას) გამოედევ-  
„ისგ-**მ-შგ-კა-კ**“! - იჰან... ნა „ის-მ ე - მ ო უ კ ლ ა ვ ა დ!“-ო  
(ის-მე-არ-მოვკლა-რა!-ო)...

<sup>1</sup> იხ. ტაბ. § 51, გვ. 185.

<sup>2</sup> ერთხელ შეგვხვდა მოულოდნელი ფორმა უარყოფითი აბსოლუტივისა საგარემოებო აფიქსით: აფკა დ-**ან**-ლაშგ-მ-კა დანგყაზ... - კუვ. 10 - წინათ როცა-არა-  
ბრმად როცა-იყო...

დენაშელა, ჩემ-მ-დგრ-კა-კ – კუვ. 2 – ის (ადამ.) რომ შემოვიდა, თა-  
 ადსრა ძალაგედტ ვუცნობლად ბრძოლა (ჩხუბი)  
 დაიწყეს... და სხვ.

ასეთი ფორმები ჩვენ საუბრისას ტაპანთელთაგანაც გაგვიგონია.

აზნარული დიალექტის წარმოებისას ფართო გამოყენებაშია აზნარულ დია-  
 ლექტში ტაპანთურის მსგავსად -**მაცარა** სიტყვა-ნაწილაკი<sup>1</sup>.

დამელააზუზ-**მაცარა** – აფს. 36 – ის (დედაკ.) ზ რ დ ი დ ა  
 ატუფეგ... დეფსტ (ხოლმე)-რა მას (მამაკ.), მოკვდა  
 ტაყა ი შ: ჩ ნ გ რ ა ზ -**მაცარა**, – აფს. 30 – იქ რომ მ ს ა ხ უ რ ო ბ დ ნ ე ნ -  
 აფტეს დემახეტან, დესატან, ხოლმე ქალი კერავდა, ქსოვდა,  
 აწწაწაწა არახ. იხ-ჩუნ კაცი საქონელს მწყსიდა  
 დეცტ-დეცტ-**მაცარა**, თემტკ – აფს. 32 – მიდის-მ ი დ ი ს - რ ა, მან (ადამ.)  
 იბე(ა) სახლი დაინახა  
 დაადა, დაადა, და ა ნ გ - – კუვ. 1 – ის (ადამ.) მოდის, მოდის-რა,  
 ყო-**მაცარა** დაადან მ გ ზ ა ვ რ ო ბ ს -(ხოლმე)-რ ა,  
 მოდიოდა... და სხვ.

§ 47. -**ხ სუფიქსი ზმნაში**. „კვლავ“-ის შინაარსის გამოსახატავად აზ-  
 ნარულშიც -**ხ სუფიქსი** გვაქვს<sup>2</sup> სხვა აფხაზურ დიალექტთა მსგავსად. მაგ.:

ბაქერ ივტეს ლჭა დანინ – კუვ. 20 – ბაქერი თავის ცოლთან მოვიდა  
 დეკტჩა-**ხ-ტ** და კ ვ ლ ა ვ -გაიცინა  
 ტოწგან, ყომკ ნწგ-**ხ**, ამა- – კუვ. 5 – ბოლოს (შემდეგ) კ ვ ლ ა ვ დი-  
 ლა მაგა-**ხ-ტ**. აქტ იცან დი ხანი რომ გავიდა, კ ვ ლ ა ვ -  
 ქტტკ ანრლ-ტგ-**ხ-ტ** მომივდათ. სოფელში წავიდნენ,  
 ტაწგანგ... აბლაჯა აბგ – კუვ. 2 – შემდეგაც (ბოლოსაც) გველემამ-  
 აკ'გ-**ხ-ტ** მა წყალი კ ვ ლ ა ვ დაჭირა  
 ირეჟლა-**ხ-გ**ნ, მანცუზ... – აფს. 36 – ისინი (ცხენზე) კ ვ ლ ა ვ -შე-  
 სხდომით რომ მიდიოდნენ...  
 და სხვ.

მაგრამ იქვე ტაპანთურის მსგავსად იგი „უკუ“-ს, „უკან“-ის მნიშვნე-  
 ლობასაც ატარებს<sup>3</sup>. მაგ.:

<sup>1</sup> იხ. ტაპ. § 51, გვ. 186-187.

<sup>2</sup> ამავე მნიშვნელობით აქაც გვხვდება ზმნაში აბთა → ებთა: დ-ებთა-ცა-ხ-ტ –  
 კუვ. 14 – „ის (ადამ.) კ ვ ლ ა ვ წავიდა“, ალაშარა ებთა-შეგლა-ხ-ტ – კუვ. 2 – სინათლე  
 შიგ (სახლში) კ ვ ლ ა ვ შემოვიდა“, დ-ებთა-აგელახენ... – აფს. 33 – ის (ადამ.) კვლავ  
 ადგარა..., ი თ ა-დ-გ-ქალახ – აფს. 38 – ისინი კ ვ ლ ა ვ -გაემართნენ...

<sup>3</sup> იხ. ტაპ. § 52, გვ. 187-189.

სამ- <b>ხ</b> !-ანგძჳს, აჩხაქა ნდ- <b>ხგ</b> -ნ, ალაბრ ითარლა- <b>ხ</b> -ტ	- კუვ. 18 -	მობრუნდით (უკუ-მოდით)!-ო მან (მამაკ.) რომ თქვა, ფუტკრე- ბი უკუ-მოვიდნენ-რა, ჯოხში უკუ-შევიდნენ (შებრუნდნენ)
ჰარს არს ჰალქაუქედტ. დგდრგა- <b>ხ</b> ! - იყადტ ატაქაქ	- კუვ. 23 -	ჩვენ ეს (დედაკ.) შეგვჭამს. მას (მამაკ.) უკან -წაყვანინე! - იყ- ვირა ხალხმა
სგდცამ- <b>ხ</b> -უშეედტ	- კუვ. 4 -	მე მას (მამაკ.) უკან-წამოლულ (გამოვექცევი)
აწლა შკპკაზ ნერდტრ, ამან, იწადერს- <b>ხ</b> -ტ	- კუვ. 4 -	ხე რომ წაიქცა გაიგეს, მოვიდ- ნენ და უკუ-ჩაასვეს (ისევ ჩაას- ვეს)
დენაშბლე(ა). დჰადტლ- წგ- <b>ხგ</b> -ნ...	- აფს. 32 -	ის (ადამ.) შიგ შევიდა. უკუ- გამოვიდა რა... და სხვ.

§ 48. **სხვადასხვა ნაწილაკები ზმნაში.** ზმნის ფუძის მაწარმოებელი სხვადასხვა ნაწილაკები ამხარულშიაც იმავე სახით გვხვდება, როგორც დაც სხვა აფხაზურ დიალექტებში. აქ გამოვყოფთ და აღვნიშნავთ ზოგ მათგანს, რომლებიც ან თავიანთი გარეგნული სახით, ან კიდევ მნიშვნელობით ყურადღება მისაქცევენ არიან სხვა აფხაზურ დიალექტებთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

„ვიდრე“-ს მნიშვნელობით ზმნაში გვხვდება: **-ნაწკ**, **-(ა)ნწკ**, **-(რ)-ნგწკ**, **-ნწიკ**, **-ნწიკრა**, **-ნმაკრა**, **-(ა)ნძკა**, **-ნმგრკა**!<sup>1</sup>...

სა სააჯენჳ- <b>ნაწკ</b> უმწესენ!	- აფს. 36 -	ჩემს მობრუნებამდე (ვიდრე- მე-მოვბრუნდები) შენ (მამაკ.) არ გაინძრე!
აკუბან დაამ- <b>ანაწკ</b> დღლგ- რგსასტ	- კუვ. 12 -	კუბანის მოსვლამდე (ვიდრე- მოვიდოდა) მან (დედაკ.) ის (ადამ.) ისტუმრა
იფს- <b>ნგწკ</b> ეგააცანჯ აან- ხედტ	- კუვ. 12 -	სიკვდილამდე მოკეთე- ბად დარჩენ
სარს აააფჳესთგ-რგ- <b>ნგწკ</b> უნა დგლატაზ!	- კუვ. 9 -	ვიდრე მე მას (მამაკ.) დაუ- ძახებდე, მანდ იჯდეს!
უფგწწალა ააკგლს-აა- <b>ნწკ</b> იუქარს ათახჳპ	- კუვ. 6 -	შენ ცხვირად მოსვლამდე (ვიდრე მოვიდოდე) უნდა შეჭამო შენ (მამაკ.) ის (რადაც)
მეგლას- <b>ნწკ</b> ამაშა რჰენ...	- აფს. 41 -	დაღამებამდე ორმო ამოთხარ- ეს...

<sup>1</sup> იხ. ტაპ. § 38, გვ. 118-119; § 48, გვ. 166.

- ანთ დაად-**ნწკ**... ირს ჰაზერტ – აფს. 35 – მათ მოსვლამდე... გაამზადეს  
სმა-**ნწკ** დტუმან! – აფს. 38 – ჩემს მოსვლამდე (ვიდრე  
მოვალ) შენ (მამაკ.) ის (ადამ.)  
გყავდეს!
- ალგაჟი დადხე-**ნაწიკრა**... – აფს. 29 – ბერიკაცის მოსვლამდე...  
შეკსა ვეჟინბა იტწე- – კუვ. 11 – ოცდახუთ წლამდე მთიდან  
**ნმაკრა** აშვა დწეგმწანი ჩამოუსვლელად ის (ადამ.), ცხე-  
აჩიქან იწონ ნებს მწყსიდა  
იყავეშხ-**აა-ნმაკ** – ფსხუ, კ. 9 – სანამ წითელი გახდებოდა  
(ვიდრე გაწითლდებოდა, გა-  
წითლებამდე)
- იკლან**ნმაკრა** (|| იკლან**ნმაკრა** || იკლან**ნმაკრა**) – ფსხუ, კ. 7 – დაღამებამდე... და  
სხვ.
- „ყოველ“ სიტყვის მნიშვნელობა პირაქეთა აფხაზურ დიალექტებ-  
ში გავრცელებული **ცტფხაძა**-ს ნაცვლად გადმოიცემა ტაპანთურის მსგავ-  
სად – **ფხაძა**-თი:
- აფტეს აკკა დწა-**ფხაძა**- – კუვ. 4 – ძუძუს ყოველ მოწევაზე ქა-  
რე დწაუნ. ლი ყვიროდა<sup>1</sup>
- „ჯერ კიდევ, ისევ“ ზმნაში გამოიხატება -**რკა** ნაწილაკით. მაგ.:  
სემაგ-**რკა** – კუვ. 2 – ჯერ კიდევ ცოცხალი (ჯან-  
მრთელი) ვარ
- აქეთ წგა დააძნ იფტეს – კუვ. 26 – სოფლის ბოლოს მოვიდა ის  
დაგემაძმ. აგაშეთაჟე და- (ადამ.), თავის ცოლს ვერ ხე-  
აძნ, დაგემაძმ. იგე ტეს დავს. ჭიშკართან მოვიდა, ვერ  
ანაგედტ: „დაგეყახემ“. აჯ- ხედავს. ასე გაიფიქრა: „ის  
ნაჟე დგნაშეგლან, – დეტა- (ადამ.) აღარ არის“-ო. სახლში  
**რკა** შევიდა, ის (ადამ.) ჯერ კი-  
დევ (კვლავ, ისევ) ზის
- იზთწეზ რეკტე დატგა- – აფს. 36 – მათი სოფლიდან, რომლიდანაც  
რა-**რკა**-შთა, ატგსა რემაქე გამოვიდნენ, ჯერ კიდევ  
(ისევ) შორს იყვნენ რა, ასე  
უთხრა მან (მამაკ.) მათ...
- ტეჟეგგე... ჰლეშთა-**რკა** – აფს. 37 – ახლაც ჯერ კიდევ (კვლავ)  
მას (დედაკ.) მივსდევთ... და სხვ.

<sup>1</sup> შდრ. სახელთანაც: ხაშა-ფხაძა – კუვ. 2 – „ყოველ-ხუთშაბათს“ და სხვ. შდრ.  
ტაპ. § 48, გვ. 166.

ეგვე -**რკა** ამ მნიშვნელობით გვხვდება ტაპანთურშიაც<sup>1</sup>.

ტაპანთურის მსგავსად აშხარულშიაც გვაქვს -**ჯანა** (-ჟანა) ნაწილაკი მნიშვნელობით: „ო დ ე ნ, ო ლ ო ნ დ, მ ხ ო ლ ო დ, მ ა რ ტ ო“.

მაგ.:

- |   |             |   |
|---|-------------|---|
| თენჯუზ- <b>ჯან</b> -ნ ადგელ                           | - კუვ. 5 -  | მიწა (ქვეყანა) (მარტო)-ო დ ე ნ<br>ზღვა იყო                                |
| ისმქაზ რზზეგე პსერგლა-<br>ხედტ, სემუმგ- <b>ჯან</b> -ნ | - კუვ. 2 -  | ვინც მოვკალ, ყველას გავაცო-<br>ცხლებ (ავაყენებ), ო ლ ო ნ დ<br>ნუ მომკლავ! |
| აჰ იკამგ წაჯ- <b>ჯან</b>                              | - აფს. 20 - | მთავრის (ბატონის) ქურქი<br>ო დ ე ნ წილი(ა) <sup>2</sup>                   |

„აკი“-ს მნიშვნელობით პირაქეთა დიალექტებში ზმნის სხვადასხვა ფორმებს ერთვის -**ემ** (მაგ.: დეყოუპემ „აკი (ხომ) არის ის (ადამ.)“ და სხვ.), აშხარულში მის ნაცვლად შეგვხვდა: -**ტი** ნაწილაკი.

- |                    |                       |   |
|--------------------|-----------------------|---|
| დეყოუპ- <b>ტი</b>  | - (ფსხუში გაგონილი) - | „ის (ადამ.) აკი (ხომ) არის“?            |
| იგსაჟამ- <b>ტი</b> | „ „ -                 | „ვერ კი ვშოულობ მას (რად.)“!<br>და სხვ. |

<sup>1</sup> იხ. ტაპ. § 52, გვ. 189.

<sup>2</sup> შდრ. აგრეთვე: აჭკუნ დაყელშითი ავეგე გემძჰედტ აუესა-**ჯან** დაახტ - კუვ. 9 - „მან (დედაკ.) ბიჭი სადაც გაუშვა, მან (ბიჭმა) არაფერი თქვა, ასე-ო დ ე ნ მობრუნდა“.

## თავი VII. ზმნისართები

§ 49. **ზმნისართები.** ზმნისართების წარმოებისას ამხარულში ხშირად ისეთი ფორმებიც დასტურდება, რომლებიც დამახასიათებელია ტაპანთურისათვის და ისეთიც, რომლებიც – პირაქეთა დიალექტებისათვის.

ადგილის ზმნისართთა წარმოებაში ხშირად გვხვდება **-(ა)ხ** მიმართულების ელემენტი:

ა ბ ა რ ა <b>ხ</b> აჩა ქეთუ აჭე	– კუვ. 14	ა ქ ე თ (კენ) სხვა სოფელში წავი-
დცემტ	–	და ის (ადამ.)
...დააკდგელან. არ ა <b>ხ</b> გე	– კუვ. 9 –	ის (ადამ.) მოადგა (რადცას).
დენკდგგლეძტ ლარა		ა ქ ე თ ა ც (აქეთკენაც) მიადგა
		ის (დედაკ.)
აჭეთგე ა ბ რ ა <b>ხ</b> რყოუპ	– კუვ. 8 –	ისინიც ა ქ ე თ (კ ე ნ)... არიან <sup>1</sup>

ამ ფორმებს შეიძლება დაერთოს კვლავ **-ხა**:

ჭუჭაწაღა უცა ა ბ ა -	– აფს. 37 –	ახლავე წადი შენ (მამაკ.) აგე
ნ ა ხ - <b>ხა</b> აბანრ ათემ აჭე		ი ქ ი თ კ ე ნ ი მ სახლში

**-ხა**-ვე გვხვდება სხვა ზმნისართთა ფორმებშიაც:

ა ფ გ - <b>ხა</b> ძაქტაზ აჩგჯ	– აფს. 41 –	ცხენოსანი, რომელიც წინ
		(პირველად) იჯდა
აწგჯე იგგლაზ, ა ფ გ - <b>ხე</b>	– აფს. 36 –	ვინც ბოლოში იდგა, ვინც
იგგლაზ...		წინ (თავში) იდგა...
აჭაა რ ა ფ - <b>ხა</b> დგგგლა,	– კუვ. 2 –	ხალხის წინ დგომით ისიც
დერგე აპ იჭგ დნთაღედტ		მთავართან შემოვიდა
აბაჯ. ა კ გ - <b>ხა</b> იეგგლაზ-	– აფს. 37 –	კლდის ზემოთ (თავზე)
თა იბედტ		იდგა რა ის (რადც), დაინახა
		მან (მამაკ.).

ადგილისავე ზმნისართებში ხშირია **-ყა** თანდებულის გამოყენება:

ა ბ ა რ ა - <b>ყა</b> უგგლაშითა...	– აფს. 37 –	აქ დადექ შენ (მამაკ.) და...
ბ ა ნ ა - <b>ყა</b> დგგგნრპ აბანი	– აფს. 35 –	ა გ ე ი ქ (ვე) ცხოვრობს ის
ათემ აჭე		(ადამ.) იმ სახლში
აჭა- <b>ყა</b>	– კუვ. 22 –	ი ქ ვ ე

<sup>1</sup> იხ. აგრეთვე § 33.

ქარრმ ა ჟ ა ყ ა დგტან – აფს. 35 – ქერიმი ი ქ ვ ე იჯდა  
 ჟა-ყა ჯარა ჩენტრრა ბედაკ – აფს. 30 – ი ქ ვ ე ერთგან ერთ მდიდარ-  
 იჭე მადგეგლქ(მ) – თან მსახურად დადგენ.

ეს უკანასკნელი ფორმები ზოგჯერ წარმოდგენილია თანხმობითი ელემენტის გარეშეც:

არსა ბექტაზტ! – ფსხუ, კ. 6 – აქ(ვე) იჯექ შენ (ქ)!  
 აფგზ ეზგაჟგზ ა ბ რ ა ა – ფსხუ, კ. 3 – წინათ სადაც მოთხარა, ი ქ (ა ქ)  
 დალაგან აჟრა იჟგმტ დაიწყო რა, ორმო მოთხარა  
 ა ბ ნ ს ა ჟარო უჭგ – ფსხუ, კ. 10 – მ ა ნ დ ვ ე, შენთან (მამაკ.) რის-  
 სგზნგზგუ უდ ოპ თვისაც მოვედი, ისაა  
 ა ჟ ა ა სტრტ – კუვ. 10 – ი ქ მივდივარ  
 მერგგ ა ჟ ა ა დტახტ – კუვ. 2 – ისიც ი ქ ვ ე დაჯდა  
 ჟ ა ა იშთგდწე – აფს. 39 – მან (მამაკ.) ის (რალაც) ი ქ ვ ე  
 ძირს დადო.

ამ ადგილას -ჭა-ც შეგვხვდა:

სგფჰესგგ ა ნ შ ა დგტლოტ – აფს. 33 – ჩემი ცოლიც ა გ ე ი ქ დგას

პირაქეთა დიალექტების -ხა-სა, ერთი მხრივ, და -ყა-ს ნაცვლად, მეორე მხრივ, ტაპანთურის მსგავსად შეიძლება აქაც შევხვდეთ -ჭა-ს. მაგ.:

აბა ა ფ - ჭა დგფსრ – აფს. 36 – „მისი (მამაკ.) მამა უ წ ი ნ  
 (წინ, ადრე) მოკვდა“ (შდრ. პირაქეთა დიალექტ. ა ფ ხ ა).  
 ჩგ-წა-ჭა<sup>1</sup> დგტა-შთა – აფს. 37 – „მას (მამაკ.) ეძინა პ ი რ - ქ ვ ე  
 დგცან (პირ-ჩადმა, „თავქვეით“) და-  
 წოლით“ (შდრ. პირაქეთა დია-  
 ლექტ. წ ა - ყ ა<sup>2</sup>).

ზმნისართთა წარმოებაში ტაპანთურის მსგავსად ხშირი შემთხვევაა ინსტრუმენტალისის -ლა სუფიქსის გამოყენება:

ზ გ ნ ტ ა ლ ა – აფს. 35 – ერთბაშად<sup>3</sup>  
 რ გ კ გ ხ ა-ლა ჩგჭგკ – აფს. 37 – მათ წ ი ნ (ით) ცხენოსანი მო-  
 დშადაშთა დგრბეტ დიოდა რა, დაინახეს  
 ამ' აყადაზ ა ხ გ -ლა – აფს. 43 – წყალი სადაც მოდიოდა,  
 დგდგქლქ (იქით)კ ე ნ(ით) გაემართა, წა-  
 ვიდა ის (ადამ.)

<sup>1</sup> თუმცა იქვე გვაქვს: ჟ ჟ წ ა ყ ა – (კუვ. 10) = „შიგნით“.  
<sup>2</sup> ანალოგიური შეფარდებაა ზმნისართში: ჟგს-ჯან – აფს. – 43 – „მამინ“ და პირაქ.  
 დიალექტ. უსყან. ჟ ა ს ყ ა ნ გვხვდება აზნარულშიაც (კუვ. 5).  
<sup>3</sup> აფსუაშივე ამ შემთხვევაში შეიძლება იხმარონ: მ ა რ ა ზ გ ნ ტ ა (აფს. 35), შდრ.  
 პირაქეთა დიალექტ. „მ ა რ ა ზ ნ ა კ“.

- ჰამცუხ ჰაკაფგხა-ლა – აფს. 37 – რომ მივდიოდით, ჩვენ წინ ჩვევ დჰადჰან
- დეთატან ჩვევაბედტ. – კუვ. 4 – ის (ადამ.) შიგ ჩაჯდა და ტანი ჟაწგჰან დაურ-ლა-გ გ დაბაფშედტ

ვითარების ზმნისარტებში გამოყენებულია -ს (ან ტაპანტურის მსგავსად -სა):

- დააგღან უ-ს იჰე – აფს. 39 – ის (ადამ.) ადგა და ასე თქვა
- უ-ს ჯაწრა დეუ სგლუჰ – კუვ. 15 – ასე დიდი ვაჟკაცობა მაქვს (შემიძლია)
